კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითი კოლექტივი ახლა უფრო დიდი გამოცდის წინაშე დგას. მათ ყველაფერა უნდა გააკეთონ, რათა უახლოეს ხანში ხალხს უჩვენონ მღელვარე და მიზნსწარავალი ფილმები, ისეთი სურათები, რომლებიც აღლევებენ, ასწავლიან. წარმართავენ და ახალი შრომითი ძაღლინით დაესებენ მასურებლებს.

თეატრს და კინოს განსაკუთრებული როლი აქვს მინიჭებული კომუნისტური იდეების დანერგვა-გავრცელებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურა კომიტეტის ივნისის ბუღენუმის გადაწყვეტილებათა სულისკვეთება მოუწოდებს ჩვენს ხელოვნების ამ ორ მნიშვნელოვან დარგს, ისე როგორც ხელოვნების სხვა დარგებსაც, ახლო იყვნენ ხალხთან, აკეთონ ის, რაც ხალხს სარგებლობას მოუტანს, დაეხმარონ მშრომელ ადამიანებს, გააღამაზონ მათი ცხოვრება, გაახალისონ ქარხნისა და ფაბრიკას მუშები, საკოლმეურნეო და სამეცნიერო დარგის მოღვაწენი, ასახონ ჩვენს სინამდვილე ჟანსადა, ობიექტურად, ყოველგვარი მანქვა-გარხისა და გულდამოთქავი კენესის გარეშე. ჩვენ გვინდა მართალი, ჟანსადი, ხალისიანი ხელოვნება. ამას მოითხოვს ხალხის ინტერესები და ამისაკენ უნდა ისწრაფოდეს თეატრისა და კინოს თვითუღი მუშაკი.





მაიაკოვსკი—

## მხატვარი

ვასილ ლაფერაშვილი



დინა. 1919 წლის შემოდგომიდან დაწყებული 1922 წლის გაზაფხულამდე, სამოქალაქო ომის მრისხანე დღეებში, პოეტი მუშაობდა რუსეთის დეპეშთა სააგენტოში „როსტაში“ და თავგამოდებით, დაუღალავად ემსახურებოდა სოციალისტურ სამშობლოს როგორც პოეტი და როგორც მხატვარი.

ქუთაისის ვეჯთა კლასიკური გიმნაზიის მოწაფეს, ვალოდა მაიაკოვსკის, ხატვის სწავლიდა ქუთაისში მცხოვრები მხატვარი ს. კრასნუხა, რომელსაც ოქროს მედალზე ჰქონდა დამთავრებული პეტერბურგის სამხატვრო აკადემია. ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში „მე თვითონ“ მაიაკოვსკი წერს: „ვიღაც წვერიანმა ჩემში მხატვრის ნიჭი აღმოაჩინა. მუქთად მასწავლის“. პოეტის უფროსი და ლუდმილა მაიაკოვსკაია იხსენებს: „როდესაც სტროგანოვის სასწავლებელში შესავლელად ემზადებოდი, გაკეთილებს ვიღები ქუთაისის ერთადერთ მხატვართან, რომელსაც სამხატვრო აკადემია ჰქონდა დამთავ-

რებული, ეს იყო კრასნუხა. მას ვაწვევნი ვალოდას ნახატები, ძალზე ნიჭიერად სწო და შესთავაზა უფასოდ სწავლება“. გიმნაზიაში ვალოდას დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით ეპყრობოდა ხატვის მასწავლებელი ვასილ ბალანჩივაძე (ცნობილი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის ძმა). გაკეთილების შემდეგ, შესწევებებზე ბატარა ვალოდა ხშირად შედიოდა ცარიელ კლასში და დაუაზუ ცარციო ხატავდა ფრინველებსა და ცხოველებს. ამის მოწვევა ცნობილი ქართველი პოეტი კოლაუ ნაღირაძე, რომელიც ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის დროს ორი კლასით უკან იყო მაიაკოვსკიზე. კოლაუ ნაღირაძის ნარკვევი „ქუთაისი და მისი აღმანიანი“ ნათქვამია: „ერთხელ, შესვენების დროს, მორიგე ვეყვი და უნდა მეყურებინა, რომ კლასში არავინ შემოსულიყო. შემოვიდა მაიაკოვსკი, რომელსაც უფროსის უფლებები ჰქონდა. შუბლში წელა გამკრა წკიპურტი და შემეკითხა, ვციც თუ არა ხატავა. მალე იგი შეუღ-



აბჭოთა ეპოქის გამოჩენილ პოეტს ვლადიმერ მაიაკოვსკის დიდი დამსახურება აქვს სახვითი ხელოვნების დარგშიც, კერძოდ პირველი საბჭოური პლაკატის შექმნაში, უაღრესად საზოგადოებრივი შინაარსის პოლიტიკური პლაკატის ჩამოყალიბება კი რთული და სერიოზული საქმე იყო. მაიაკოვსკიმ ნამდვილად რევოლუციური გადატრიალება მოახ-





1) ТЫ ХОЧЕШЬ ОСВОБОДИТЬСЯ  
ОТ ТЯЖЕСТИ ВОЙНЫ?

2) ХОЧЕШЬ МИРА СОВСЕМИ?

3) ХОЧЕШЬ РАБОТАТЬ, А НЕ  
ДРЕМАТЬ? ХОЧЕШЬ -

4) ЗНАЧИТ ВРАНГЕЛЯ НАДО  
РАЗБИТЬ СТАРАТЬСЯ.

РОСТА ОКНО №525

ვა დაფაზე სხვადასხვაგვარი ცხოველებისა და ფრინველების ცარციტ გამოყვანას. იგი სწრაფად ხატავდა. ამრიგად, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გამოავლინა მიაკოვსკიმ თავისი ნიჭი მხატვრობაში.

1921 წლის მარტში მან დახატა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისადმი მიძღვნილი პლაკატი, სადაც ნათქვამია: „ამხანაგი ქართველები მაგალითს ვეპაილენ, მათ მიზაძე, გარეკე მენშევიკები“. ამ მოწოდებას კი მხატვრულად ანსახიერებს პლაკატის („გლავგომობიტროსივეტის“ პლაკატი № 88) შესაბამე სურათი, რომელზეც მიაკოვსკიმ დახატა ჩოხაში გამოწყობილი ქართველი. მას ხელში უჭირავს წი-

თელი დროშა წარწერით: „ძირს შემთანხმებლები!“

მიაკოვსკის, როგორც მხატვრის, მუშაობას დიდი და საინტერესო ისტორია აქვს.

ამ დღეებში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს დიდი საბჭოთა პოეტის დაბადების სამოცდაათი წლისთავს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მიაკოვსკის, როგორც მხატვრის, თავდადებული ბრძოლა ხელოვნებაში იმ გამოვლინებების წინააღმდეგ, რაც უცხო იყო სოციალისტური რეალიზმისათვის.

მიაკოვსკის, როგორც პოეტისა და მხატვრის, შემოქმედებას განსაკუთრებით ქმედითი ძალა ჰქონდა ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის პერიოდში.

მის მიერ დახატული პლაკატებით, მახვილ ტექსტით იგი რაზმავდა მასებს. ამ პლაკატების გავლენით, როგორც პოეტი ამბობდა, იერიშის წინ წითელარმიელები კი არ ლოცულობდნენ, არამედ „ჩასტუმკების“ სიმღერით მიდიოდნენ წინ. „როსტას“ 150 პლაკატი მოთავსებულია მიაკოვსკის ალბომში. „დუ, ლირიკოსებმა, — წერს პოეტი, — მოიგონონ ლექსები იმის შესახებ, როგორ იყვნენ ისინი შეყვარებულნი. ჩვენ კი სიხარულით გავიხსენებთ იმ სტრიქონებს, რომლებიც მოგვაგონებენ, როგორ ვარზოდა დენკინი ორიოლდან“.

„როსტაში“ მუშაობამ ფართოდ გამოამყვანა მიაკოვსკის მხატვრული ნიჭი. თავის პლაკატებში იგი განაგრძობდა, ანეითარებად ხალხურ სატირულ ჟანრს ე. წ. „ლუბოკებს“ (საბაზრო ნახატები — ვ. ლ.).

მიაკოვსკის ნიჭს ყურადღება მიექცია ცნობილმა რუსმა მხატვარმა ილია რეპინმა. მიაკოვსკი-მხატვარი ვერ ეგუებოდა ფორმალიზმს სახვით ხელოვნებაში, ქმნიდა სატირულ პლაკატებს ახლებურად, რეალისტურად. ჯერ კიდევ 1918 წელს მიაკოვსკიმ გამოსცა სატირული ნახატების კრებული „რეკოლუციის გმირები და მსხვერპლები“. ნახატებს პოეტმა ლექსები წარუძღვარა. თავის ცნობილ „ანბანშიც“ მიაკოვსკი განაგრძობს ლექსისა და ნახატის შერწყმას.

„დენკინმა სცადა ვრონგვის აღება. ბიძია, მოუწე, თორემ დაგივარდება“.

როგორია სახის მუშაობას არ ასრულებდა მიაკოვსკი „როსტაში“. ეს იყო — სააკტაკიო „ლუბოკი“, პროპაგანდისტული ფურცელი, რეკლამა, ლოზუნგი და ისტატურად გაკეთებული მრავალი სატირული პლაკატი. „როსტაში“ მიაკოვსკიმ შექმნა ათასობით პლაკატი. ეს პლაკატები მრავლდებოდა და 47 ქალაქის „როსტას“ განყოფილებებს ეგზავნებოდა. პლაკატის ტირაჟი 150 ეგზემპლარამდე აღიწევდა.

თავისი მოღვაწეობის ოცი წლის თავზე მიაკოვსკი წერდა: „გაზეთი, პლაკატი, ლოზუნგი, დისპუტი, რეკლამა, რომელთაც ქედამდღურად გა-

ურბოლენე სუფთა წყლის ლირიკოსები, ესთეტიები, აქ გამოფენილია როგორც ლიტერატურული იარაღის უმნიშვნელოვანესი სახეობა“.

„მე მაიკონდება, — ამბობს მაიაკოვსკი, — „როსტას ფანჯრები“, ეს გვებერებოდა ტილო იყო, თითქმის კვლად პლაკატი. როგორ ვაქეთებდით? მახსოვს, რომ ვწვევოდით ღამის ორ-სამ საათზე. თავვეშე ბალიშის მაგიერ შეშის ლერს ვიდებდით, ბალიში გვექონდა, მაგრამ გვეშინოდა, რომ არ ჩავეძინებოდა“. შემდეგ პოეტი მოგვითხრობს, თუ როგორ მუშაობდა „როსტამდე“; „...სტამბა არ იყო. მოვანხე სტროგანოვის მაშინდელი სასწავლებლის ერთი მივლბეული სტამბა... მუშები არ იყვნენ, რომ ვინმეს შესძლებოდა მანქანის ამუშავება. ამის გაკეთება თვითონ მიხდებოდა. არაფერ იყო, რომ მიეღო უკვე დაბეჭდილი ფურცლები. მყავდა მეგობრები, რომლებთანაც ერთად ეს სამუშაო შევასრულე. საჭირო იყო შედეგა. საღებავი არ გვეყოფნოდა. ჩვენ ხელით ვღებავდით სამ-ხუთ ათასს და შემდეგ მთელი ეს ტვირთი საკუთარი ზურგით მიგვექონდა...“

მრავალფეროვანი იყო მაიაკოვსკის პლაკატების თემები: არმიის დემობილიზება, ბრძოლა ტყის ხანძართან, ოქტომბრის რევოლუციის წლისთავი და სხვ. შემდგომ, 1927 წელს, ამ მუშაობის შესახებ მაიაკოვსკი წერდა: „ეს იყო სადაბეშო ცნობები, სწრაფად გადატანილი პლაკატში, ეს იყო დეკრეტები, მაშინვე გამოქვეყნებული „ჩასტრუშკების“ სახით“...

მაიაკოვსკისთან ერთად „როსტაში“ მუშაობდნენ მხატვრები მ. ჩერემნიი, ი. მალოტინი, ლავინსკი, ლევინი, ნიურენბერგი, ტექსტებს წერდნენ აგრეთვე ოსიპ ბრიკი და პოეტი ქალი რიტა რაიტი.

მაიაკოვსკიმ „როსტაში“ მუშაობისას გამოავლინა ბრწყინვალე ორგა-

ნიზატორული ნიჭი, იყო საუცხოო რედაქტორი.

ლუდმილა მაიაკოვსკაია იგონებს იმის შესახებ, თუ რა დიდ მოთხოვნებს უყენებდა მაიაკოვსკი „როსტას“ მუშაკებს: „თუ ამის დროულად არ შეასრულებთ, — ამბობდა იგი, — სჯობს ხელი არ მოჰკიდოთ. პლაკატები საჭიროა დილისათვის, ისინი დამე უნდა გაეკეთდეს“.

მხატვარი დენისოვსკიც ამას ადასტურებს: „ღამის თორმეტ საათზე, — წერს იგი, — მიჩვენებს მაიაკოვსკი: ხვალ დილის 9 საათისათვის ვან-მრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს უნდა გავუკეთოთ თორმეტი პლაკატი. მოზრძანდით სამუშაოდ“.

ასე წარმოვიდგება რევოლუციის დიდი პოეტისა და შესანიშნავი მხატვრის გლადიმერ მაიაკოვსკის შთაგონებული მოღვაწეობა, საბჭოთა სამშობლოსადმი მისი დიდი სიყვარული და ერთგულება.



მაიაკოვსკის მიერ შესრულებული მეგობრული შარები: ი. რეპინი, რეპინი და ჩუკოვსკი.







გ. აზმაიფარაშვილი, ვ. ტაბლაშვილი, ი. ასკერაძე

## საზოგადოებრივი საზოგადოებრივი საზოგადოებრივი

ნანა ქავთარაძე

კ

ერდის ოპერა „ტრუბადური“ თავისი ცხოვრების ხანგრძლივობის თბილისის ოპერის თეატრში ითვლის მრავალ ათეულ წელს. (პირველად იგი ვერდის სიცოცხლეშივე, დაიდა 1857-58 წ. წ.). ძველი სათქმელია, როგორც იყო მისი პირვანდელი სახე ქართული ოპერის სცენაზე, მაგრამ შეიძლება ვიგულისხმობთ, რომ ვერდის ოპერის პარტიტურის ამოხსნა-ამოკითხვა წელთა მანძალზე ღრმადებოდა. თბილისის სცენაზე, მართლაც, ყოფილა მუსიკალურად მაღალ დონეზე მდგარი სპექტაკლები,

მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჩვენ აქამდე არ გვენახა „ტრუბადურის“ ისეთი მაღალი რანგის წარმოდგენა, რომლის მუსიკალურ-სცენურ გადაწყვეტაში სანიმუშო პარმონია იქნებოდა დამყარებული და მხარს გასწორებდა დღევანდელი მსყიდველის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს. ამ მხრივ „ტრუბადურის“ უკანასკნელი დადგმა უდაოდ უნდა ჩაითვალოს თეატრის დიდ შემოქმედებით გამარჯვებამ, ამავე დროს — მიმდინარე სეზონის საუკეთესო საოპერო სპექტაკლად.

ახლებურად ამტკველებულ „ტრუბადურს“ მხურვალე გამოძახილი ხვდა. თავისუფლების იდეის გამახვილებამ კიდევ უფრო ახლომდელი გახადა ეს ოპერა ჩვენი მსყიდველისათვის. თვით ვერდიმ გუტიერესის დრამაში ხომ სწორედ პროტესტის, ბრძოლის სულსკვეთებით აღსავსე მომენტები ამოკითხა. რეჟისორმა ვახტანგ ტაბლაშვილმა ოპერის ეს წამყვანი მოტივი სპექტაკლში ფართო პლანით გადაწყვიტა და მასთან დაკავშირებულ სცენებს განსაკუთრებული ელვარება მიანიჭა. გავიხსენოთ ოპერის მთავარ დრამატურგიულ ცენტრად ქცეული მესამე მოქმედების ფინალი მანრიკოს კაბალეტატი და გუნდით. ეს არის სპექტაკლში მუსიკალურად (C-dur) და რეჟისორულად ყველაზე უფრო „განათლებული“ ეპიზოდი. აქ მუსიკის, ვიტყვოდი, რეგულაციურ მგზნებარებას კიდევ უფრო აღვივებს ევმეტური რეჟისორული ბურხი, როდესაც მთელი სცენა, სკულპტურულად შეჯგუფებული მასა და ტრიბუნეებით ბობოქარი მანრიკო გაუხვევამდლავრ ალისფერ შუქში, რომელიც მსყიდველთა დარბაზსაც გადმოსწვდება გმირული პათოსით აგზნებული. ეს მომენტი თავისი მორღებოთი ინტონაციებით — „იარაღისაკენ“, „დავიბრუნოთ თავისუფლება ან თავი შევწირთ ბრძოლას“ — ვერდის მიერ იქმნებოდა მაშინ, როდესაც იტალია პარიზადღისა და ვერდის მსგავს პატივოტებს ბრძოლისა და შურისძიების გრძობით აღავსებდა. „ტრუბადურის“ პერიოდიკულ-პატივოტული მოტივი ხომ შურისძიების მოტივის ტრანსფორმაციას წარმოადგენს. „დრამის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ერთი სიტყვით უნდა აისახოს — „შურისძიება!“ — ასე განსაზღვრა კომპოზიტორმა ოპერის მთავარი იდეა. მეორე მოქმედებაში საყვირივით გაისმის ბომა ქალის აზურუნას მრისხანე მოწოდება: „შური იძიე მოშობელი დედისათვის!... მანამდე კი მას წინ უძღვის რეჟისორული ექსპოზიცია, როდესაც სცენაზე აღიმართება აღმოდებული ხელაპყრობილი დედის, ან იქნებ იტალიის სიმბოლური ფიგურა. კინოკადრივით ხანმოკლე ფიგურის გამოჩენა, მაგრამ „ფართო პლანის“ ხერხის გამოყენება მით უფრო დიდ სიმახვილეს აძლევს ამ მომენტს. ოპერის ფინალურ სცენაში ტრივიალური სასიყვარულო დრამის დასასრულს კვლავ ჩნდება ე. წ. „ცეცხლის სცენა“ — მანრიკოს დაღუპვის ეპიზოდი და აზურუნას კომშარული წანაყვების კულმინაცია. ამგვარად, შურისძიების მოტივი, რომელიც ოპერაში განუზოადებულ სახეს იღებს და ლეიტთემის ფუნქციას ასრულებს, რეჟისორის გამოხატული აქვს მეტაფორული ხერხებით. ეს მეტაფორული ხერხები მისთვის არის სცენური კოორდინირების საშუალება, სპექტაკლის კომპაქტურობის ძირითადი ფაქტორი. ვ. ტაბლაშვილმა მუსიკალური დრამატურგიის თავისებურებანი სცენურად მეტად საინტერესოდ

გადაწყვიტა. სწორედ ამ საკვანძო მომენტებს ის იძლევა არა მოძრაობაში, არამედ გადიდებული ქანდაკებების სახით ძერწავს. მუსიკის დინამიკას უპირისპირებს სცენურ „უძრაობას“ და ეს ხდება დრამატურგიის განვითარების იმ მომენტში, როდესაც გმირთა შინაგანი ექსპრესია კულმინაციას აღწევს. (გავისხენოთ მანრიკოსა და აზუენას სცენები). ასეთი რეჟისორული „კადანსები“ და „ფართო პლანის“ ხერხი ძირითად მუსიკალურ თემებს სცენურადაც განაზოგადებს.

„ტრუბადური“ ეფექტური სპექტაკლია და ეს ეფექტურობა პირველ რიგში რეჟისორული მტყვევლების კონკრეტულობასა და მეტაფორულობაში უნდა ვეძიოთ. ტაბლიაშვილისათვის საკმარისია სულ ორი-სამი მანიშნებელი შტრიხი, რათა ოპერის მუსიკის სტილის შენარჩუნებით მოხაზოს მოქმედების ძირითადი ტონი, შექმნას განწყობილების განვითარების შესატყვისი ატმოსფერო. ახალ დადგმაში გამოიყვება სრულიად ახალი სცენური დეტალები, რომლებმაც განსხვავებით წინა დადგმებისაგან, ოპერის დრამატურგიულ კონცეპციას მისცეს ახალი მიმართება. ასე: ოპერის პროლოგსა და ეპილოგში მოცემული რკინის ზღუდე, რომელიც გმირთა უსიური დრამას გარკვეულ სიმბოლურ თაღს უკეთებს და შუა საუკუნეების სულისმსუთვაც ატმოსფეროს ქმნის, ან საპერობილეს უსარმაზარი ჯაჭვი, წამოყვებული ჯვარი — იეზუიტთა ფანატიზმის სიმბოლო, ჯავშანასხმული რაინდის უსარმაზარი სილუეტი და სხვ.

„ტრუბადურის“ გმირთა ტრაგიკული განწირულების წინასწარგრძნობა სპექტაკლის დასმული მუქი ტონებით გადაწყვეტაში აისახა. მხატვარ ი. ასკურავას მიერ მოცემული მუქი და ალისფერი ტონების კონტრასტი უშუალო პირდაპირობით გამოხატავს სპექტაკლის არსს. მხატვარს კარგად აქვს მიგნებული მუსიკალურ სახეთა განვითარებასთან დაკავშირებით კოსტუმების ფერითი ინტონობა.

„ტრუბადურმა“ ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო არა მარტო ახალი სცენური გადაწყვეტით, არამედ ახლებური ელვადობითაც. ეს ჩვენი თეატრის ახალგაზრდა შემსრულებლებს მიეწერება. თუ არ ჩავთვლით ჩვენს სახელოვან მომღერალს პეტრე ამირანაშვილს, რომელიც გრად დი ლუნას პარტიას მისთვის ჩვეული არტისტიკული გუნებით ასრულებს, „ტრუბადურის“ მთელი წამყვანი პარტიები, „სადირიფორო პულტის“ ჩაივლით, ახალგაზრდა შემსრულებლების მიერ განხორციელდა.

პირველ რიგში აღვნიშნავ დირიჟორ გივი აზმაიფარაშვილს. სულ რამდენიმე წელია, რაც გ. აზმაიფარაშვილი ჩვენი ოპერის მხატვრული კოლექტივის წევრია და უკვე ფაქტში ინტერპრეტატორის სახელი დაიკვივრა. ამ ეპიტეტს დავემატებდეთ ახალ დიდ შრომისუნარიანობასა და მიზანსწრაფვას რომელიც ახალგაზრდა დირიჟორმა „ტრუბადურზე“ მუშაობის პროცესში გამოიჩინა. რეპერტუარიდან რეპერტივამდე, სპექტაკლიდან სპექტაკლამდე იხვეწებოდა ოპერის საერთო ელვადობის სიმწკრიბი, ანსამბლურობა, შესრულების ხარისხი. ოპერის რეჟისორულმა გადაწყვეტამ დირიჟორის ინტერპრეტაციასაც კპოვა შესატყვისი გამოძახილი. „ტრუბადურის“ მოწოდებითი ხასიათის მახვილ ინტონაციებთან ერთად გუმწირიტი რომანტიკულობით ატვრია გმირთა ინტიმური დრამა, ხოლო



სცენა „ტრუბადურის“ I აქტიდან.

ვერისეულმა მელოდიზმმა ახალგაზრდა დირიჟორის შესრულებაში შეინარჩუნა თავისი ხალასი მომხიბვლობა.

თავდაჭერილობაც და ტემპრამენტიც გივი აზმაიფარაშვილში არასდროს არ სცილდება ზომიერების ფარგლებს. მიუხედავად ამისა, „ტრუბადურში“ ეგზოტ გულუხვად მოცემული ექსპრესიული მომენტები დირიჟორმა, საკმაოდ ეფექტურად წარმოასხა. განსაკუთრებული ანგარიშგაწევა იცის აზმაიფარაშვილმა შემსრულებლის ინდივიდუალური შესაძლებლობების მიმართ. ამ მხრივ იგი იჩენს სწორედ საოპერო დირიჟორის ტაქტს, მისმა „ჯოხმა“ კი იცის დროული გაუჩინარება, ქვეყნაზად ქვეყა. თავისი ამ ტაქტით ახალგაზრდა დირიჟორი ხან თვითონ გამოკვეთს მომღერლის ექსპრესულობას, ხან კი მოლიანად მიკვება და აესებს მას. ამ მხრივ ნიშანდობლივია მედვა ამირანაშვილის მიერ შესრულებული ლონონისა მთელი პარტია. აღსანიშნავია ორგესტის კომპაქტური ხმოვანება და რიტმული ენერგია მანრიკოს კაბალეტაში. არ ვიცი, ვის მიეკუთვნება ეს იდეა — რეჟისორს თუ დირიჟორს, მაგრამ მანრიკოს არიის შემდეგ გუნდის აღდგენა უდაოდ გონივრულად მიმაჩნია. ახალ დადგმაში კაბალეტა გაისმის არა როგორც ჩართული ბრწყინვალე ვოკალური ნომერი, არამედ როგორც





მანრიკო — ნ. ანდლულაძე, ლეონორა — მ. ამირანაშვილი

დრამატურგიულად მნიშვნელოვანი სცენა. გივი აზმაიფარაშვილის კიდევ ერთ წარმატებად უნდა ჩაითვალოს „ტრუბადურის“ ანსამბლების მაღალტექნიკურ დონეზე შესრულება. ამ წარმატებას მასთან ერთად ზოგიერთ საგუნდო ეპიზოდში იზიარებენ სორმეისტერი გ. ბუჩაკიძეც. შესანიშნავად აქვს დამუშავებული დირიჟორს I აქტის ფინალი, III აქტის მეორე სურათი, ხოლო ოპერის ტრაგიკული ფინალი — IV აქტი მიელი საუმერსრულებლო კოლექტივის გამარჯვებაა.

არ შეიძლება აღტაცებით არ ილაპარაკო მედია ამირანაშვილის მიერ განსაზღვრებულ ლეონორას სახეზე. მომღერლის ყოველ ახალ პარტიას მისთვის ახალი გამარჯვება მოაქვს. არ არის თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი საოპერო დადგმა ჩვენი თეატრის სცენაზე, მედია ამირანაშვილმა რომ არ შექმნას შთამბეჭდავი სახე. ვოკალურ-სცენური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენების უნარი არის ის სახარბიელო თვისება, რომელიც მ. ამირანაშვილს ხელს უწყობს დიდ ზრდასა და დაოსტატებაში. უაღრესად პოეტური და რომანტიკულად გაკისკროვებულია ლეონორას სახე მ. ამირანაშვილის შესრულებაში. გმირი ქალის სულიერ განცდებს მომღერალი დახ-

ვეწილი ნიუანსებით გადმოსცემს. ხმის გამჭვირვალობა თითქოს საგანგებოდ შეესიტყვება ლეონორას კდმამოსილებას. ისეთ ტრაგიკულ ეპიზოდშიც კი, როგორცაა სცენა misere-re-თი, ამირანაშვილი ლეონორას სახეს უნარჩუნებს რომანტიკულ ამაღლებულობას.

ლეონორას განსხვავებული სახე შექმნა ოპერაში ნიჭიერმა მომღერალმა თამარ თავთაქიძემ. უფრო „მიწიერი“, განცდების ექსპრესიული გამოხატვით აღბეჭდილი ლეონორას სახე განსაკუთრებული მომზიბულებით იქნა წარმოდგენილი დრამატულ ეპიზოდში. ოპერის მეოთხე აქტში სცენა გრავდი ლუნასთან — ერთის მხრივ და მეორეს მხრივ — მანრიკოსთან სატუსალოში, მომღერალმა დაძაბულობის უმაღლეს ეტაპზე აიყვანა, ხოლო ლეონორას ერთ-ერთი ურთულესი არია ამავე მოქმედებიდან თამარ თავთაქიძეშვილის მაღალ ვოკალურ კულტურაზე მიგვიითბობდა.

საზოგადოების საერთო ინტერესი გამოიწვია მანრიკოს როლის შემსრულებელმა ნოდარ ანდლულაძემ. ეს პარტია მომღერალმა იტალიაში ყოფნისას დაამუშავა. ამიტომ მისი სიმღერის მანერა, სტილი, მხატვრული სახის საერთო მონახაზები სახე იყო სიახლით. ნ. ანდლულაძე მომღერალთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთა შემოქმედება ყოველივის მკაცრ თვითანალიზს ემორჩილება. ამას მოაქვს თავისი დადებითი ნაყოფი. მაგარნ ზოგჯერ ეს გარემოება იწვევს მომღერალში ხმის დაძაბვას, სცენურ შეზოტილობას, და უშუალოდის გრძნობის გაფერმკრთალებას. შესაძლოა, ეს გამოიწვევლია იმ ე. წ. „გარდატეხის პერიოდით“, რომელსაც განიცდის ნოდარ ანდლულაძე იტალიიდან დაბრუნების შემდეგ, ვიდრე ახალი ჩვევები და სიმღერის ახალი მანერა მისთვის გახდებოდა alix mater. ამაში ეჭვი არ გვეპარება თუნდაც იმიტომ, რომ ნიჭიერი მომღერალი ამ მხრივ უკვე ამღვანენებს თავის ზრდას. ეს თვით მანრიკოს პარტიაშიც იგრძნობა. მანრიკოს კაბალეტას და მთელი IV აქტის ბრწყინვალე შესრულება ამღვანენებს იმ რეალურ შესაძლებლობებს, რომელთა სრულყოფაც მომღერალს დიდ შემოქმედებით გამარჯვებას მოუტანს.

ჩვენი ოპერის სცენაზე, სამწუხაროდ, კერ კიდევ მოისმენთ ისეთ მომღერლებს, რომელთა მიერ დაკისრებული პარტიის დადებითი შესრულება ამოიწურება მხოლოდ რომელიმე ვოკალური ნომრის ამ მაღალი რეკისტრის რამდენიმე გამართულ ბეგერის აღებით. მხატვრული ხელმძღვანელობის მიერ ასეთი გაუთვალისწინებლობა მსმენელში იწვევს თავისთავად კარგი ვოკალური მონაცემების ახალგაზრდა მომღერლის რეპუტაციის შელახვას. ასე მოხდა რუზო გორგაძის მიერ მანრიკოს პარტიის შესრულებისას, რომლის შეფასებაც შეიძლება ამოიწუროს მხოლოდ მანრიკოს კაბალეტას, მართლაც, კარგი შესრულებით.

ლეონორასა და მანრიკოს პარტიების ზემოხსენებულ შემსრულებლებთან ერთად სასიამოვნო სამკუთხედს ქმნის გრავდი ლუნა-შოთა კიკნაძე. ამ სახის განვითარება მომღერლის მიერ სწორად არის მოხაზული, თუმცა საინტერესოდ შესრულებულ მომენტებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ლირიკული ეპიზოდები. სასურველია, მომღერალმა მეტი დინამიზმი შეიტანოს გრავდი ლუნას პარტიაში.

ბოშა ქალი აზუჩენა ოპერის დრამატურგის ერთ-ერთი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი მხატვრული სახეა. სამხრეთული ტემპერამენტის, უადრესად ექსპრესული ბისკაელი ქალი ვერდის წარმოდგენილი ჰყავდა შურისძიებისა და ბრძოლის სინონიმად. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ კომპოზიტორს თავდაპირველად აზუჩენას სახელით სურდა მოენათლა ეს ოპერა. აზუჩენას სახე მეტად საინტერესოდ წარმოსახა მომღერალმა ლეილა გოცირიძემ. ექსპოზიციაშივე იპყრობს ყურადღებას ის თავისი შინაგანად თავდაჭერილი, მაგრამ მღელვარებით საკმაოდ აესავსე გაცნდებით. სადა, ამავე დროს კონკრეტულად მანიშნებელი სცენური მოქმედების მანერა გოცირიძის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეს ბუნებრივობით აღბეჭდავს. აზუჩენას თხრობა გრაფის ბორჯბაძეს, საშინელ კოცონზე, რომელმაც შთანთქა მისი დედა და პირმშო, მომღერალს სასოწარკვეთილების კულმინაციაშივე აყავს. „ეს სიმღერა კი არა — სინამდვილა“. — ამბობს დარდით გატეხილი, მხრებამოყერილი აზუჩენა და საშინელ სინამდვილეს, თითქოს, წუთიერი გარინდება შეაქვს ბოშათა ურდოში, გაოცდება და ეჭვები იპყრობს მანრიკოსაც — მამე ვისი შვილია იგი, თუ არა აზუჩენას? და თითქოს თავი დაიხსნა საკუთარი სულიერი ჭრილობებიდანო, მოხუცი ბოშა მანრიკოს დედაშვილობის სათნოებით აღავსებს. მაგრამ შინაგანი ხმა აზუჩენას სხვა მიზნისაკენ მოუწოდებს. მისი მოწმუნებით აზიდული ფიგურა, შურისძიებით ანთებული თვალები და საბრძოლო მოწოდება მანრიკოს კაბალეტას თავისებურ პრელუდიას უკეთებს. მეტად დამაჯერებელია ლეილა გოცირიძის მიერ მოცემული საინტერესო და ფსიქოლოგიურად რთული მოდულაციები. დასანანი იყო მხოლოდ ის, რომ მომღერალი ყოველთვის თანაბრად არ იყენებდა თავის შესანიშნავ ვოკალურ შესაძლებლობებს.

აზუჩენას როლის მეორე შემსრულებელმა ტ. მალიშევამ დამსახურებულ წარმატებას მიაღწია. სცენურად საკმაოდ დინამიურ სახეს მომღერალმა საინტერესოდ შეურწყა დრამატიზმით აღსავსე მუსიკალური ეპიზოდები. აღვნიშნავ მთელ II მოქმედებას და აგრეთვე სცენას საპრობოლიზში.

არ შეიძლება დადებითად არ შეფასდეს ახალგაზრდა მომღერლების ნაიბიძისა და ლაფერაშვილის მიერ შესრულებული ფერანდოს პარტია.

ახალი დადგმა თეატრის ცხოვრებაში მარტო ახალი სახეებით, დეკორაციებითა და გაძლიერებული აპოლონისმენტებით არ შემოიჭრება ხოლმე. მისი წარმოშობა სცილდება ჩვეულებრივი ესთეტიკური საიმონების მიზნების ფუნქციას. ახალი სპექტაკლი მხატვრული კოლექტივის შემოქმედებითი დღევანდულობისა და მიმავლის მკაფიოდ დანახული სახეა. სწორედ ასეთი სახე „გამოჩნდა“ ვერდის ოპერა „ტრუადურის“ განახლებულ დადგმაში ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერის თეატრის მიმდინარე სეზონში. ეს სეზონი კი საკმაოდ ღარიბი აღმოჩნდა ახალი რეპერტუარით. იმ დროს, როდესაც საკავშირო საოპერო თეატრები თავის რეპერტუარში დიდ ადგილს უთმობენ საბჭოთა და უცხოეთ ავტორთა ისეთ ნაწარმოებებს, ურომლისოდაც შეუძლებელია თანამედროვე საოპერო ხელოვნების წარმოდგენა, ჩვენი თეატრი ჯერ კიდევ ვერ გასცდა საოპერო რე-



აზუჩენა — ლ. გოცირიძე

პერტუარის ერთფეროვნებასა და კონსერვატიზმს. დროა, თეატრის მხატვრული ხელმძღვანელობა დაფიქრდეს იმ გარემოებაზე, რომ რეპერტუარს სჭირდება გადაახალისება, შევსება ეპოქალური მნიშვნელობის ახალი საოპერო ქმნილებებით, ახალ თემატიკას ყოველთვის დიდი შემოქმედებითი სტიმული მოაქვს მუშაობაში და ჩვენი თეატრის ნიჭიერი ახალგაზრდა შემსრულებლები შედგომი ზრდისათვის სწორედ ასეთ სიახლეს მოითხოვენ. ამასვე ელის ჩვენი საკმაოდ მაღალი მოთხოვნების მქონე საზოგადოება.



განმგებლის, ხელოვნების (პოეზიის, სიმღერის, მუსიკის) მფარველის — აპოლონის სახელს ატარებს... და, აი, ანტიკური ღვთაების ამ მყუდრო სამყოფში X X საუკუნის კაპიტალისტურ-მა სინამდვილემ თავისი ექსტრაგაგანტური ნაბიჯებით შეინაგარდა. აწორდ იმ ხანებში, როდესაც ყველა პათიოსანი ფრანგი მწერად არის ჩაფიქრებული თავისი ქვეყნის მომავალზე, კლასობრივი ჩაგვრისგან მშრომელთა გათავისუფლებაზე, მერკანტული ციებ-ციხელებით შეპყრობალი მილიარდერები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან გზავნიან პარიზში თავიანთ ამანათებს, რითაც ცილიზაციის თვალის მოსწრან ამა ქვეყნის დიდთა და მცირეთ, ხოლო ამით თავიანთა ყველაფერს მოყრტვებულნი მცხრად ქცეული გული კადვე ერთხელ აღივსონ ყალბი პათიომოყვარებობითა და ამაო ყოფილობით. აპოლონის გალერეა, აი, სად აირჩიეს შეჯიბრების ასპარეზი გაზულქებულია მუქთახორებმა... ეს ასე მოხდა...

ნაირი ღონისძიებანი, რათა დარწმუნებინათ განძის პატრონება ვაჭრით რისკი და ღრუბით გამოეფინათ ისინი.

— ასეთი ექსპოზიციის მოწყობა ნამდვილი საგიჟია! — გაპყვირდა საფრანგეთის სადაზღვეო კომპანიების გენერალური დირექტორი. პარიზის პოლიციის პრეფექტი შემოთვთებულად აღიარებდა, მას არა აქვს იმედი, რომ პოლიციელებით დაიცავს ციხე-სიმაგრედ გადაქცეულ ლუვრს. და მიუხედავად ასეთი ისტერიკული გამოსვლებისა, მაინც მოაწყვეს გამოფენა, რომლის მსგავსი არასოდეს უნახავს მსოფლიოს.

ცხადია, ძნელი იყო რამდენიმე ქვეყნიდან პარიზში ბრილიანტების გადმოსატანად აუცილებელი უსაფრთხოების გარანტირება. ამიტომ მხოლოდ ორმა კაცმა (გამცილებულმა და შემხვედრმა) იცოდა ხოლმე სადღუმლო, ხოლო ტრანსპორტად მუდამ თვითმფრინავი იყო გამოყენებული.

დიდი დავიდარბის შემდეგ საფრანგეთის რამდენიმე ფირმამ ხელი მოაწერა საგანძურთა გამოფენის დაცვის პოლისებს, ხოლო სადაზღვევო თანხის რაოდენობა საიდუმლოებით მოცული დარჩა.

რადგან პოლიციამ გადაჭრით უარი განაცხადა ეკისრა ლუვრის დაცვა, გამოიძახეს ბენსაში გასული ორმოცდაათი კომისარი და ერთ-ერთი თანამდებობის საირის ხელმძღვანელობით ისინი ერთგული ძალებივით ფეხმორეცეულად იცავდნენ დღედაღამ საგამოფენო დარბაზს.

აპოლონის გალერეაში განლაგებული ექსპოზიცია ორიგინალურად იყო მოწყობილი. ექსპონატები ტყიაგაუმტარი მინებით გაწყობილ ტყარინებში მოთავსეს. მათგან ერთმანევიარ მეტრის დაშორებით აგებული მოაჯირის გასწვრივ ჩაივლიდნენ მნახველები, ხოლო თუ ამ საზღვარს ვინმე დაარღვევდა, მისი სახე მსწრაფლ აღიბეჭდებოდა ფარულად მოწყობილი ფოტოლემენტებისა და აპარატების მეშვეობით. ამავე დროს ამოჭმედდებოდა სავანგაშო სიგანლიზაციის მთელი სისტემა, ავტომატური ლიფტ-პლატ-

## „კრეზის ზიიში“

### საფრანგეთში

#### გიორგი ჩიქობავა

ურვეულო ფაციფუცით შეუდგნენ პარიზის ლუვრის საიმედო დაცვის გეგმის შემუშავებას. სპეციალურად მოწვეული ესპერტთა დადმა შტაბმა მუზეუმის შეუვალობისათვის საჭირო ღონისძიებათა ორმოცდაათამდე პროექტი შეიმუშავა და წარმოადგინა. ბოლოს ერთმა მათგანმა გაიმარჯვა „კონკურსში“ და აპოლონის გალერეაში ჩვენი საუკუნის ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აგებული მექანიზმები დაიდგა. აქ გამოაფინეს 200 სახელგანთქმული ბრილიანტი (რომელიც ამჟამად სხვადასხვა ქვეყნების განძთ-საცავებში, ცეცხლგამძლე სეიფებსა და მუზეუმებში ინახება).

გალერეაში თავმოყრილი ძვირფასეულობის საერთო ფასი მილიარდ დოლარს აღემატებოდა. გამოფენის მოწყობის იდეა ოციოდე წლის წინათ ჩაისახა, მაგრამ მის განხორციელებას წინ უძღვოდა ორი წლის განმავლობაში განუწყვეტელი მოლაპარაკება ბრილიანტების მფლობელებთან, სპეციალური კონფერენციები და ათას-



აფრანგეთის მეფეთა ყოფილი სასახლე, ლუვრი 1793 წლიდან წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს მუზეუმს, რომლის დარბაზებში და გალერეებში ხელოვნების ქმნილებათა უძვირფასესი მულდები გამოფენაა განლაგებული. ერთ-ერთი გალერეა ძველი ბერძნული მითურ-რელიგიური ღმერთის-მისისა და სინათლის



გიგო გაბაშვილი

ალექსანდრე დვორკინი



ფორმები კი ელვის სისწრაფით ჩაასრულდნენ მიწისქვეშ მოთავსებულ სარდაფებში ბრილიანტებით დამშვენებულ ვიტრინებს. იმავე ფოტოელემენტებით დაკავშირებული სპეციალური მექანიზმები ვასოსებით ჩაღობადნენ გალერეის ყველა კარს და სივლი რაღაც 45 წუთში მთელი ლუვრი პოლიციის გაძლიერებული კორდონის ალყაში მოექცეოდა. ვარდა ამას, მძარცველებისგან დასახლვევად გათვალისწინებული იყო ყველა შესაძლებლობა — ლუვრზე მოსალოდნელი საპაეო თავდასხმებიდან დაწყებული, ხანძრის განებით დამთავრებული. ყველა არასასურველი შემთხვევასათვის მზად იყვნენ მცველები ავტომატური მექანიზმები, ცივი და ცხელი იარაღი. ეს გასაგებია, რადგან გამოვანაზე განლაგებული ბრილიანტების უმრავლესობა მეტად ძვირფასი იყო და თვითმუდ მათგან გასაოცარი ისტორია ან ლეგენდა ახლდა.

მრავალი ქვეყნის უთვალავ ბიროვნებათა ხელიდან ხელში გადადიოდა ძვირფასი თვლები. მათი საფასური მხოლოდ ოქროთი არ ამოიწურებოდა. ზევრ მათგანში აძლევდნენ მამულს, უძრავ ქონებას, მიწებს და... სიკაცხელსაც კი. ბრილიანტების ამ გადასაცვლებს თანახმა და ძარცვაგლეჯა, ფარული თავდასხმები, მოსყიდვა, მკვლელობა, თაღლითობა და ალბათ. ამის მაგალითების მოყვანამდე, ორიოდ სიტყვა ბრილიანტზე და აღმასზე.

ალმასი პირველი კლასის ძვირფასი ქვაა. იგი მინერალს, სუფთა კრისტალურ ნახშირბადას წარმოადგენს. მისი უმაღლესი სიმკვრივე უდრის 10 (მოორის ცხრილით), კუორი წონა — 3.5. ეს მინერალი უმეტეს შემთხვევებში უფერულია, იშვიათად კი ყვითელი, ლურჯი და ვარდისფერი დაყვება. ყველაზე მეტად გამჭვირვალე ალმასი ფასობს. გაუმჭვირვალი ალმასის ნაირსახეობანი ზორტი და კორზონადი იმპარება სხვადასხვა სახის წარმოებაში: მთის ქანების საბურღავად, საკარკირო ხელოვნებაში, მინის საპურღავად და სხვ. დიდი რაოდენობით მოიპოვება ალმასი სამხრეთ აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში.

გათლილსა და მოწინააღმდეგეულ ალმასს ეწოდება ბრილიანტი. მისი ფორმა წარმოადგენს ორ წარკვეთილ პირამიდას, რომლებიც ერთმანეთს ფუძეებით ეყრდნობიან. ვარდა ამისა, აქვს უაზრავი წვერი-წვერილი წახანაგიც. ბრილიანტი ფასდება წონით (კარატებში), ფორმით, გამჭვირვალობით, ფერთა თამაშით (ლიტლიცით) და სხვა ამგვარი თვისებებით.

ზუნების წიაღში ნაპოვნი ალმასი ხშირად წააგავს ჩვეულებრივ მინას. მისი დენვა იწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც მის ვინმე შეიცნობს ძვირფას ქვად. მაგ. 1905 წელს წვერის ძვირირაში ერთმა მუშამ იპოვნა „იულიანი“ 3.106 კარატის (ერთი კარატი უდრის 0.2 გრამს) წონის მუშტის ოდნავ ალმასი, რომელიც ჯერ მინა ეგონათ. შემდეგ კი 150.000 გირვანჯა სტერლინგად შეაფასეს და ინგლისის მეფე ედუარდ VII-ის აჩუქეს. ტრანსვაალადან ინგლისში გადაიტანეს ეს ქვა 1.250 ათას დოლარად იქნა დახვლეული. „იულიანი“ ყველა ჯეაჰირჩის (იუველირის) დანა აისხატა. რამდენიმე ნაწილად მისი დამსხვრევა შესძლო, მხოლოდ ამსტერდამელმა სტატმა ასხრდა დანას მხოლოდ დარჩენილი. ეს „დიდი იულიანი“ ცხრა დიდ და ოთხმოცდაათექსმეტ ჰატარა ნაწილად გაიპო. შემდეგ კი ცალცალკე გათალეს. აპოლონის გალერეაში გამოფენილ ამ ბრილიანტებს ეწოდება „აფრიკის დიდი ვარსკვლავის ძმები“ ან: „იულიანი II“, „იულიანი III“, „იულიანი IV“ და „იულიანი V“. რაც შეეხება თვით „აფრიკის დიდ ვარსკვლავს“, ეს არის მსოფლიოში ყველაზე დიდი ბრილიანტი, რომელიც 530 კარატს იწონის და ინგლისის დედოფლის ელისაბედ II-ის კეობის ამწვენებს. ამ ქვას „იულიანი I“ ეწოდება. აპოლონის გალერეის დამთავლებიერებლები მას ვერ იხილავენ, რადგან, ინგლისის სასახლის საკაო რეზების თანახმად, ეს ბრილიანტი იშვიათად ტოვებს სამეფო საპურტულს, ხოლო დიდი ბრიტანეთის სამეფოს სახვრებებიდან მისი გატანა აკრძალულია.

ლუვრში მოწყობილ გამოფენაზე გამოიჩინება აგრეთვე „რეკენტი“, რომელიც 136 კარატს იწონის. ამ ბრილიანტს, რომელიც ნაპოვნიცა თავისი დაშნის ვადა შეამკო, სისხლანი ისტორია აქვს.

ინდოეთში 1700 წელს ერთმა მონამ იპოვნა „რეკენტი“ და ფების ტრილობაში დამალა. კარგახანს ასე ბატარა და შემდეგ ვიღაც მეზღვლავს შეაგლრა იმ პირობით, რომ ეს უქანსკნელი ხელს შეუწყობდა მონობიდან გაქცევაში. უმადურმა მეზღვლავრამ ხელთ იგლო ძვირფასი ქვა, ხოლო შემდეგი მონა სიკოცხლეს გამოასალმა. ალმასში მიღებული ფული მეზღვლავის მალე შემოხარჯა ლოთობასა და ხეტიალზე, ბოლოს ხომადლის ქანდარავე თავი ჩამოიხრხო. ამის შემდეგ „რეკენტი“ მადრასის გუბერნატორმა შეიძინა, შესანიშნავად გაათლევინა (გაპარხებინა) და ზღაპარულ ფასად 3.375 ათას ფრანკად მიჰყიდა ორღენელ ჰერცოგს. 1792 წელს (საფრანგეთის რევოლუციის ხანაში) ეს ბრილიანტი მოიპარეს, მაგრამ ერთ-ერთი ქურდის დაბეზლებით დასცეს ადგილი, სადაც გადახლდილი იყო პატრონის თვალი — იგი აღმოჩნდა პარიზის ბატარა სამიკიკნოს სხვევის ღარტყევაში.

საინტერესო ისტორიები აქვს არა მარტო ძვირფას ქვათა მოპოვებას, არამედ მათ დამუშავებასაც. მათი გათლა-გაწყობა მეტად სასიკოო საქმედ ითვლება, რადგან პატრონები ხშირად მოიხიოფენ ალმასის რამდენიმე ნაწილად დამსხვრევას, რასაც შეაძლება მოჰყვებ არასასურველი შედეგი — მრავალ წვერი-წვერილ ნატეხებად დაქუცმაცება. ამის თავიდან ანაწვევრებდნენ და ოქროს ქულადიდა და დაკვირვება სჭირდება. საქვეყნოდ ცნობილია ძველა მოსკოვის ჯეაჰირჩების ნახელავი. მიყრუებულ ქუჩეში გამართულ პატარა სახელისნოებში ისინი ნამდვილ სასუაულებს ახდენდნენ, მოხდენულ ნატეხებად ანაწვევრებდნენ და ოქროს ქულადიდა (ბუდეგეში) საშუალოდ გამოაწყობდნენ ისეთ დიდონსა და უძვირფასეს ქვებს, რომლებზეც ფოდლანს დანის დაკარგვას ვერ ზედვადნენ პარიზის, ლონდონისა და ამსტერდამის დიდოსტატები.



ქმობა უკობე



ხლახანს ქართველმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ქართული სცენის დიდად ნაამაგდარი მოღვაწის ვალერიან გუნიას დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი იუბილეუ...

ქართული რეალისტური სცენის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენლის, სახელოვანი ოსტატების ლაღო მესხიშვილის, კოტე უიფიანის, კოტე მესხის, შაკო საფაროვა-აბაშიძის თანამედროვის, — ვალერიან გუნიას სახე მეტად რელიეფურად იკვეთება ქართული თეატრის ფონზე.

ვალერიან გუნია — დიდი მოქალაქე, ვალერიან გუნია, — საზოგადო მოღვაწე, ვალერიან გუნია — დიდი ხელოვანი, არტისტი, რეჟისორი, დრამატურგი, თეატრის თეორეტიკოსი, კრიტიკოსი, ვალერიან გუნია — პრაგანდისტი, გულშემატკივარი ყოველივე ახლის, მოწინავეს და მრავალი სხვა... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს...

იგი დაჯილდოებული იყო უკელა იმ თვისებით, რომელიც უკედევყოფს პირიქცებს, მის სახელოვან ცხოვრებას ისტორიის ფურცლებზე აღბეჭდავს და შვილიაშვილებს შემოუნახავს...

საინჟინერო შესრულება ოპერა „ლაისიდან“





ვალერიან გუნიას ასეთი მრავალფეროვანი ინტელექტუალური და შემოქმედებითი დიაპაზონის დამადასტურებელია იმდროინდელი პრესა უფროსად-გაჭოფები, და ის მეტად უხვი, მღვდარი არქივი, რომელიც დარჩა მას და რომელსაც საოუთად უფლიან ვალერიან გუნიას ქალიშვილები...

დღეს, როდესაც აღინიშნება წიგნი გვახორბებს ვალერიან გუნიას ცხოვრებასა და შემოქმედებას, იგი თავის ტენდენციებით, ნამოღვაწერით, ნააზრკით ცხოველ ინტერესს წვევს ჩვენში...

არქივში ვალერიან გუნიას შრომებთან, სტატეტიკებთან, წერილებთან, გამოანათკვებთან ერთად ინახება აგრეთვე მისადმი მიწერილი წერილები, საიბუბოლო ადრესები, მოგონებები...

არქივის გაცნობაში დიდად დაგვიხმარა ვალერიან გუნიას ქალიშვილი დოლო გუნია, რომელმაც არქივი უკვე სისტემაში მოიყვანა, დროის, თემატისა და ხასიათის მიხედვით დააჯგუფა...

ჩვენ გადაწყვიტეთ უფროსად ფერცულვებ მოგვეთავსებინა საინტერესო მასალები ამ არქივიდან, რომელთა უმრავლესობა ჯერ არ გამოქვეყნებულა...

პირველი წერილის ავტორი ჯერ დადგენილი არ არის... მაგრამ იგი იმდენად საინტერესოდ არის დაწერილი, რომ საქართველო ვალერიან გუნიას მიხედვითა... ეს წერილი საიუბილეო სადამოუკუნო წიგნითა ვერცხვად ანჯაფარებდნენ:

„როდის გავიგონე ან ვნახე პირველად ვალერიან გუნიას, კარგად არ მახსოვს. ეს იყო თეატრში, თუ წიგნში, აფიშაზე თუ გაზეთში, ამხანაგის ნაამბობში — როცა ბავშვი ვიყავ. თუ უფრო მოკვარ მოზარდიმდებ ღამაარაკს, არაფრის თქმა არ შემეძლია.

ქალზე, რომელიც გიყვარს, ვერ იტყვი, რომ იცნობ ამა და იმ დღიდან. როგორც საიდუმლო მოღვენა მესხიერება, ისე ცხოვრობს ჩვენი ჯერ კიდევ მაშინ, როცა არ გიცნავას.

ასევე არიან კარგი ადამიანებიც, პოეტები, მწერლები, მუსიკოსები, აი, მღვდელი მღვდლები ჩვენი ბიძებისა.

ცხოვრობს ჩვენში ისე, რომ ბინის ქირასაც არ იხიან და გვაუწყებენ ათას უსაბოვნებს მით, რომ ვაფთქებენ, გვაძლევდნენ სწავლას ჩვენი სულსა და გულს...

მე მგონია ვალერიან გუნია ჩემი ცხოვრების ყოველ ასაკში მინახავს.

ბავშვობა... სურმე... სიბავშუე...

მე მას ვიცნობდი ჩემ სურმეში, მაგრამ განა შემეძლია ვთქვა, რომ არ ვიცნობდი ჩემს ბავშვობაში!

ჩემს სიცოცხლეში მისი გვარი ისე ხშირად წამიკითხავს, ისე ხშირად მინახავს თვით იგი:

გაჭოფო... აფიშაზე... წიგნის უდაზე... კალენდარზე... სურათში... კარბაზე... პროცესებზე... მიტინგებზე...

ვინ არის ბოლოს და ბოლოს ეს ადამიანი, დაბადებული ერთსა და იმავე დროს — მსახიობად, დრამატურად, რეჟისორად, ორგანიზატორად, მოქალაქედ.

როდესაც ადამიანი მარამიწილად არის შევავებული ზღვარებში. ცოდნა და ენერჯია, მაშინ მისთვის პროფესია აღარ არსებობს.

თეატრი მისთვის ის დაწესებულება იყო, რომელიცაგანაც მას იდუმალი სიმშატია აერთებდა.

თეატრი მისთვის ყველაფერი იყო!

მოვიგონეთ ქართული თეატრი, ეს ქუმშარტ შრომის მოყვარუბის სახლი, სახლი ნიჭისა და შვენიერებისა.

სამოცი წლის განმავლობაში ეს იყო დიდი საუკურ სახლი, სადაც იცავდა, იხურავდა და იკვებებდა სულიერად საქართველო.

და იმ სულიერი საწოლის მესამედს, რომელსაც იძლიერდა ეს სახლი, ზღდ ეწერა: ვ. გუნია.

სწორედ რომ ვ. გუნია... რადგანაც გუნია გვარი კი არ იყო, არამედ ქალაქი, დიდი ქარხანა, სადაც მზადდებოდა კულტურული აქსესუარები საქართველოს ახალის ცხოვრების.

ღმერთო, ჩემო ანტერპრისა — გუნიასი რეისურა — გუნიასი!

ტრადიცია — გუნიასი! დრამა — გუნიასი! კომედია — გუნიასი!

ლიბრეტო — გუნიასი!

ეს უკვე თვით გუნიას ოსტატობას აღმებობოდა და თეატრის განმოსვლები ვიპაზლით:

— მოგებებრდა, ბატონო, გუნია!

მაგრამ ეს არ იყო გესული ნათქვამი, უმადურობით წამოსროლილი სიტყვები... პირიქით!

გუნია მოქალაქე იყო... — მამულიშვილი!

მან დაარსა ახალი გაზეთი „სახალხო ფურცელი“, უსაყვარლესი გაზეთი ქართველი ინტელიგენციისა.

პირველმა გამოსცა „საქართველოს კალენდარი“:

გუნია ის „შემტკბული“ იყო, რომელიც თან სდევდა ყოველ ამანათს, გაგზავნილს საქართველოს მივარდნილ და მივრუებულ ადგილებში...

მე მგონია მის ცხოვრებაში ისეთი გაცხარებული დროც იყო, როცა პირდაპირ სახში იყო მათთან მიახლოება.

მოკვარდათ თავის — „ვ. გუნიას“, — და მორჩა!

უნდა გველოთ ამ დღით, როგორც ნივთს!

შემდგინდეს... გამოცემულს... გამომქაროლებულს... — ვ. გუნიასგან“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არქივში ინახება მოგონებები, საიუბილეო აღტრები მიძღვნილი ვალერიან გუნიასადმი, სადაც იგი მთელი სისხლით წარმოგვიდგება თვალწინ. მათ შორის არის ცნობილი მწერლის ნაწარმო „შანშაშვილის მეტად საგულსისმო და საინტერესო მოგონება, საიდანაც ირკვევა, რომ ვალერიან გუნია უკუფიდა ის ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც ს. შანშაშვილის სამწერლო და ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლას შეუწყო ხელი. ვაქვეყნებთ ძირითად ფრაგმენტებს ამ მოგონებიდან:

„ვისაც ვალერიან გუნია არ ჰყავდა ნახული და იგი ქუჩაში შეხვედრებოდა, უფრო მეტი წინაშე შეჩერდებოდა და ცქერას დაუწყებოდა, რადგან მას მომხიბლავი გარეგნობა ჰქონდა.

ზოგი მას რომადე პატრიკს ამგავანებდა, ზოგი ბერძენს, ხელო იგი ნამდვილი ქართული მშვენიერებით იყო შეწყველი.

პირველად ვნახე მიწაფილების დროს, მძიმე ნაბიჯით მოაკლებდა კვადრა შერუთლ აკაკის.

ჩანს მე ისეთმა ცნობისმოყვარეობამ შემეპყრო მათი დანახვის გამო, რომ ვ. გუნიაზე ხელთ მაინცა ახლო მივხუდილავი.

მეთხიბა: რა გვარის ხარო.

მე ვუთხარი ჩემი გვარი და სახელი, მაგრამ შემდეგ ჩემი უურაღილება აკაემ მიიპყრო. ვიყან სურათით. დიდდენიდა ზეხირად ვიღობა მისი ლექსები და კინადა წამოვიძახე: „ვიცნობ, გაზაფხულად, ბუჩქის ძირას, თავის იწონებს ნაწო ია!“

ვალერიან გუნია დაინტერესდა ჩემით, კითხვებს კითხვებზე მაძლევდა. რაჟი გაგო, რომ კახეთიდან ვიყავ — ქიზიული, მშობლების ვინაადაც გამოქითხა.

ბოლოს ვ. გუნიაზე უბიდან წიგნაკი ამოიღო, იქიდან ამოხიდა ერთი ბილეთი და მოხიბა:

— „შენ ძალიან ცნობისმოყვარე ბიჭი ჩანხარ, ამიტომ ამ ბილეთით მიდი სადამოზე ქართულ თეატრშიო!“

სიტყვა და წაიდენნ სახალისი ქუჩით პირდაპირ ქართულ თეატრისაკენ, სადაც აუფადა გრიბოედების სახელობის თეატრია.

საბოლოს თეატრისაკენ გავვერდეთ. ვიყან, ოტელის როლის ის თამაშობდა, ვინც მე ბილეთი მომიცა.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა სიამავე ვგრძნობდი, როცა გავიგე, რომ ბილეთი ჩემთვის ოტელის მოთამაშეს გადავცო. ოტელი პირველად ის საბოლოს ვნახე და ჩემზე წარუშუბელი შობავდებოდა დასტოვა. მას შემდეგ ვ. გუნია ჩემთვის დიდად პატივისცემი ადამიანი ვახდა.

მაშინ ლექსებს მხოლოდ ჩემთვის ვწერდი. გამოქვეყნება ორი თუ სამი წლის შემდეგ დაიწყო. ვ. გუნია ამ დროს ოფორისტულ უფროსად რედაქციას ხელმძღვანელობდა.

რედაქცია არ ჰქონდა. შეფარებული იყო მიხედილ გარჩილადის



### პრეზიდენტი გუნიას იუბილზე

სტამბის ერთ კუთხეში. ეს სტამბა მდებარეობდა „მადათვის კუნძულზე“. ეს კუნძულიც დღეს აღარ არსებობს, იქ მტკვრის სანაპირო ქუჩა გაუყვანილი.

იმ სტამბაში ვალერიან ლევანის ძეს, ასე ეძახდნენ ასოთაწერებში, მივუტანე ლექსები. აქ გავახსენე ბილიოს ამბავი და აქ ვაღაუბლე დაგვიანებული მაღლობა.

3. გუნია თავის უფრანლოზი დიდი ადგილს მიმთხოვდა. ლექსების გარდა ვთავსებდი კარიკატურებს პოლიტიკურ ამბებზე და უფოცხოვრებთ საკითხებზე. ზშირად კარიკატურის თემას თვით 3. გუნია მამოვლედა. 3. გუნია სასტიკად ილაშქრებდა იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც ეროვნულ საკითხში ნიღლისტურად იყვნენ განწყობილნი, განსაკუთრებით ეს ვალაშქრებდა გამაჟღერდა მას შემდეგ, როცა წინაშურში ილია მოკლეს. 3. გუნია ალფოთიებული იყო იმით რომ, როცა ილია მოკლეს ერთ-ერთმა ლიდერმა მენშევიკებისამ ილია შეადარა ნათვტს და დასწერა: „რა მოხდა, როცა ხეს სჭირან, ნათვტს სცვივო“.

ამისა გამო 3. გუნია ძალზედ გამწარებული იყო და მწარე ისრებსაც ისროდა.

გუნიას მიერ ნათამაშები მამონდელი ოტელი დღესაც თვალწინ მდგას. სიკვდილამდე არც დამაიწყებდა. ასევე ღირს შობამდელიცა მოახდინა და არ დამაიწყებდა 3. გუნიას მიერ შესრულებული ოთარბეის სახე. განსაკუთრებით, როცა ნინო ჩხეიძე ასრულებდა ზეინახის როლს. ოთარბეის მრავალი კარგი მოთამაშე მინახავს, მაგრამ 3. გუნია არაჩვეულებრივი იყო გაიანთსონ და ზეინახთან მონაწიების სცენაში.

ერთბელ კიდევ მივუტანე სტამბაში ლექსები. უნდა აღვნიშნო, რომ ლექსებს სიამოვნებით მიმბეჭდვდნენ სხვა რედაქციებშიც, მაგრამ ჰომორას არ იძლეოდნენ.

მაგრამ ერთი გარემოების გამო 3. გუნია მშობა ჰომორაში. 1907-ში გამხზრკის და დამახატბრეს. რამდენიმე დღის შემდეგ ციხეში მივიღე 15 მანეთი. 3. გუნიას მიერ გამოგზავნილი, თან მითვლიდა „გული არ გაიტბო. მალე განთავისუფლდები, პროკურორთან

საქმე მოვაგვარო“. პროკურორს, ვის ხელშიაც ჩემი საქმე იყო, 3. გუნია იცნებდა, უნახავს და ჩემს საქმეზე მოლაპარაკებია.

დაკითხვის დროს ვატობდი, რომ პროკურორი ჩემდამი არ იყო მტრულად განწყობილი, ჩვენება ოქმში თვისებურად შეტყობდა და ამით სსსამართლოს სასჯელი შეამსუბუქებინა.

განთავისუფლების შემდეგ წავლე საზღვარგარედ. ასე ადვილად ვერ წავიდოდი, რომ სხვა უფროს ამხანაგებთან ერთად არ დამხმარებოდა 3. გუნიაც.

საზღვარგარეთიდან 1912-1918 წლებში „სახალხო გაზეთის“ რედაქციას გამოვეუგზავნე ორი პიესა. ერთი ჩემი — „უფერგვინო მეფენი“ და მეორე ჩემ მიერ თარგმნილი „დონ-კარლოსი“. ორივე პიესა 3. გუნიასთვის სასონ ფირცხალავას გადაეცა. მან ორივე პიესა დადა: „უფერგვინო მეფენი“ აღ. იმედარეილის საბუნფოხლ, ხოლო შიღირა — თავის საბუნფოხლად.

წერილობით და რეცენზიებით ვიგებდი ამ პიესების წარმატებას. 3. გუნია იყო დიულაღვი საზოგადო მოღვაწე. თეატრის სიმბიშვს ხანდახან მართკ ის ერთი ეწეოდა. ის იყო რეისორი, მახიობი, დრამატურგი, დემონსტრატორი, ანტარგენიორი და უბრალო სცენის მუშავი.

თეატრის დასს იგი მეთაურობდა ხანდახან ისეთს დროს, როცა უცვალოფერი უბატრონილ იყო მიტოვებული და წყარო არსებობისა არსიდან ჩანდა.

მე შინდა მოვიგონო კიდევ ერთი ამბავი, რაც ლაპარაკობს გუნიას მალე მოქალაქეობაზე, რომელიც მიამბო მწერალმა ქალმა ნინო ბეგეის ასულმა უიფიანმა, დიმიტრი უიფიანის რძალმა („სარტაკის“ მთარგმნელმა).

როდესაც მეფის აგენტების მიერ სტავროპოლში გადასახლებაში მეოფი ვერაგოლად მოკლული დიმიტრი უიფიანის ცხედარი ჩამოსვენეს და მისი მოწმობილავე დაკრძალვა ვაღაწვიებეს, ქართველი საზოგადოებრიობა პოლიციისა და ეანდარმეობის მხრე დიდ წინააღმდეგობას წააწედა. როდესაც ცხედარი სიონიდან გამოსვენეს და პროციცა მოაღდა სასახლის ქუჩას, წინ ვაღაეოლა პოლიცია და ეუნდარმერია. ნებას არ აძლეუდა მიცვალებული მეფისნაცვლის სასახლის წინ ვატარებინათ, (ამამად იქ მოიწერთა სასახლეა), დაკრძალვას დიდიძლი ხალხი ესწრებოდა.

შეიქმნა უზერხულობა, პოლიცია ვიუბობდა. სამდევლოებმა შეუფილდა, უკან ვაბრუნება დიდი დამციტება იქნებოდა...

ამ დროს პროციცის მეთაურმა ვალერიან გუნიამ იშოშვლა ხანჯლი (იგი ხანდახან თეატრ ჩოხა-ახალუსს ატარებდა), და პოლიციას მრისხანე მშით შესძახა: „მკვლელები თქვენ ხართ და ეხლა დამარხვასაც არ ვაგებებთო“.

სასახლის წინ ვავლის დროს თურმე ხმამალა იძახოდა: «Вот здесь почивают убийцы».

ამის გამო 3. გუნიას დიდი სასჯელი ელოდა, მაგრამ მეფის მთავრობა იძულებული იყო ყური მოეყრებოდა: „...“



დოლო ანთაძე





### სიმონ ქვარცხელი

3. გუნია ერთსა და იმავე დროს არის სახელმწიფო მსახიობი, სახელგანთქანი რეჟისორი, ცნობილი დრამატურგი, უფროსი პროფესორი, გამომცემელი და მებრძოლი საზოგადო მოღვაწე. ერთი სიტყვით, ვალერიან გუნია თავის მოქმედებით საზოგადო, სასცენო თუ სამწერლო ასპარეზზე წამდელი უნივერსალური დაამიანია, და უკვე-ლივე ამას მან მიაღწია მარტოოდენ თავის მედგარი შრომითა და შევადინებით, რაც ასე იშვიათია ჩვენს დუბჟირ ცხოვრებაში, მით უმეტეს პატრისკაში და დასაფასებელი.

აქ არ შევუდგებით 3. გუნიას მრავალფეროვან მოღვაწეობას აღწვსავს და დახასიათებას. მის მგზნებარე გულში ღვივის უზენაესი გრძნობანი და სამშობლოსადმი მძლავრი სიყვარული. ერთსა და იმავე დროს იგი ღირსეული ქართველია, ერთგული და-რავი თავისი მამულისა და ბოროტებასთან მებრძოლი გამბედავი მოქალაქე. — ეს არ არის ლიტონი სიტყვა! ჩვენ ხელთა გვაქვს ამის უტყუარი საბუთები — 3. გუნია არ ჩაფლ მიწაში, მცონარ მონასხეთი თავისი იშვიათი ტალანტი. მედგარი შრომით და მუდმივი შევადინებით მან ისარგებლა და აშრავლა იგი ქართველი ერის სა-კეთილდღეოდ. გაქირებება, დაცინვა და უსამართლობა განიცადა მან თავის ცქლიან გზაზე. პირქუში ბედი არ უღიშოდა მას ზოგიერთივით. მაგრამ 3. გუნიას უპოვარა მხენობამ დასძლია უკველივე და მოუპოვა მას საპატიო ადილი ქართველ მოღვაწეთა შორის.

რის ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა შესაფერი პატივი ვცეთ 3. გუნიას ქებულს და ნაყოფიერ მოღვაწეობას, სასცენო და სამწერლო, საზოგადო ასპარეზზე 34 წლის განმავლობაში. ვუსურვებთ მას, კვლავ დიდხანს სტერიოდეს ხელში საზოგადო მოღვაწის ბრწყინ-ვალ დროში ქართველი ერის სახელმოდ და საბედნიეროდ (გაზ. „საქართველო“ 1916-28 აპრილი).

### ილია ზურაბიშვილი

ჭიკრფასო ვალიკო!  
უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში მთელმა რუსეთმა და მას-თან ერთად საქართველომ ისეთი სასწაულებრივი ცვალებობა განიცადა სახელმწიფო პოლიტიკური ცხოვრებისა, რომ თვით სტიქიონურ ოცნების მქონე დაამიანიც — კი ვერ წარმოიდგენდა.

გარდა საფუძველი ძველის წესწუბობებისა, მტვრად იქცა უკველივე ის, რაც მაგალდგუნასხეთი დასწროლდა ხალხის არსე-ბას... მთელი ჩვენი ცხოვრების გარის თითქოს უშველებელი ციხე იყო და თითოეული ჩვენგანი, — გარდა იშვიათის გამონაკლისისა, — ამ ციხეში პატიმრად გრძობდა თავსა.

და ანაწღელვად დაიქცა ეს, — ერთის შეხედვით, — დაუძლე-ველი საპატიმრო. — მის ნაწრეებზედ სდგას ხალხი და ახალ შე-

ნობის აგებას აპირებს, მხოლოდ არა ციხისას, არამედ მშვენიერ სასახლისას, სადაც მას შეეძლება თავისი სულ-ხორცის ძალა სათანადოდ განავითაროს.

ამიტომ, რა განაკვირველია, რომ ამ ნერვო-აღნავობის პროცესმა ჩვენც, — უნის მოღვაწეობის აღსანიშნავად განწარხულ ზეიმის მომწეობნიც, — ჩავითრია თვის მქეტყარე ბორებში და დაგვა-ვიწუა ჩვენი მოვადეობა უნის მიმართ.

დაგავიწუა მხოლოდ მცირე ხნით, რადგანაც, რაი გაღარა ეჭვის ღრუბელმა, თავისუფლების აღიონმა პირში შემოგვიცინა და რწმენა სრულის გამარჯვების შეიღდურა ცისარტყელასავით აგვიგზავნა გონების თვალწინ, — გაგახსენდა იგი მოვადეობა და მივაშურეთ ჩვენს დაგვიანებულ საქმეს.

გაგახსენდა იმითომ, რომ უკველი შენი მისწრაფება წარსულში ელამუნებოდა სწორედ იმ დღეს, იმ წამს, როდესაც გაეფდებოდა ხალხის თავისუფლება, და მთელი შენი არსება იღწვოდა ამ დღის მოახლოვებისათვის.

განვანალთ რა მუშაობა დღევანდელის ზეიმის მოსაწეობად, ჩვენ ვგრძნობდით, რომ ამით ვაცოტებოდა სადღისო საქმეს, რადგანაც დღევანდელი დღე ღვილი შვალია გუშინდელის დღისა და, რაც განხორციელდა დღეს, — ის ჩაისახა გუშინ.

აწყო უწარსულად არ იშობება! წარსულში კი შენი ღვაწლი უველასათვის თვალსაჩინო უნდა იყოს და არის კიდევ, ჩვენ ვიცით, რომ, როცა, — ძალ-ღონე შეგვეცლა, — პირველთაგანი იუჯ იქ, სადაც საქმრო იყო გაბედულება, ვეცაცობა, თავდადება! წოიოდ ღრობის ფრიალს როდ ერადებოდი იმ დროსაც კი, როდესაც იგი სიამის ღობლს კი არ იწვევდა ძველის ქვეყნის ძლიერთა ბაგეზედ, არამედ ცოცხა და ცბელთა ღრქანას!

და განა სხვა, მთელი შენი მოღვაწეობა იგივე თავდება არ იყო? მაშინ, როდესაც უნის ნიქის, ცდნის, განთვარების, უნარის წყალბით შეგედრო მეყდრო და სანებერო ადგილი მოგვეპოვე-ბინა რომელსაშე მოავრბობის ან სხვა დაწესებულებაში, — შეგეძლო

ბესო ჯღენტო





უზრუნველდევო შენი თავი და ოჯახი — შენ, მაღალს იდიეთ ვა-  
ტყებულმა, დასძლიე ყოველივე საპირადო გულისთქმანი და საშ-  
შობლიო ხელოვნებას მიეცე შენი თავი, რეზახურებოლ მას როგორც  
მსახობი, როგორც დრამატურგი, როგორც მემბრანი, როგორც  
ურნალისტი, მას შესწერო შენი ძალღონე, შენი ჭბატუების მშენ-  
ბარება, შეუხმინოს სიღარბისადა და მოხუცებულობის გრძნობა.

და რა მიიღ ამის წილი?  
ბიჭურულად შარავანდელი მოღვაწეა, მაგრამ ამასთანავე მუღ-  
ბი რეიტიერი სივირვერე ჟანის გატბა და სიღარბის დატ-  
ვიროული სიხვერე.

მაგრამ გულს ნუ გაიტკბე ქართველი ხალხი ისე არ გაუმადლერ-  
დება, რომ ჯეროვანად არ დაეფასოს თვისი მოქრანახულის ერთ-  
გული სამსახური!

თუ წარსულში, მონობის უღელ კვეშ, მისი სულიერი აღმაფრენა  
ფრთა შეგვეცილი იყო, მისი გრძნობათა გამოტკბის უნარი დაწ-  
ნული რევიტული, მისი ერთვნილი სახე — დასახიბრებელი, — ახლა  
ხომ სიხანართი თავისუფლება, — ეს უზენაესი მაღლი ერისა თუ  
ცალკე ადამიანის არსებობისა, — ცხრათავლა მწესავით თვალწინ  
გაბიჭრეწიანეს!

და თუ, მაშინ ქართული ერი მაინც ახერხებდა თავის მოა-  
მაგათა მაღლობის გადახდას, ნუთუ ახლა მასვე ვერ შესძლებს უფრო  
თავდასაზრად, უფრო გულუხვად.  
აი, დღევანდელი ზეიმი და აქ, დამხრწრე საზოგადოება არის ამის  
საწინაღობი და დაშლემბი..

მაშ მხნად, ჩვენი დროთა ბრუნული დათოვილიყო, მაგრამ სულით  
ძლიერი მებდროული ერთვნილი ხელოვნებასი ნუ იკრძალვი, რომ  
ვადამუყოფსა გიშლის წითლის დროშით წინ უძლიად ხალხს ეამსა  
საერთო ლიტანიასაში... იუენე მტარდის გრძნობით, ერთვე ხალხის  
ბედნიერებით და ქმყოფობის ცაგებობით მივიტოვო, ერის აღდგენას  
და შესწავლას, აწ თავისუფალი ქართული ხელოვნებასი!!!

ეს წერილებიც საქართველოს იმისათვის, რომ ვალერიან გუნიანზე  
ვამხატვრობო როგორც დიდი აზლის მქონე, პიროვნულად მოაზ-  
რუნებ ადამიანზე... იგი იყო ერთ-ერთი პირველითაგანი, რომელიც  
დიდის სისახურით მოეცადა ქ. მარტანოშლისა და ს. ამბტელის  
გამორჩენას ქართული თეატრში... შევიგრძნო მათი პოტენცია და გზა  
დაულოცა მათ დიდ ხელოვნებაში...

ამის უტყუარო საბუთია ვ. გუნიანს წერილი რუსთაველის თეატ-  
რისადმი:

„ნება მიბოძეთ, მეც, ყველაზე უფრო ხნიერმა და ძველმა მსა-  
ხიომმა, მოგილოციო თქვენი ათი წლის თავგამბებულთი შრომისა,  
ძველგანისილი დეაწლისა და გამარჯვების მიღწევათა დაგვირგვი-  
ნებას.

მტკარა სისულელი და შუბლ გარეცხილი ცილის წამება ის  
პირახული ჭორი, ვითოჲ ჩვენ, ძველების, გეშურდეს თქვენი,  
ახალგაზრდების ასეთი შეუპოვარი დაწინაურება, ასეთი თქვენი  
უზრუნველყოფილი უკაცობერება, თქვენი ასე მებდრად წინ განწ-  
რება ცხოვრების დოღჯე.

პირობი, ჩვენი უაღრესად ქმყოფილი და ბედნიერი ვართ  
თქვენი სამაგლობლო გამარჯვებით და საქვეყნო ზეიმ-ზარით, რად-  
გან ვიცით ის დაურღვეველი ჭეშმარიტება, და ნურც თქვენ დაი-  
წყუნებთ ამ ჭეშმარიტებას, რომ ახალთაობის იტლანდელი ბრუნე-  
ვადე აწმყო, ყოცად თუ ბევრად, დაშოიდებული კი არა, პირდაპირ  
აღმარებულთა თქვენს წინამორბედთა, ჩვენი ძველების მოხრლ  
ქელეს!

ნურც ის დაგავიწუნებთ, რომ ჩვენ შედარებით მეტად ცუდ  
პირახულზე ვმუშაობდით: პურის მაკერ ტაშის კვრით ვიკვებობდით  
და სუხსიან ყინვა ზამთარში ცეცხლის მაკერ ვუბოდილო საყოთარი  
ტემპერამენტის ჩვეთ. მეტად ცუდი, დღეობური და წყუთლი დრო  
იყო. მაგრამ ჩვენ მაინც განვევით იგი, ნარკოლიანი გზა, ზოგმა კი,  
მხსუნლობაში დაიღალა, მოიქანა წაიქცა და დაიღუპა, ზოგმა კი,  
სულის დაფით, როგორც მაგალითად მე, თქვენს ზეიმად მოაღწია.

მიიღეთ ჩვენი უგულბოადესი მადლობა, რომ ძველი თეატრის  
ნარკოლიანი გზა ასე სწრაფად უყან დასტოვით და ჩვენი საოცნებო

სიხმარი, — ქართული ხელოვნების გამოწვეურბა საქართველოს  
საზღვრების გადალახვით, ისე ჩინებულად და ბრწყინვალედ დასა-  
რულიყო, რომ სამაროლიანად ყველგან პირველობა დამსახურებო  
თქვენდა სასახლებო და ჩვენდა საბედნიეროდ ვგაღლობო ყველას.  
ქალებს და ვაჟებს, დიდას და პატარას და განსაკუთრებით შენ, ჩემი  
ძვირსახი, კუთის მოყფილი და მაღალ ნიჭიერი ხანდრო, ის ბედნი-  
ერი წუთისათვის, რომელიც მე განვიცადე ამ საერთო მადლ-  
ლისა და საიუთლო ზეიუმის დღეებში.

ჩემო ხანდრო, ბავშვობიდანვე გიცნობ, ყმაწვილობაში ავიციას  
სწავლობდი, ფრთების შესხმას და ფრენას იაჯ მოქაიდეხებო, და  
ამ დღობს მასხოსა, ერთი თიიცი კი შესწერო, მაგრამ რომელი  
ფრენა შედგებო ამ მძღავრ განქანებას, რომელიც შენ გამოიხიერ  
ეროვნული ხელოვნების დარკში.

ახლა, რომ მოვკვდე, არას ვინაღვლი, რადგან ჩემის თვალით  
ენახე ის, რაზედაც ვიცნობობდი, რასაც სიხმარად ვლამობდი...  
მიიღებ ძვირსახო ძმებო და შოგლიყო ჩემი გულწრფელი ლოცუ-  
ვათხოვბა რაზვალ გზის გამარჯვებისა და დაბრკობებათა ძმევი-  
სათვის.

ბედნიერი ხართ, ჩვენზე უფრო ბედნიერი, რომ თქვენ წილად  
გხვდათ საქართველოს სულის უყვადეების მტყიცება და დაღლისი  
ვაშა რუსთაველის თეატრის ნიჭიერ კოლექტივს და მის მებდვარ  
და საოცნებო ხელმძღვანელს ხანდრო ამბტელს! — ვ. გუნიან.

\* \* \*

ვაქვეყნებთ აგრეთვე ხანდრო ამბტელის წერილს ვალერიან  
გუნიანსადმი, რომელიც 1934 წლის 17 აპრილსა დაწერილი. წერილი  
გამსჭვალულია უღიფის პატივისცემისა და მოკრძალებული ქართუ-  
ლი თეატრის დავწუმოსილი ამავგარისადმი:

„რუსთაველის თეატრი უაღრესად მაღლირია შენი, როგორც  
საუცეთსო ბურჯისა და იმედის ქართული თეატრის ყველაზედ  
საწინდელ ელემენტს ქართო. შენმა მაღლირმა ხელმა პირველობა დამი-  
ცალდა მე თითოთი ქართული სცენისათვის და ვეცდებო არ შეგარ-  
ტხენი, არც შენ და არც ჩვენთვის სუყარებო და სათავაზრებელი  
თეატრი, რუსთაველმა გულწრფელად შეგომტახაან „ვაშა, ჩვენი  
ვალციო, ვაშა ჩვენს მამას! — ვაშა, ჩვენი ქართული თეატრის  
ჩინდეს!..“

\* \* \*

ვალერიან გუნიან ერთ-ერთი მეტად ნაყოფიერი მრავალმხრედი  
და პირინებული მოღვაწე ქართული თეატრისა... მან ქართული  
თეატრს შეაღია მთელი თავისი ძალა და გული... კაცი, რომელსაც  
ერთი დღე არ უცხოვრობა თეატრად მოღვაწეობა — 34 წლის  
თავზე მაინც უკაცობილია თავისი თათვი, თავისი დავწლით მშო-  
ბელი ერის წინაშე..

აი, როგორ ეგებება იგი თავისი ცხოვრების იროდიდებოთე  
წილს..

„წილს შემხირლულება ნახევარი საუყენე, ნახევარი ცხოვრების  
გზა ვაწვევო!..“

ჯერ არავფი გამოიკვებება ის იხეთი, რომელიც დილის იყო  
ქვეყნისა და ჩემი ერის პატივისცემისა..

მერე ვისი ბრალია? ღმერთი ხომ მოწმეა, მე ყოველთვის ჩემი  
ქვეყანა და ერი მასხოვდა, მაგრამ ვერას ვაგბო, ამ 50 წლის გან-  
მავლობაში 34 წელიწადი მაინც შეგნებულად ვეპარობოდი ჩემს  
თავსა და 80 პროცენტი ამ ხნის მარტო ჩემი ერის საყუთლდდლო  
და მის სამსახურში გაიბარებო. მაგრამ არა ვქნა, არც ბევრს რასმე  
ვერ მივაღწიე? არა ვქნა, რომ ჩემი სასახური ისე ნაყოფიერი არ  
იყო, როგორც მსურდა და მიწოდე?! — ამის მიზეზი საერთო  
პოლიტიური რეჟიმი გახლად. მე კი არა, ჩემზე ბევრად ნიჭიერი  
და მოსურენი არარად იქნენც ამ საერთო უფრულის ატმოსფეროში,  
მუშებანი მებრუნებულთა ცა, დაავადებული სურვილი და უღონო,  
ქანცგამოლეული მოქმედება ზედ ნაწიცი, ნაწიცი „უეთისებო!..“

(წერილი დაწერილია 1914 წლის..)

ვალერიან გუნიანს მებდვარ საარქივო მასალაში უხუჯ ვხვდებო სა-  
ინტერესო გამონათქვამებს მწერლობაზე, თეატრის მნიშვნელობაზე,



აქტიორულ ხელოვნებაზე, ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკეულ მოღვაწეებზე...

არ დაჩინილა თეატრალური ხელოვნების არცერთი დარგი, რომელზეც ვალერიან გუნიას არ ემსჯელება, არ დაუჭერბელიყო, აზრი არ გამოეთქვა... მისი თეორიული მოსაზრებები ყოველთვის მდიდარი იყო საკუთარი სცენური გამოცდილებით და თავისი ალღოიანობით, ინტუიციით ჩვენს სინამდვილეს ეხმარება...

ვალერიან გუნიას ქართული რეალისტური სცენის და მისი ოსტატების გამოცდილების განვითარებასა და მსახიობის ხელოვნების საკითხების დამუშავებაში დიდი წვლილი მიუძღვის ქართული თეატრის ისტორიის წინაშე...

მისთვის აქტიორული შემოქმედების ქვაკუთხედი — ამოსავალი წერტილი „მართალი, უტყუარი, უშეტნაკლებო გამოსახულება ადამიანის ბუნებისა... რაც გულისხმობს — თამაშის დროს აქტიორის განხორციელება მართო სიტყვიერი კი არ იყოს, არამედ სისხლბორცვი შედუღებული“. მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ მსახიობს დრამატული მასალისადმი მონური მორჩილება გამოეჩინა...

ვალერიან გუნია მსახიობისაგან მოიხოვდა აგრეთვე შესრულების ზომიერებას... იგი გადამალაშებისათვის დიდ მსახიობებსაც კი არ დაინდობდა...

ვალერიან გუნია დიდი გულსისუფრო, სერიოზულობით ეკადებოდა სასცენო მეთვლეჩას, გრძობა და ტანსაცმლის ტარების კულტურას...

ვევლადფერი ეს კი უნდა ემორჩილებოდეს „ვევლადფრის გამჭვრეტადობას, უხე და უხიჯეღ ფანტაზიას“.

გთავაზობთ რამდენიმე მთავანს:

„აქტიორული სრულყოფის სასწავარი არ არსებობს — მსახიობს სრული შესაძლებლობა აქვს დაუსრულებელი წარმატების გზით იაროს!“.

\* \* \*

„თეატრში — სცენიდან დაღადებს ყოველი ნათელი — ცხოველი აზრი, სცენიდან იგმირება ბიწიერება, სიბოროტე და სისაძაღლე, ხოლო იქიდანვე გაისმის სიმართლის ქება, ზნეობის და სიცივის დიდება“.

\* \* \*

„თეატრი სკოლა არის ანუ ტაძარი გონებისა და ცოდნისა“.

\* \* \*

„თეატრი ხელს უწყობს და შეეღის ცხოვრების კანონსა და სადაც საერთო კანონების ძალა თავდება, იქ იწყება ზნეობრივი კანონების მოქმედება ხალხზე და ამ ზნეობრივი კანონების სამსჯავრო მხოლოდ თეატრია. თეატრი სჯის ყოველისფერის მრუდეს და უწყისოს და ამავე დროს მათ გვერდით გვიჩვენებს სიყთეს, სრულ ზნეობას და ქემშარიტებს“.

\* \* \*

„კაცობრიობის კულტურა ვითარდება და ძლიერდება მხოლოდ თავისუფლების დროის ქვეშ“.

\* \* \*

„თეატრის წყალობით ხალხთა შორის ხდება ახლოდ დაკავშირება, ერთმანეთის გაგება და გაცნობა, საერთო წადილობა და სურვილობა ერთად შედუღება“.

\* \* \*

„ოღონდ ცაცმა ძლიერ მოინდომოს, თორემ, მთვარეზედაც ავა — რა თქმა უნდა, გამუღმებელი შრომისა და გარჯის საშუალებებით“

სა.აკვა ანჯაფარძე



მეღე ჯაფარიძე



სიკო დლოძიძე



ვიქტორ კვარაცხელია

მოი, ინგლისი! მაგალითო დიდბუნებოვან  
სილიაისა მშლავრი გული დაიმილია  
მცირე სხეულში. და რაოდენ სამგროს საქმეს  
მოიმოქმედლი, შეილები რომ ერთგულნი გვაქედეს,  
მაგრამ ეს ბრალი თვით მივიძღვის: მეტრამ იპოვა  
შენში ბუნავი ცარიელი გულის პატრონა  
და უხვებს მათ გულს მოლაღატურ ვერცხლის ფულეობით;  
სამ არაშადას, — კემბრიჯის გრაუს რიჩარდს, მეშველ  
ლორდ მენრი სკრუპსა და აგრეთვე სერ თომას გრეის,  
ნორთემბერლენდედლ ჩარლდს თუმარ თავჯარდაცემულ  
ფრანგებთან ერთად მოუწვია ეს შეთქმულება.  
იმათი ხელით უნდა მოკლდეს მეფე მშენება, —  
თუ გვჯავახეთი და დღავები ხელსაც შეუფრს, —  
საუთემპტონში, ვიდრე წვა საფრანგეთისკენ.  
თქვენ მოკრიბეთ მოთმინება, ჩვენ კი ვეცდებით  
ამ შორ აღვიღოთ მსგავსებანი წარმოგიდგინოთ.  
გადახდილია ფული: საქმე — შეთანხმებული;  
მეფე წვიდა ღონღონიდან და ჩვენი სცენაც  
საუთემპტონში გადავიდა, კეთილშობილნი.  
იქ არის ახლა ეს თეატრი და თქვენც იქ სხედხართ.  
აქიდან შემდეგ საფრანგეთში გაივყანთ ფრთხილად,  
მერმე უკანვე მოგაბრუნებთ და თან ზღვის სრუტეს  
წუნარად ვამოყვებთ. სანახავი იქნება სრული  
და ჩვენ ვეცდებით არ მოზოდოს მან ვისმე გული,  
მაგრამ ვიქნებით მარტოოდენ მეფის თანხმლები  
და მასთან ერთად საუთემპტონს გადავსახდებით.

(გაღის)

სურათი I

ლონდონი. ისტრჩიბი.

შემოღიან ნიმი და ბარლოფი.

- ბ ა რ ლ ო ფ ი — გამარჯობა შენი, კაპარლო ნიმი.
- ნ ი მ ი — დილა მშვიდობისა, ლიტენანტო ბარლოფი.
- ბ ა რ ლ ო ფ ი — რაო, შემდეგ პისტოლს შეურიგდი თუ არა?
- ნ ი მ ი — ჩემი მხრით არც მიიჭირია. ახლა არაფერს ვიტყვი, მაგრამ  
თავის დროზე მაგის სეირსაც ნახავთ. რაც იქნება, იქნება. ბრძო-  
ლას არ ვებრძობი, მაგრამ თვლი ვინჯილად მივიჩიავს და ხმალი  
გამოაღებული მაქვს. უბრალო ხმალია, მაგრამ რა უჭირის? ზედ  
ყველი შენივება და სიციფესაც არავის ხმაღზე ნაკლებ არ უძ-  
ლებს. ამაშია გემო.
- ბ ა რ ლ ო ფ ი — საუზუნზე დაგასტუმრებთ და შეგარავებთ.  
სამიწენი ძმებად უნდა გაგივიფოთ და საფრანგეთისკენ გაე-  
წიოთ. ახე კენია, ჩემო კეთილო კაპარლო ნიმი.
- ნ ი მ ი — ღმერთმანი, იმდენხანს უნდა ვიცოცხლო, რამდენიც შე-  
ცხოვრება. ეს გადაწყვეტილია, და როცა ვეღარ მოვებრებებ  
სიცოცხლის, ისე მოვიქცევი, როგორც შემიძლება. ამა, ესეც  
ჩემი თავი და ბოლო.
- ბ ა რ ლ ო ფ ი — კვეყანამ იცის, რომ პისტოლმა ნელი კუთილი  
ცოლად შეირთო. რა თქმა უნდა, ძალიან ცუდად მოგეჭია ეგ  
ქალი; ეგ ხომ შენი დანიშნული იყო.
- ნ ი მ ი — ვერაფერს გეტყვი; რაც არის, არის. ზოგჯერ, აღამიანს  
სძინავს და ყელი მაინც მთელი შერჩება ხოლმე. ზოგი კი  
ამბობს, დანას ბასრი პირი აქვსო. რაც არის, არის. მართალია,  
მოთმინება მისავათებული ჰქაი ცხენია, მაგრამ მაინც კარგად  
მიძუმძულებს. საღლაც დასისურვლაც იქნება. მეტი რაღა  
გიბორო.

(შემოღიან პისტოლი და ფუნდუკის დიასახლისი)

- ბ ა რ ლ ო ფ ი — აი ზემდეგ პისტოლი და იმის ცოლიც; ამა,  
კეთილო კაპარლო, არ აღუდგე. — რაო, რას გვიბრძანებ, ჩემო  
მასპინძელო პისტოლი?
- პ ი ს ტ ო ლ ი — მასპინძელი ვარ ვითომ შენი, შე გაუთლდელი?  
მარჯვენას ვყოცავ; მეზუღებს მე ეგ ხელი,  
არც ჩემი ხელი არ შეუშვებს სტუმრებს ფუნდუკში.
- დ ი ა ს ა ზ ო ს ი — არა, ღმერთმანი, აღარავის შემოეშვებს ფუნ-  
დუკში. თორმეტობე თუ თოთხმეტობე წესიერი ქალი ვერ  
შემომიშვებია, კრამეფით რომ პეტროსმა უტრსა ჰქვინ, რომ  
არაფერს იფქროს საროსებო გაუმართაოთ. (ნიმი და პისტოლი,  
სმულეს უმიღებულზე) წინაოღო ღვთისმშობელი ნეტავი ხელი  
ხმალს აბ ერჯას ახლა ეგ ვნახეთ წინასწარ განწარხად სისხ-  
ლის აღრეგება და ეცხვიცხვლა!
- ბ ა რ ლ ო ფ ი — კეთილო ლიტენანტი! კეთილო კაპარლო! ემანდ  
არაფერს ჩაიდინათ.
- ნ ი მ ი — ფუი!
- პ ი ს ტ ო ლ ი — ფუი შენ თითონ, ირლანდიელი ძაღლი!  
სურდაცხვეტილო ირლანდიელი ქოჯაკი!
- დ ი ა ს ა ზ ო ს ი — კეთილო კაპარლო ნიმი, ამა, შენი ვეცაცობა  
გახჩენენ და ხმალი ჩაეავ.

უილიამ შექსპირი

მეფე ჰენრი მესუთე

მოქმედება მეორე

შემოღის გუნდი

უმაწვილაკობა ინგლისისა ცეცხლში ტრიალებს  
და აბრეშუთის სამოსელი დევს კარაღში;  
მესაქურვეთი ღიღ ატაცის სცემენ და გულში ყველას  
მხოლოდ სახელის და დიდების აზრი უღვივის;  
ბედღურები იუილება სამოურის უსადა,  
საქრისტიანოს ყველა მეფის წაბაჟლობით  
ქუსლზე ისხამენ ფრთებს ინგლისის მერკურიუსნი.  
მათ თავზე დაქპირს თვით იმედ ბეღში მახელით,  
ხოლო მახელი იგი სულთლად მოკლდლია  
დიდი და მცირე გვირგვინებით, რაც მეფე ჰენრის  
და მის მიმდევარი ომის შემდეგ მოკლდებდა.  
სარწმუნო წყაროს გზებითა და სასულეობით  
ფრანგს მუხტევა ინგლისელს ეს სამზადისი,  
შუთი კანკალად და თან ცილდობს სხვადასხვა ფანდით  
ინგლისელებს განწარხანი რთომე ჩაუფლოს.





რომ ადარები ვაზდოს კვლავ მის მიზანძა.  
მეფე ქენრი — გამოვიჩინოთ ცოტა მეტი გულმონყალები  
ქენრი — ეს შეიძლება, მაგრამ მანვე უნდა დასაჯო.  
ქენრი — სერ, ისიც კარა მოწყობება, თუკი სიცოცხლენ  
შეინარუნებენ, მაგრამ დასჯით უნდა დასაჯო.  
მეფე ქენრი — ვაჟაბა, რომ მეტად გვაყვარებთარ და

რაზონად ამის რწმუნებანი?  
და ამიტომაც ის საბარლო არ გეტყობათ.  
თუ მცირე ცოლავს, გამოწყობენ უფრენობით.  
არ ვაპატებთ ადამიანს, რა უფით მაშინ  
მიძინს, წინასწარ მოფიქრებლად, აწონ-დაწონილ  
და დასაგებულ დანაშაულზე ჩვენ მსურველებით  
იმ საოცრად კაცს, თუმც კემბრჯი, სურუბა და გრი.  
ჩვენდამი წაზო შრუნველობით გატყობუნთ,  
იხივებ დასჯას. საფრანგეთის საქმე მივხედოთ:  
ვის ჰქონდა ამის რწმუნებანი?

ქენრი — მე, ხელმწიფეო.  
დღესთვის ამის მოგონება თვითონ მიზრძანეთ.  
სკრუპი — მეც ასე, ჩემო ხელმწიფეო.  
გრი — მეც, ხელმწიფეო.  
მეფე ქენრი — მამა, რინარდ, გრაფო კემბრჯიასი, ეს თქვენ  
გეტყვინეთ;

ეს კი თქვენ, ლორდ სკრუპ მემუწობთ; ესეც თქვენ გრი,  
ნორთონგონდის რაინდი და ბატონ-ბატონო.  
ვის წაყიბებთ, ვიცო, ვიცო თქვენ ღირსებას.  
ღორდ უესტმორლენდ და ექსტერ, ძიავ, ამაღამ  
უნდა დადგინათ, ბატონოებო, რა დაგვიბარათ?  
მეტად რა ნახეთ ქალღმადმობის ისტინარი,  
რომ მთლად დაგარკეთ ვაფიქრებ? ხედავთ, ვით შეიცვალნენ?  
მისილ დაქალღმადმობით დაფიქრებდნენ, რა წაყიბებთ  
განა ისეთი, რომ შემწინდით და უკანაქმეთ  
სახიდან სისხლით?

ქენრი — ვალიარბე ჩემს დანაშაულს  
და ჩემს თავს ვანდბო მარტოიდენ თქვენს მოწყობებას.  
გრი და სკრუპი — ჩვენც მხოლოდ მასვე მოგახსენებთ.  
მეფე ქენრი — ჩემე შუად ვუკვიტო მოწყობება გავაგულო, მაგრამ  
თქვენვე ჩაქალით იგი ჩვენიმ თქვენვე ჩრტივით.  
უნდა გრცხვენოდეთ მოწყობების თხოვნა აგნადად.  
შემოგბორუნდენ უკან თქვენვე მისაგებებას.  
როგორც მალდობით თავის პატრონს, და გულს გიდრდნან.  
არ უფურთხ, დიდებულნი კეთილშობილად,  
იმასილად ურჩილადი, და დავთო კემბრჯის ამ ლორდს,  
თქვენე კარავა ივით, რა ზურუნდებ და სიყვარულით  
ციდილობით მუდამ მისთვის დღი პატრიკ გვეცა  
მისი ღირსების შესაფერი: მაგრამ ამ კაცმა  
სულ რამდენიმე მსუბუქ კრიანდ ასე ადვილად  
გავყვიდა და მტერს გაუფიცა, რომ აქ, მემბრონი  
ქენრი ვიყავით; ამ რაინდებს, ვისაც აგრეთვე  
კემბრიჯზე წაუბო ანა ცვეშობი პატრის, შეგვიცა  
ამ შავ საქმეში დახმარება, მაგრამ რა გიბიზრა,  
რა გიბიზრა-მეთქი, ლორდ სკრუპ, აჰო, ბოროტო კაცო,  
შენ, უმადურო, ვეღვრო და გულუცა ქმნილებზე?  
შენ იყავ ჩემთა საიდუმლო უფიქრო მფლობელი,  
შენ ჩემი სულის სიღრმეში შეგდული კერტბა,  
შენი სურვილით გინდა იქროდ დაგანაწინობი,  
თუკი ამისა საგანგებობას ნახავდ შენთვის  
შესაძლოთ ეს უხეობება ბებრმა გამოსცო  
შენგან ისეთი საპერწყალი ბოროტებისა.

რომ თუნდაც თითო დამწავს იდნავ? უფურთხია,  
თავს ვერ ვუჯერებ, თუმცე მინაძლიერ მდღავს ამ თვალწინ  
ისე აგკარად როგორც თურქზე შავად წაწურს,  
დალტყა მუდამ გველოდობასთან ერთად გამოვს,  
ვით ირ ემას ერთ დღეშიმ შეგმბინო ფიცით,  
და თან მუშობას ისე მარჯვად და ბუნებრივად,  
რომ განციფრებას უფარდება მუცელში ენა;  
შენ კი აქარბებ უკვლავის, თუთი გარეცხვრება  
დაუმორჩილად დალტყას და კაცის გველოდობას,  
ალბათ ცბიერმა მავნე სულმა, ვინც შეგადინა  
და გამოქმედა ასე ბრძანად და შეუგნებლად,  
ამ საქმისათვის გრჯობითე მითლი ჯელოდ.  
სხვა ეშმაკებიც კი ცდილობენ აციონენ კაცი,  
მაგრამ დალტყის შეგონებას ისინი მაინც  
ასე თუ ისე უფარებენ ზად საყრდენებს,  
რომ ცოდავს მისცენ სათნობის რაღაც მსვავსება;  
იმას კი, ვინც შენ შეგკრა გრძნებით და ავაგებდრა,  
რაც კი ავიხსნა, რად ვინდობდა დალტყის იდნ.  
და დაგანაწი მობლატის წოდებას იდნ,  
და თუ დემონი იგი, ვინც შენ გაყდუნა ასე,  
შემოვიღოდა მთელ ქვეყანას ლომის ნიბიჯით.

დაბრუნდებოდა ბოლოს მაინც მიწისკვეშეთში  
და იქ ტყუილად დღეობდა; იყენ მოვიპოვებ  
ამ ინგლისელის სულზე უფრო სურაფად სხვა სულში.  
სიტყვი ნდობისა გამოიპოვებ ექვანობით  
და მომიწანო. თუკი ვინმე ვთვლიდ ერთგულად,  
ეს შენ იყავი. თუკი ვინმე ვთვლიდ სწავლულად,  
ეს შენ იყავი. ვთვლიდ ვისმე დიდ გვარშობლად,  
ესც შენ იყავ. თუკი ვინმე თავდაპირულად,  
ვნდობის, რისთვის თუ გავაწვილო ცხოვრებისაგან  
შორს ვაღდავ კაცად ვთვლიდ-მეთქი, ესც შენ იყავ;  
შეკვიტე სულსადა, სისხლის ჰქრულის ვინც არ აპყვება,  
შეგნობოლა ვინც უკავლად სწავლოფუნდობითი,  
ვინც საფიქრო თოვას არც უჯერებდა, თუ თავის უფრით  
არ შემაწინა შენჩენელი და მთუდაწილად  
თითი არ განსაჯა დანაშაული და გააწილად —  
ასე შეგნულად, ჩამოსხმულად მეჩვენებოდი,  
შენდა დაცემამ მაიძულა გულში ჩავიღო  
მდღეშიც ექვი ღირსეულ და სადღეს  
ვკაცეთა მიმართ. შენთვის ამ ლეკო მწარე ცრემლს დავდერი,  
ახე მგინაო, უცნარეო ჩემ ამიხებო  
დამის ცოდავს უტოლდება. დანაშაული  
მათი ცხადია: გადაციტო მართლმსაჯულებას  
და თითი უფრლმა გამარტობის მაგათი საქმე.

ქენრი — მე გაპატებებ სახელმწიფო დალტყისათვის,  
კემბრიჯის გრაფო რინარდ.  
მე გაპატებებ სახელმწიფო დალტყისათვის,  
მენრი, ლორდ სკრუპ მემუწობთ.  
მე გაპატებებ სახელმწიფო დალტყისათვის,  
ნორთონგონდის რაინდი, ბატონ გრი.

სკრუპი — დემბრბო ამბოლა მართებულად განზრახვა ჩვენი,  
სიყვლდზე მეტად უფრო ჩემი მარუნებას ცოდავ,  
მანვე ვბოხო მეფეც, მამოტიკეო დანაშაული,  
ჩემი სხეული თუნცე ვადიდის ცოდავს სავსარსო.

ქენრი — ნუგებ იფიქრებთ გამაზრბათე უფრანგების ოქრომ,  
თუმცე ავიღე თქვენი როგორც საშუალება  
მეტი სწავრათე მანქანისა განზრახვისათვის;  
მაგრამ ეს საქმე ჩინადა, მაგლობო უფულს  
გულით ვიხარებ სიცილისთვის ტანჯვა-წაწინებით,  
და ვბოხო შენდობას უფულსა და ხელმწიფე ჩვენსა.

გრი — აყიბეთ სუტეგვრობის არასულად გამაზრბათე  
ისე როგორც მე დღეს მხარებას ამ სახიფათო  
და სახარბილო შემთქმელობის გამოქმედებას;  
ჩემი ხელმწიფეც, მხოლოდ ერთი სახოფიკრო მაქვს:  
დასმავდა, მაგრამ მომიბეჭე დაწამავს.

მეფე ქენრი — თვითონ უფრლმა მოგეტყვობს ამ წმისმინდით  
ეს განაჩენს: თქვენ შემთქმით ჩვენს წინააღმდეგ,  
ჩვენს მოსხლად მეტერს შეუფრთხად და განსარჯლოდ,  
როგორც ბე, მისი ხაზინიდან მიიღეთ ოქრო  
ჩვენს მოსალაგად; დასმავლად გაყიდეთ მეფე,  
თავადები და დიდებულნი გაყიტო მონად,  
ერთი განწირეთ დასაჩარავად უცხოთა მიერ,  
და განსარცვად, დასაბრბად — მთელი სასაფრო.  
ჩვენი გველსთვის არ დავებთ შორისობებს,  
მაგრამ ჩვენივე სახელმწიფოს უფრობისათვის  
გავადელებს ვინაო, მის დაწერვას ლამაზილი თურმე  
და ამიტომაც მის კანონებს უნდა გადავიტო  
წაფით, საბარლო ავაჯურო, სიცილდენ ენოთ.  
მოწყალედ დემბრო მომიზნებას მოგადენთ ალბათ  
და შეგანაწენთ კემბრიჯად თქვენს შეცდობებს  
დასასრულის ცაშს, გაიყვანეთ აქედან ყველა.

(გაღმა კემბრიჯი, სკრუპი და გრი მცველებით გარშემორტყმულნი)  
დიდებულბო, სარგანდის გჯას ნაგაშურო!  
დალტყობა იგი ჩვენ შეგამოსავს დღის დიდებით  
ეცესი არ მაქვს, დენგერიო ომი გვექმნება.  
რაცო უფრლმა გულმონყადად მოგმინა მუკი  
საწინდელ დალტყას, ჩასაფრებლად ჩვენს ვაგლ გჯაზე  
დასწავისმზე, ამის შეგდენ ეცესი არ მაქვს.  
რომ გადავლტახებო დაბრკოლებას, უკვლდ სინდელს.  
მამ შენ გავსწიოთ, საყვარლო მამულსმგობლო,  
უფულს მივანდით ჩვენი ძალა და გეტყვინებ,  
დაუყოვნებლოვ ვაგვეშურო საფრანგეთისკენ.  
ჩავსებდო ხომალდები გათმობის ომის დროშებში  
ასე იცოდეთ: აღარ მიწდა იმდობის ტახტი,  
თუ ამ ბრძოლაში საფრანგეთის მეფეც არ ვაგებო.

(გაღმა)  
ინგლისურიდან თარგმნა  
გიმი ბანილიაძემ





## ელენე ახვლედიანი


### მუსიკალურ

### თეატრში

ნათელა ურუშაძე



მასკანი  
„სოფლის პატიოსნება“  
კოსტუმის ესკიზი



მ დღეს, როდესაც კოტე მარჯანიშვილმა ახალ-გაზრდა მსატყარი ელენე ახვლედიანი თეატრში სამუშაოდ მიიწვია, მისი შემოქმედების

ერთი უმნიშვნელოვანესი თავის პირველი ფურცლები ჩაიწერა. ამ თავს ეწოდება — ელენე ახვლედიანი თეატრში. ვინ იცოდა მაშინ, რომ ელენე ახვლედიანის შემოქმედების ეს ნაკვეთი ასეთ დიდ ადგილს დაიკავებდა როგორც მის შემოქმედებაში, ისე ქართულ საბჭოთა თეატრში სასცენო ხელოვნების არცერთი დარგი არ დარჩებოდა, რომელშიც ელენე ახვლედიანი თავის უნარს არ მოსინჯავდა: ეროვნული და უცხოური კლასიკა, ის-

ტორიული და თანამედროვე პიესები, ტრაგედია და კომედია, დრამა და მელოდრამა, ზღაპარი. რომ ასეთივე მრავალფეროვანი აღმოჩნდებოდა მისი მოღვაწეობა მუსიკალურ თეატრში: ოპერა, ბალეტი, მუსიკალური კომედია, პანტომიმა. სწორედ პანტომიმის მასალაზე შეგება ელენე ახვლედიანი პირველად, მუსიკალურ სპექტაკლს. ეს იყო 1930 წელი — მისი დრამატულ თეატრში მუშაობის მეორე სეზონი და მეხუთე წარმოდგენა ცხოვრებაში.

ამ დროისათვის ელენე ახვლედიანს კოტე მარჯანიშვილთან გაფორმებული ჰქონდა ისეთი წარმოდგენები, როგორცაა ვ. კირშინის „ლიანდაგი გუგუნებს“, კ. კალაძის „როგორ“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ და „შენგელაის“, „თეთრები“. იცნობდა კ. მარჯანიშვილის მოთხოვნებს დრამატული თეატრის მსატყრის მიმართ: მოქმედ პირთა ცხოვრებისათვის შესაფერი სახიერი გარემოს შექმნა, სპექტაკლის იდეური მანაფიქრის მსატყრისთვის სპეციფიკური ხერხებით ამოსწრა, ავტორის პოეტურ თავისებურებათა სცენური ხორცშესხმა ეპოქისა და ნაწარმოების ჟანრის დამახასიათებელ თვისებათა შენარჩუნებით, მოქმედების საყრდენი მოედნების გათვალისწინებით. ერთი სიტყვით, იცოდა, რომ საჭიროა მსატყრის ორგანული ჩართვა სპექტაკლის ქმედით ქსოვილში, იმიტომ, რომ დრამატულ თეატრში მსატყარი რეჟისორთან ერთად კითხულობს პიესას. ეს ჭეშმარიტებანი ყოველ ნაწარმოებთან ახალი თავისებურებით და ძალით წარადგებოლენ მსატყრის წინაშე



მასკანი  
„სოლის პატროს-  
ნება“, კოსტუმის ეს-  
კიზი

ლის მიერ სწორედ დრამატულ თეატრში განხორციელებული პირველი ქართული პანტომიმა „მუთაიშუ“, შემდეგ „ხან-ძარი“.

კ. მარჯანიშვილმა „ხანძრის“ გაფორმება ელენე ახვლედიანს შესთავაზა. იმ დროისათვის ახალგაზრდა მხატვარი, გარდა მუსიკის შედარებისა და მისდამი დიდი სიყვარულისა არაფრით იყო შეიარაღებული მუსიკალური წარმოდგენის სცენური ხორცშესხმისათვის. იმედი ისევ კ. მარჯანიშვილისა ჰქონდა. აქცე, თეატრალურ დეკორაციული შემოქმედების ამ ახალ უბანზე, კ. მარჯანიშვილი იყო მისი მან-წავლებელი, ისევე მისიგან უნდა შეეტყო მუსიკალური თეატრის კანონზომიერებანი.

მუსიკა თ. ვახვახიშვილის იყო. ლიბრეტო კ. მარჯანიშვილს ეკუთვნოდა. ის აბეზული იყო კლასიზმივ წინააღმდეგობაზე, დაპირისპირებული იყვნენ ქართული მემკვიდრეობა და გლუბობა. თვით სახელწოდება გვაუწყებს, რომ კონფლიქტი სოციალურად იყო გამაზვიებელი. ამბავი, რომელიც ამ საძირკველზე იშლებოდა, სულ უბრალო იყო, მაგრამ ქმედით, დინამიკურ გამოვლენას მოითხოვდა: გლეხის ოჯახში ქორწილია. ლხინის დროს გაიტაცებენ სასიძოს, რომელიც თავადის ქალს მოეწონება. ქორწილი ჩაიშალა. თავადის ქალი ამაოდ ცდილობს გლეხი ვაჟის მოხიბვლას. ხალხი კი აჯანყდა. შეიარაღდა რითაც შეეძლო და ანთებული ჩირაღდნებით სასახლისაკენ გაემართა, ცეცხლი წავიკა, სასიძო იხსნეს და მიჯნური კვლავ შეჰყარეს ერთიმეორეს.

როლებს ასრულებდნენ დრამის მსახიობები: ვ. ანჯაფარიძე, შ. დამაშაძე, თ. ჩარკვიანი, უ. ჩხეიძე, ც. წუწუნავა, ს. ზაქარაიძე, მ. ქორელი, აკ. კანტალიანი, ს. ჭელიძე და სხვანი. საბალეტო ტრადიციები და შტამში თავისთავად იყო განვლენილი როლები განაწილებით დრამის მსახიობებს შორის. ისინი არ იყვნენ მოცეკვავენი, მოცეკვავეთა მდგომარეობაში იყვნენ მხოლოდ იმით, რომ სიტყვა არ გაჩანდათ სათქმელად. მათთვის ცნობილი იყო ვითარება, რომელშიც ამავე იშლებო-

და, გარკვეული იყვნენ გმირთა სურვილებსა და მისწრაფებებში, მათ განცდებში. ამის შესაბამისად უნდა ემოქმედათ ლეგიკურად, ბუნებრივად, დამაჯერებლად, ცეკვადი სრხებით. განსაკუთრებით იმ ეპიზოდებში, რომლებიც ამის საშუალებას იძლეოდნენ: მოკაშვის სცენა, საქორწინო საშხადისი, მხანრობლის გამოჩენა, ნეფე-პატარძლის შეგებების ცერემონიალი, თავადის ქალის თავდასხმა, სასიძოს გატაცება, მთვეზეთა ცეკვა თაბახებით, ქართული ჭიდიობა და ა. შ. მუსიკონიშნავასალაა ქართული ქორეოგრაფიის საკითხებით დაინტერესებულნი ადამიანისთვის. ჩვენთვის კი საინტერესოა როგორ გამოიყენა ელენე ახვლედიანმა ქართული ადამ-წისების და ზეჩვეულებათა დიდი ცოდნა და სიყვარული ამ წარმოდგენაში. მაგრამ ჯერ იმის შესახებ, თუ რას მოითხოვდა კ. მარჯანიშვილი.

ორმოქმედებიან ლიბრეტოში მოქმედების ორი ადგილი იყო მითითებული: გლეხი კაცის სახლი და თავადის სასახლე. მხატვარს ორივე სამოქმედო არე კონსტრუქციულ გადაწყვეტაში ესახებოდა. ეგონა, რომ კონსტრუქცია მსახიობის მოძრაობის ქმედითად გამოკვეთაში შეუწყობდა ხელს. კ. მარჯანიშვილმა ფერწერული გადაწყვეტა ირჩია — სცენის ზედმიწევნით განთავისუფლება სურდა მოქმედი პირებისთვის. ელენე ახვლედიანსც სუფთარი ხელით შესრულებული ფერწერული ტილო მოარგო სპექტაკლს ფონად, მოყვარული თვალთ დაინახული ქართული ბუნება გარს შემოარტყა. უსასრულო სამყაროდ ომლებოდა მადლიანი ქართული სოფელი. მხატვარის ეს ერთი ტილო წარმოდგენისთვის საჭირო, ზუსტი დაინშნულების მატარებელი იყო: მსახიობთათვის სცენის სრული განთავისუფლების გარდა, მაყურებლის წინ გადაშლილი ქართული სოფლის სილამაზე მომხდარი ამბის უსამართლობას და სიმახინჯეს კიდევ უფრო უსვამდა ხაზს. რაც უფრო ლამაზი იყო გარემო, მით უფრო აღმაფითებელი იყო იქ მომხდარი ამბავი. განსაკუთრებით ეს ჩანდა ქორწილის ეპიზოდში. აქ, გარდა ქართული სოფლის ხედისა, ჩვენებური, ქართული ყოფა იყო გაცოცხლებული. რა დიდი სიყვარულით, როგორი ყურადღებით იყო შერჩეული და შესრულებული ქორწილისთვის აუცილებელი ყველა სახანი, ყოველი ნივთი: სურები, თასები, აზარფეშები, ხალიჩები და ფარდაები, ბალიშები და მუთაქები, ყანწები და ფილები, საყარვენი... თვითუფს თავისი დანიშნულება ჰქონდა, ყველა ერთად კი ქართული ტრადიციული ლხინის დიდებულ სურათს ქმნიდა, აწყობისა და პარონიულის, ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულსა და შემონახულს. ამ პარმონიას არღვევდა გლეხის სახლი შემოჭრილი თავაშეგებული თავადის ქალი. ამგვარი, მხატვრის მიერ გააზრებული სპექტაკლის გაფორმების როგორც ფერწერული, ისე საგნობრივი მხარე, ნაწარმოების დედაზრის გამოკვეთას უწყობდა ხელს.

მეორე მოქმედების გაფორმებაც იმავე პრინციპს ეყრდნობოდა. ვინაიდან მოქმედების განვითარებით ის ყველაზე მეტად ცეკვადა იყო, ელენე ახვლედიანმაც უფრო მეტად განტვირთა სცენა: ფანჯარა, მისი იქით პერსონაჟი. ფანჯარის წინ უზარმაზარი ტახტი. ისიც მოქმედების ადგილად იყო ქვეყლი. ამ ტახტის გარშემო კ. მარჯანიშვილის უსაზღვრო ფანტაზია საივრდ მეტყველ მიზანსცენებს ქარგავდა. ამბავი, რომელიც აქ მიმდ-



ნარებობა, თავისი შინაარსით დაბალები იყო და მკვეთრი მიზნით გამსჭვალული: ხელფეხშეკრული გლეხი მოძალადეებს ტახტზე დაეგდოთ, თავაშვებული თავადის ქალი კი თავს დასტრიალებდა და ამაოდ ცდილობდა მის მოხიზვალს.

ამ სექტელში განსაკუთრებით შესამჩნევად გამოვლინდა ელენე ახვლედიანის უნარი ბიჟის გმირთა შემოსვისა, ყოველ კოსტუმში გათვალისწინებული იყო არა მარტო ეინორგრაფიული ელფერი, გმირის მდგომარეობა, ასაკი და ხასიათი, არამედ ისიც, რომ ეს შემსრულებელ მსახიობს ცვეკვადი მოძრაობების წარმოება უძლებოდა. სამოსი ისე თავისუფლად იყო აჭრილი, რომ ურთულეს მოძრაობასაც კი არ აფერხებდა. თავადის ქალის როლის შემსრულებელი მედეა ქორელი ისე იყო ჩაცმული, რომ მას „ხილის“ გაკეთებაც კი შეეძლო სცენაზე.

ღია, ნათელ ტონებში შესრულებული ეს კოსტუმები საოცარი ორგანოებით იხატებოდნენ საერთო სცენურ გარემოში. ყველაფერი ერთად კი კლუნე ახვლედიანის დიდ ფერწერულ ტოლოს მოგავინებდათ, რომელიც მას ადამიანის გარეშე არ წარმოუდგენია. კოსტუმის ჩახატვა სექტელის საერთო სურათში იმდენად მისწუნელოვანი იყო მისთვის იმთავითვე, რომ მთელი მოქმედებაში მთლიანად ახვლედიანს თავადის ქალისთვის გათვალისწინებული ამორძალის სამოსი ქართული კაბით მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ვეროული მოკაზმულობა ქართული სოფლის ქაივლის არ ეხამებოდა.

ქართული ბალეტის ისტორიაში „ხანძარი“ აღიარებულია პირველ ქართულ ბალეტ-პანტომიმად ქართული მუსიკით, სა-ქართველოს ცხოვრების სიუჟეტით და მთლიანად ქართული ხალხური საცეკვაო ფოლკლორით (ო. ევავე. „ქართული ბალეტ“, გვ. 52).

ამგვარად, კ. მარჯანიშვილმა კიდევ ერთი სახალე შეიტანა, ამგვარად ქართულ მუსიკალურ თეატრში. ამ ახალ წამოწყებაში მისი უახლოესი თანამონაწილე ელენე ახვლედიანი აღმოჩნდა. რა იყო ახალი მისთვის, როგორც მხატვრისთვის ამ საქმეში?

ახალი იყო მუსიკისა და დრამატული მოქმედების იმგვარი შერწყმა, როდესაც მუსიკა მოქმედების თანხმლები კი არ არის, არამედ ქმედება მუსიკის წიაღში იბადება, იკითხება როგორც მასში ჩაქსოვილი განცდა, სხეულის ცოცხალ, თუც უსიტყვო მოქმედებაში გამოვლენილი. თუ გავიხსენებთ, რა რეფორმები მიმდინარებოდა იმ დროს რუსეთში მუსიკალური თეატრის სფეროში, მაშინ არ გაჭირდება იმის დადგენა, რომ კ. მარჯანიშვილის ცდები მუსიკალური წარმოდგენის ახალი სახის შექმნაში დიდი რევი-სურის უბრალო შემოქმედებით გატაცება კი არ იყო, არამედ თავისებური წვლილია იმ საქმეში, რომელიც იმ დროს ტარდებოდა რუსულ მუსიკალურ თეატრში კ. სტანისლავსკისა და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს მიერ. კოტე მარჯანიშვილიც ერთდროუ-

ლად და იმავე პრინციპებისთვის იბრძოდა მუსიკალურ თეატრში.

მეოცე საუკუნის დასაწყისის თეატრალურ აზროვნებაში ბევრი რამ ახალი და საინტერესო გაისმოდა საოპერო ხელოვნების მიმართ. 1907 წელს პრესამ საზოგადოებას აცნობა კ. სტანისლავსკის სურვილი გახსნას მოსკოვის სამხატვრო თეატრის პრინციპებზე აგებული საოპერო თეატრი. ეს სურვილი არ განხორციელდა. 1914 წ. სამხატვრო თეატრის სტუდიათან გაიხსნა საოპერო კლასი, მუშაობაში ჩაბმული იყვნენ დიდი თეატრის ახალგაზრდა მომღერლები. ამავე პერიოდში ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო თავისი მომავალი მუსიკალური სტუდიის ძირითად ბირთვის აყალიბებდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ 1918 წელს დიდ თეატრთან საოპერო სტუდია შეიქმნა. 1920 წელს ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს მიერ შექმნილმა მუსიკალურმა სტუდიამ საზოგადოებას თავისი პირველი წარმოდგენა უჩვენა. ეს ყო ლიანკის ოპერება „ანგოს ქალი-შვილი“. 1922 წ. დიდი თეატრის საოპერო სტუდიაში წარმოდგენილ იქნა ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“ კ. სტანისლავსკის დადგმით. სწორედ იმ დროს პეტროგრადში კ. მარჯანიშვილი სახელმწიფო კომიკური ოპერის თეატრს ხელმძღვანელობდა. დგამდა კომიკურ ოპერებსა და კლასიკურ კომედიებს, მოცარტს, ჩიმაროსოს, დონიციეტის, ოფენბახს, გლიუკს და სხვ.

ამგვარად, მუსიკალური თეატრის რეფორმა ორი არხით მიმდინარებოდა — ოპერისა და მუსიკალური კომედიის. რაში მდგომარეობდა აღნიშნული რეფორმა, რა იყო მისი მიზანი და საფუძველი? უპირველეს ყოვლისა, იმის რწმენა, რომ საოპერო ნაწარმოები შექმნილია თეატრისთვის, სცენაზე წარმოსადგენად და არა მოსასმენად, ის არ არის სიმფონია. ეს იმის ნიშნავს, რომ საოპერო წარმოდგენა მუსიკას მოქმედებაში უნდა აგვლენდეს. შთაბეჭდილების ძალა ჩაქსოვილი უნდა იყოს სიმღერისა და გმირის შინაგანი ცხოვრების, მისი განცდის შერწყმაში და არა მარტო ვოკალურ ეფექტებში. ყოველი გმირი ნაწარმოების ძირითად კინდელიქტის, მისი დედააზრის გადაწყვეტას უნდა ემსახურებოდეს.

პუჩინი „პოპეა“ (II მოქ.). დეკორაციის ესკიზი.





მასკანი „სოფლის  
პატიოსნება“  
კოსტუმის ესკიზი

ძნელი არ არის მიხვედ — რე-  
ფორმატორები მუსიკალური თეატ-  
რისაგან ს რ უ ლ ფ ა ს ო ვ ა ნ  
ს პ ე ქ ე ტ ა კ ლ ს მოითხოვდნენ,  
ამიტომ უყვებდნენ მას დრამატუ-  
ლი თეატრისათვის აუცილებელ  
ყველა მოთხოვნა, რა თქმა უნდა,  
მუსიკალური სასცენო ნაწარმოების  
თავისებურებათა გათვალისწინე-  
ბით.

ცნობილია, რომ ოპერა მუსი-  
კისა და სასცენო ხელოვნების შე-  
ნაერთია, ყველაზე ემოციურისა და  
ყველაზე კონკრეტულად ხედვითი  
ხელოვნების შენაერთი. ამ დარგის  
მხატვრულ ნაწარმოებში განსა-  
კუთრებული სიღრმით და ემოცი-  
ურობით ამოიხსნება ადამიანი.  
ითვლება, რომ საოპერო კომპოზი-

ტორი თხზავს არა მუსიკას, არამედ თვით სცენას, გმირთა  
მოქმედებას, დრამატულად გააზრებულს და ამოხსნილს. დღეს  
უკვე ერთხმადაა აღიარებული, ოპერა თეატრია, რომ მასში  
რა არსებობს მუსიკა დრამატული კონფლიქტების გარეშე, რომ  
ოპერის მსახიობმა დრამატულის მსგავსად მხატვრული, სცე-  
ნაზე მოქმედი გმირის სახე უნდა შექმნას და არა იმღეროს  
მხოლოდ. ასეა ეს დღეს, მაგრამ მაშინ, როდესაც დრამატული  
თეატრის რეფორმატორები ამგვარი მუსიკალური თეატრისათ-  
ვის იბრძოდნენ, ბევრ რამეს მტკიცება სჭირდებოდა, სჭირდე-  
ბოდა ბრძოლა საუკუნოებრივი ტრადიციების დასარღვევად.

საოპერო წარმოდგენების მიმართ აღმოცენებული ახალი  
მოთხოვნები ახალ სირთულეთა დაძლევის მოითხოვდნენ. თუ  
ოპერა სრულფასოვანი სპექტაკლი უნდა ყოფილიყო, დრამა-

ზ. ფალაშვილი. „აბესალომ და ეფერია“. დეკორაციის ესკიზი.



ტლუ წარმოდგენის მსგავსად, მასში მონაწილე ყველა ხელო-  
ვანს, მსახიობი იქნებოდა ეს, რეჟისორი თუ მხატვარი, ამ  
მიზნის განხორციელებისთვის უნდა შეეწყობი ხელი. სხვაგვარად  
მუსიკალური თეატრის დრამატულთან მიახლოვება შეუძლებე-  
ლი იყო. რომ კოტე მარჯანიშვილი მუსიკალური წარმოდგენის  
მიმართ ამგვარ აზრს ნამდვილად იზიარებდა, ამის საბუთია  
მოსკოვის ოპერეტის თეატრში (მის მიერ განხორციელებული  
შტრაუსის ოპერეტა „ღამურა“ (1933 წ.). მხატვარი და ქო-  
რეოგრაფი კ. მარჯანიშვილმა თბილისიდან წაიყვანა. ესენი  
იყვნენ ელენე ახვლედიანი და დავით მაჭავარიანი.

შტრაუსის მხნე ვალის თანხლებით იხსნებოდა თეატ-  
რის ფარდა. მის უკან სპექტაკლის ფარდა მოჩანდა, გამჭვირ-  
ვალე ქსოვილისა, ზედ უზარმაზარი დამურის მოყავისფრო  
შავი გამოსახულებით. ფარდის იქით კონტრაქტურით განაიე-  
ბულ სცენაზე ფართო კაბეზში გახვეულ მოცეკვავეთა კორიან-  
ტელი იდგა. მათი სხეულები მათსავე ჩრდილებში ირიოდნენ  
და ღრეობის, უარბავი ხალხის შთაბეჭდილებას ახდენდნენ.  
ამგვარად, წარმოდგენის დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემ-  
დეგ ძირითადი შთაბეჭდილებები უკვე მიღებულე ქქონდა მა-  
ყურებელს: დღესასწაული იყო, ფერთა სიმრავლე და ოპერე-  
ტისთვის აუცილებელი ზეაქცენტები. შემდეგ სპექტაკლის  
ფარდა აიხდებოდა და მის უკან მოთავსებულ საცხოვრებელში  
გმირთა ცეცხური ცხოვრება იწყებოდა.

ეს საცხოვრებელი ოთახი სისადავით, გამოირჩეოდა,  
ავეჯის ჩვეულებრივი გარნტურა იდგა, სიღრმეში დიდი  
მრგვალი მაგიდა, დიდი ფანჯარა. მხოლოდ ის, რაც  
აუცილებელი იყო ამისათვის. პირველივე ეპიზოდი დე-  
კორაციის საქმიან დატვირთვის ავლენდა: მაყურებლისაკენ  
ზურგიტ გამოჩნდებოდა მსახური გიგონა ადელი, ეჭირა მისი  
დიასახლისისთვის წაწვეუვინი სატრფინო ბარათი ხელში,  
რომ შემთხვევით ჩაუვარდა. კითხულობდა და ხარხარებდა.  
მზიარულებაში უცაბედად მაგიდას ეჯახებოდა, მერე ზედ  
ჩამოჯდებოდა და ისე განაგრძობდა კი-  
თხვას, შემდეგ რაღაცას ისეთს ამოი-  
კითხავდა ბარათში, რაც მაგიდაზე შეხ-  
ტუნებდა და ისე გააცინებდა, რომ მაგი-  
დიდან ძირს გადმოაგდებდა. ამგვარად,  
ადელის არია ზურგიტ იწყებოდა და მა-  
გიდიდან იატაკზე დაეკმით მთავრდე-  
ბოდა.

თქმა არ უნდა, ეპიზოდის ამგვარი  
გადაწყვეტა სულ არ გავდა ოპერეტის  
ტრადიციულ ხერხებს, ამავე დროს ახალ-  
სიბობს — მას, უპირველეს ყოვლისა, უნ-  
და ემოქმედა გმირის ცხოვრების ლო-  
გიკით, ბუნებრივად და დამაჯერებლად,  
სიმღერა კი ამ ბუნებრიობის შედეგი  
უნდა ყოფილიყო. ადელს სახელგან-  
თქმული რეგინა ლაზარევა ასრულებდა,  
ასე რომ ჩანაფიქრი განხორციელების  
მაღალ დონეზე იდგა. მით უფრო პრინ-



ციპულად ქვრდა რევისორისა და მხატვრის სიახლე ეპიზოდის მოლიან გადაწყვეტაში.

ასე იყო ამოსხილი ყველა ეპიზოდი — ლოგიკურად, თანმიმდევრულად, ცხოვრებისეული დამაკარებლობით, მაგრამ უსათოდ თეატრალურად, მკვეთრად და მსუბუქად, როგორც ამას მუსიკალური თეატრი და შტრაუსი მოითხოვდნენ. სანიმუშოდ კიდევ ერთ ეპიზოდს მოვიყვანთ: როდესაც ნაწარმოების გმირი ქალი სატრფოს შეხედება და ორივეს ოღონდ სიმთვრალე მოერევით, მანამდე მწვიდად მდგარი რბილი სავარძლები ნელ-ნელა ცხვას იწყებდნენ. მაყურებელი ვერ ხედავდა მათ უკან მიმავლულ მოცეკვავე ქალებს, ვერ ამჩნევდა შუქის წუთიერი გამოითვისის დროს როგორ გაქონდათ სავარძლები, როგორ იკავებდნენ მათ ადგილს იმავერად შემოსილი ქალები. მაყურებელი ხედავდა იმას, რაზედაც მიმართავდა მის ყურადღებას რეჟისორი — სცენაზე მყოფი ორი გმირის თრობას. ეს იყო მთავარი. ატყვევებული სავარძლები კი ამ გმირთა გონებაში არეულ სამყარო იყო. რეჟისორი და მხატვარი ორივე საკუთარი იარაღით ერთ მიზანში ისროდნენ და ხედვებოდნენ მიზანს. ამის ყველაზე დიდი საბუთი ის იყო, რომ მიუხედავად აშკარა დადგმითი ფექტისა, მაყურებლის ყურადღება მოქმედ პირებს მაინც არ სცილდებოდა.

მომდევნო ეპიზოდში შეყვარებული წყვილი მაგიდას უახლოვდებოდა, ღვინის ჭიქებს იღებდნენ და საღვებრძოლედ ერთმანეთისთვის მიტახუნება სურდათ, მაგრამ ეს არ ხერხდებოდა, რადგან მაგიდიდან, რომელიც მათ შორის იდგა, რაღაც სასწაულით სასმისად შემოსილი ორი მოცეკვავე ამოხტებოდა. ორფერი იყო მათი სასმელი — გამჭვირვალე თეთრი და ღია მწვანე ექამებოდა ერთმანეთს ორფერი ღვინის ჭიქის მსავლად, მაგრამ ისე იყო აჭრილი და შეკერილი კოსტუმები, რომ მოცეკვავენი, მართლაც, მაღალ ფეხზე შემდგარ სასმისებს გაოდნენ. ადაეით მხატვრისა და ქორეოგრაფის დიდებული ნამუშევარი იყო და ჩართულ ნომრად არ გამოიყურებოდა, რადგან გმირთა თრობის გამოვლენას ემსახურებოდა. ეს თრობა კი აუცილებელი იყო მოქმედების მსვლელობისათვის.

დეკორაციის სადა გარემოში თვალისმოჭრელად ბრწყინავდნენ უამრავი კოსტუმები, რომლებიც ელენე ახვლედიანმა ამ სპექტაკლისთვის შექმნა. მთავარ გმირთა გარდა მრავალრიცხოვანი გუნდი იყო შემოსილი. ყოველი კოსტუმი ბოლომდე იყო მოფიქრებული, იმ პირობათა გაათვალისწინებით, რასაც სცენაზე გამოსულ ადამიანს აკისრებდა ხოლმე მარჯანიშვილისთანავე რეჟისორი. გუნდის ყოველი წევრი დასრულებული პერსონა იყო და თავისი ინდივიდუალობით გამოირჩეოდა. როგორც ყოველთვის, ელენე ახვლედიანი ზრუნავდა არა მარტო სამოსელის ხარისხზე, არამედ იმაზეც, რომ მსახიობი რაც შეიძლება მომგებიანად გამოჩენილიყო. ეპოქალური და ჯანრული შესატყვისობის გარდა, ზოგი კოსტუმი სახასიათო დეტალით იყო აღჭურვილი.

დამწერნი იხსენიებენ: როდესაც მეჯლისზე თავისი ქალბატონის მაგიერ მსახური გოგონა ადელი გამოინდა, მისი სასოსელით მოხიბულმა დარბაზმა მუქხარე ტანით გამოსხა ეს აღტყვევა, მაგრამ საინტერესო ის იყო, რომ ფერთა გაბა და აჭრილობის სიმწვენიერე გმირისთვის მთავად დამახასიათებელი დეტალით მთავრდებოდა: გაბის შლეიფზე ადელს თავისი ფეხსაცმელი დაეწყო — შეუწყველს მათი ღიბანს ტარება გასჭირებოდა, დეტალი აშკარად „თამაშობდა“.



მასკანი.

„სოფლის პატრონისა“ კოსტუმის ესკიზი

როგორც ცნობილია, წარმოდგენა კ. მარჯანიშვილს არ გამოუშვია. ელენე ახვლედიანი, დავით მაჭავარიანი და იმ დროს თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი სერგო ჭელიძე იყვნენ იქ და კ. მარჯანიშვილის მოულოდნელი სიკვდილით გაოგნებულნი, დაბნეულები პატრონობდნენ მის უკანასკნელ წარმოდგენას. საინტერესო ეპიზოდს იგონებს ს. ჭელიძე: სამხატვრო-პოლიტიკურ საბჭოს, რომელიც მაშინ წარმოდგენას ღებულობდა ხოლმე, უარყოფითი აზრი გამოუთქვამს როგორც ნაწარმოების არჩევანზე, ისე სპექტაკლზე, ზოგიერთები თავს დასხმიან გაფორმებასაც. სპექტაკლის დაცვა საჭირო იყო უტყუარი საბუთით. ასეთ საბუთად ელენე ახვლედიანის ესკიზები გამოუყენებია ს. ჭელიძეს. ახლაც ახსოვს, როგორ დაღვმდა თურმე ყველა, როდესაც მათ წინაშე მხატვრის სისხლსაცხე ესკიზები აელვარდნენ. მათში თავმოყრილი იყო და იგრძნობოდა ყველაფერი, რაც უნდოდა კ. მარჯანიშვილს და რაც უთოდა მეტი სრულიყოფით იქნებოდა წარმოდგენაში, მისი ბოლომდე დამთავრება რომ დასცლოდა მის შემქმნელს, მაგრამ კ. მარჯანიშვილი აღარ იყო. დასტოვა ბრწყინავლედ წარმოდგენები, ამოუსუსები კვალ თეატრის ისტორიაში იმათთვის, ვინც ამის ათვისებას შესძლებდა. მემკვიდრეთა შორის ერთ-ერთი

„ხანაარი“. დეკორაციის ესკიზი (I მოქ.),





მასკანი  
„სოფლის პატრონება“  
კოსტუმის ეკიზიზი

ელენე ახვლედიანი იყო. მარჯა-  
ნიშვილისგან მიიღო მან დრამა-  
ტიული თეატრის საიდუმლოებათა  
გასაღები, მუსიკალური თეატრის  
კარგი მარჯანიშვილი გააღებინა.  
უადრესად მუსიკალურ ადამიანს  
სამოყვებას ჰგვირია ბგერებს  
იქეთ განცდების და განწყობილ-  
ების, ეპოქის სულისა და ჟანრის  
სპეციფიკის ამოკთხვა, რომელიც  
სპექტაკლის გაფორმების თავისე-  
ბურებას კარნახობდა. საჭირო იყო  
მასალა, ახალი სპექტაკლები,  
რომლებშიც ელენე ახვლედიანის  
მარჯანიშვილიან მუსიკალურ თე-  
ატრში მიღებულ გამოცდილება  
თავის ნაყოფს გამოიხრებოდა.

1935 წ. თბილისის ზაქარია  
ფაღალავის სახელობის ოპერის  
ბ. იანოვისკის ბალეტ „ფერენჯი“ გასაფორმებლად (დადგმა  
ვ. ლიტვინენკოს).

ეს იყო პირველი საბალეტო წარმოდგენა, რომელსაც შეხ-  
ვედა ე. ახვლედიანი როგორც თეატრალური მხატვარი. გუ-  
ჭირდა, რადგან დამდგმელს მომავალი წარმოდგენის შესახებ  
კონკრეტული არაფერი უთქვამს, ის კი მარჯანიშვილისთანა-  
რეისორთან მუშაობას იყო შეჩვეული. რამდენიმე ცალკე  
მონომინა მუსიკა. არ აღლევდა. ლიბრეტოს მიხედვით უფრო  
მკვეთი და ძლიერი სინანდილიც ესახებოდა, ვიდრე ეს მუსი-  
კალურ მასალაში იყო მოცემული.

სიუჟეტი ინგლისელების წინააღმდეგ ინდოეთის მშრო-  
მელთა ბრძოლის ფონზე იშლება. ფერენჯ ინდურ ენაზე  
ფრანგ ნინოვს, მაშასადამე — დამმონებელს. ასე შევიდა ეს  
სიტყვა ხალხის შეგნებაში. საჭირო იყო აზრობრივი შექ-  
მარები, იდეის წინ წამოყვება. სპექტაკლში ეს არ ყოფილა,  
აზრი ლამაზ სანახაობას შეეწირა. უკმაყოფილო იყო მხატვარი.  
მოტილიანად წარმოდგენის და საკუთრივ მისი წარუმატებლობის  
მიზეზს მკვეთრი აზრობრივი ჩანაფიქრის სისუსტეში ხედავდა.  
მიუხედავად ამისა, „ფერენჯის“ გაფორმებაზე მუშაობის თავი-  
ხი დადებითი შედეგი გამოიღო. ნაწყოლობრივ, მაგრამ მაინც  
გამოყვებულ იყო გამოცდილება, რომელიც ა. ახვლედიანმა  
ქ. მარჯანიშვილთან „ხანძარზე“ მუშაობის დროს მიიღო. მით  
უკეთეს, რომ მასალათა შორის გარკვეული მსგავსება არსებობ-  
და: აქაც ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლა იყო ნაწევნი, ოღონდ  
უქსოილ დამპყრობთა წინააღმდეგ. მასობრივ სცენათა  
სიმრავლე, საბრძოლო ეპიზოდები და მეჯლისები აქაც სცენუ-  
რი მოედნის სიფართოვეს მოიხსოვდნენ, სიერცეს. მოქმედების  
ადგილების ხშირი ცვლა (პლანტაცია, ლუბანა, სასამართლო,  
ქუჩა, გუბერნატორის კამინეტი და სხვ.) არც თუ ისე ადვილი  
განსახორციელებელი იყო ოპერის თეატრის უძრავ სცენაზე.

მხატვრის არქივში შემონახული ჩანახატები იმაზე მეტყვე-  
ლებენ, თუ რამდენი უმუშავია, უძებნია: ფერგაცლილ ქალად-

ღებზე ინდოეთის არქიტექტურის, ჩუქურთმების, სამოსელის  
თავსმავალთა და სხვათა ნივთთა ანარქიკლები აღმტკილდა. ეს  
ჩანახატები ზოგჯერ ფერემა მსურველები, ინდოეთისთვის  
დამხასიათებელ ფერებში. კოსტუმებისთვის მსურველები,  
ჩანახატები უფრო მრავალფეროვანია: სამოსელი ინდო-  
ელენისა და ინგლისელებისათვის, ურცხვი კოსტუმი მეჯ-  
ლისში მონაწილე გმირებისა და მოცეკვრე კვარტეტისათ-  
ვის. პირველსავე, სულ უზრალო საქმიან მონახატებში, მხო-  
ლოდ მხატვრისთვის რომ არიან ხოლმე განკუთვნილი, ეტყუ-  
მა როგორ ასოსეს მხატვრის, რომ კოსტუმის პატრონმა უნდა  
იციეკოს. სხვადასხვა სამოსელთა აკრილობა, მაგრამ უსათუოდ  
თავისუფალი — რომელიმე ადგილას უსათუოდ შესხნილი,  
რომ მოძრაობას ხელი არ შეუშალოს. ყოველ ესეკვრე როლის  
მსურველები მსახიობის გვარია მიითვებულე. საქმარისა  
დააკვირდეს ესეკვრე და მსურველები მსახიობი გაიხსენა,  
რომ მაშინვე მიხვდა, თუ როგორ გაუთავალისწინებია მხატვრის  
როგორც გმირის ხასიათი, ისე მსახიობის გარეგნობის თავისე-  
ბურებაში, სხეულის ყველა დიხება-ნაკლოვანება, რომ მსახი-  
ობი, რაც შეიძლება მომგებინანდ ეწვევებინას მაყურებლისთვის.

დეკორაცია ფერწერული იყო, დაწერილი იყო როგორც სა-  
ქუსარები, ისე კულისები. უკანასკნელი მოქმედების უზარმაზარ  
სვეტებიანი დარბაზიც დაწერილი იყო. როგორც ყოველ-  
თვის, დამხმარე მხატვრებმა მხოლოდ შავი სამუშაო მსარ-  
ტულს. შემდგომ ინგლედანის ფუნჯი გადაველო და ოპერის  
თეატრის სცენის ისედაც დიდი სიერცე უსარგებლოდ გაიზარდა,  
აიესო პაერთი, ფერთი. მიუხედავად ამისა, თვითონ ე. ახვლე-  
დიანს „ფერენჯის“ გაფორმება მიუღწევად არ მაჩანია, როგორც  
უმრავლეს შემთხვევაში, უკმაყოფილოა საკუთარი ნაშეშვრტი.  
ამ შემთხვევაში აქვს კიდევ საფუძველი, მაგრამ ჩვეთვის ამ-  
ჟამად მთავარია არა მხატვრის წარმატება-წარუმატებლობა,  
არამედ მის დასვენა, რომელიც მის შემოქმედებით პოპიციას  
განაპირობებს — ე. ახვლედიანი დარწმუნდა, რომ შემუშავებ-  
ლია სპექტაკლის ხარისხოვანი გაფორმება, თუ მას საფუძველად  
უხარისხო ლიტერატურულ-მუსიკალური მასალა უძვეს და ნათ-  
ლად ჩამოყალიბებული რეჟისორული ჩანაფიქრი არ გააჩნია.

1942 წ. ე. ახვლედიანი კვლავ მიიწვიეს თბილისის ოპე-  
რისა და ბალეტის თეატრში ზ. ფაღალავის „აბესალომ და  
ეთერის“ გასაფორმებლად (დადგმა მ. კვალაშვილისა). თავ-  
დაპირველად მ. კვალაშვილს დადგმაზე მხატვარი ნ. ყაზბეგი  
მიუწვევია, რომელსაც ორი აქტი გაუფორმებია, მაგრამ შემ-  
დეგი ორი მოქმედების ესეკიზი არ დუშთავრებია. დადგმის  
ვადე კი ახლოვდებოდა, დრო არ ითმენდა. დანარჩენი ორი  
მოქმედების გასაფორმებლად თხოვნით ე. ახვლედიანისთვის  
მიუშარათავს. ძლივს დითანხმეს, მაგრამ ე. ახვლედიანის ახალ  
ესეკიზებას და პირველი ორი მოქმედებისთვის უკვე არსებულ  
ესეკიზებს შორის ისეთი განსხვავება აღმოჩნდა, რომ მათ ერთი  
წარმოდგენაში ერთიანება შეუძლებელი იყო. იძულებული  
გახდა იმ ორი მოქმედებისთვისაც მოეკლო. მაგრამ ნ. ყაზბეგის  
დანადგარები მაინც დარჩა. მათი დაშლისა და ხელახალი აგე-  
ბის საშუალებას დრო არ იძლეოდა, გარდა ამისა, მიზანსცენე-  
ბი ამ დანადგარის მიხედვით იყო განლაგებული.

დამდგმელ რეჟისორს სურდა, რომ აბესალომისა და ეთერის





ამბავი ზღაპრულ, პოეტურ სამყაროში გადაშლილიყო. ასეთი დავლებით მიუმართავს მ. კვალაშვილს თავიდანვე ნ. ყაზბეგისათვის, მაგრამ მხატვრის ნააზრვეი რეჟისორის ჩანაფიქრის არ დამთხვევია. მ. კვალაშვილის ცნობით, სწორედ ამ გარემოებამ გადააწყვეტინა თეატრს ე. ახვლედიანისთვის მიემართა — ყველამ იცოდა, როგორ პოეტური იყო ტილოებზე საქართველო. რეჟისორს მიაჩნია, რომ „აბესალომ და ეთერის“ ელვერ ახვლედიანისეული დეკორაცია პოეტურად გამოიყურებოდა, განსაკუთრებით ბროლის ციხე. ამბობს, რომ აქ მხატვარი მეტად უახლოვდება ოპერის მუსიკალურ ქარგავს, ფალაშვილის შთაგონების თავისებურებას. ე. ახვლედიანი კი სთვლის, რომ მისი „აბესალომ და ეთერის“ გაფორმება ზ. ფალაშვილის უკვდავ ქმნილებას არ შეესატყვისება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მას მაინც სხვისი დაწვეული საქმე გააგრძელა — დანადგარი, ე. ი. ჩონჩხი ხომ სხვისი იყო და ძალაუნებურად მას უნდა შეეუბნა. ეს დანადგარი კი სრულიად არ შეესატყვისებოდა ნაწარმოების მისებურ ხედვას. რაც შეეხება ბროლის ციხეს, ე. ახვლედიანს მიაჩნია, რომ არცერთ მხატვარს არ შეუქმნია მისი მუსიკალური ძალის შესატყვისი დეკორაცია. ხუმრობა ხომ არ არის ფალაშვილის მუსიკას გაუტოლდე მხატვრობაში ძალიან მოსწონს „აბესალომ და ეთერის“ დ. შევარდნიძისეული გაფორმება (დადგმა ა. წუწუნავასი). დ. შევარდნიძემ ოპერა ძველებური ქართული მინიატურის ხერხში გადააწყვიტა. ეს ხერხი სწორ მიგნებად მიაჩნია იმიტომ, რომ ქართული მინიატურა ნამდვილად ეროვნულია, უძველესი და ხალხური, როგორც თქმულება აბესალომსა და ეთერზე.

ოცნებად დარჩა ე. ახვლედიანს „აბესალომის“ გაფორმება, განუხორციელებელ სურვილად დადგენილი ტრადიციების დარღვევა გმირთა შემოსვლაში — რატომ უნდა ეცვას მურმანს უსათუოდ შავი ტიანისამოსი? განა სიბოროტის სხვა ნიშნები არ არსებობს? რატომ უნდა ეცვას ეთერს დახეული და ძველი კაბა? მთავარი განა მისი სიღარიბეა? ან სიღარიბე უთუოდ დახეულს ნიშნავს? თუ მთავარია ის სინათლე და სულიერი სიწმინდე, რომელიც მასში ჩააქსოვა ჯერ ხალხმა, მერე დიდმა კომპოზიტორმა?! ეს მთავარი უნდა იყოს გადმოცემული კოსტუმში... ყველა ამ და ბევრი სხვა ნააზრვეის სცენაზე გაცოცხლება მომავლის საქმეა. რაც უფრო ახლო მომავლის, მით უკეთესი.

შემდეგ 1943/4 წლის სეზონში მ. კვალაშვილმა ოფენბახის ოპერა „პოფმანის ზღაპრების“ გასაფორმებლად მიიწვია ე. ახვლედიანი (ლიბრეტო ჟ. ბარბიესი).

ნაწარმოების სირთულე რეალობისა და ფანტასტიკის შერწყმით მათ ურთიერთშედაცვლებაში მდგომარეობდა. ეს გარემოება ამ ორი პლანის ეპიზოდების ზუსტ განსხვავებად-


კონკრეტებს მოითხოვდა. ამავე დროს ერთიდან მეორეზე ისეთი დასვლას, რომ არცერთი დამაჯერებლობა არ მოელოდა.

ლიბრეტო სამი მოქმედების, ოთხი სურათისა და პროლოგისაგან შედგება. მოქმედების ადგილი — ბავარია და ვენეცია, დრო-ზღაპრული. ექსპოზიცია პროლოგში მოცემული: ტავერნაში ახალგაზრდობა იყრის თავს, დროს ატარებენ, მათ შორისა პოეტი პოფმანი, რომელიც მეგობრებს ოლიმპიას, ჯულიეტასა და ანტონიას მიმართ თავისი სამი უმედეო სიყვარულის ამბავს მოუთხრობს. ყოველ სამიჯნურ ამბავს თითო მოქმედება ეთმობა. ყოველ მოქმედებაში მომხდარი ამბავი რეალურისა და ფანტასტიკურის ბრძოლითაა გაპირობებული. დასასრული კი მუდამ ერთია — ოცნება იმსხვრევა, ის, რაც ცოცხალი და ჭეშმარიტი ჰგონია პოფმანს, ყალბია თურმე, მხოლოდ ცდუნებაა. ამის გამო ებრძოდნენ ერთმანეთს რეალობა და ფანტასტიკა. წმინდა რეალური მხოლოდ პროლოგი იყო, რომელიც საინტერესოდ იყო მოფიქრებული მხატვრის მიერ: ფანტის ტილოზე ბავარიის რომელიღაც ქალაქი მოჩანდა თბილ თოვლში გახვეული. დათოვლილ ხის ტოტებს შუა წვეტიანი სახურავები თითქმის ერთმანეთს მიხუ-



მსკანი „სოფლის პატიოსნება“ კოსტუმმა ესკიზი

ბიზე. „კარმენა“. დეკორაციის ესკიზი (განუხორციელებული დადგმა).





ტეოდონენ. სიშორისაგან ეს სიახლოვე მატულობდა, შემდეგ კი ყველაფერი თოვლის თეთრ სამყაროში იკარგებოდა. ქუჩის პირის მდგარი ერთი შენობის კარი ოდნავ შესწილიყო, თითქო შიგ შეხვალს სთავაზობდა მიმავალ მგზავრებს. ეს ლუთერის ტავერსა იყო. ტილოზე დახატულ პეიზაჟში შეჭრილი მისი კარი იხსნებოდა. იმ კარში შედიოდა ტავერსაში ქუჩით მიმავალი ახალგაზრდობა, მათთან ერთად ჰოფმანი. შუქი წუითი გა- მოითიშობოდა. უცებ აიხდებოდა პროლოგის ფარდა და ჩვენც სასტუმრო დარბაზში აღმოჩნდებოდით. აქ, ამ საუბრო მხა- რულებაში, იწყებდა ჰოფმანი თავის უჩვეულო მოთხრობებს.

ტავერსის ხაზგასმული, თითქმის ყოფითი სიმართლე ანთებული ბუხრით, ლუდის კასრებით და თაროებით, თიხის ტურტით, ჭერში შევიდებოდა ძეხვებით და ირმის რმისაგან ვაკეთებულ ტალით, ჭეშმარიტების ისეთი შეგრძნე- ბით განაწყობდა მაყურებელს, რომ შემდეგ მოქმედებაში შე- ტანილ მცირედ ფანტასტიკურ ხერხსაც კი სულ ადვილად გადაყავდა ირალურ სამყაროში, უჩვეულოდ, ფანტასტიკურად გერქმობდა. მაგალითისთვის ის ეპიზოდი გავისყნოთ, რო- მელიც მირაკლი, მიუხედავად აკრძალვისა, მაინც ამღვრებს ჭლებთან ანტონიას. სასწაულომოქმედ ყველას თანდასწრებით სასახლის მიოვე დარბაზიდან გამოიხდის ქალს. რეალურის დარღვევა გახდა საჭირო. მხატვარმა შემდეგ ხერხს მიმართა: კედელი, რომლის იქითაც ანტონია იმყოფებოდა, თანდათან გამჭვირვალე იქცეოდა, მის იქით მუხობელი ოთახის ნაწილი გამოჩნდებოდა. იქ ანტონია იჯდა. შემდეგ მირაკლის სასწაუ- ლებით მოკადაბებული წინ მოდიოდა და ჰოფმანის ხელზე კიდებოდა. ჯადოსნურ ფილინოზე დაგმურული ჩონჩხს მოკა- კობრდათ. სულ უფრო ხერხით აღწევდა მხატვარმა ამ შთა- ბეჭდილებას: შავ ხავერდში ჩაყმულ მსახიობს ზედა ჩონჩხს ეხა- ტება. ხეშით სიმებს რომ შეეხებოდა, შიგ გატარებული დენი ნაპერწკლებად ცვიოდა. ეს ეფემტური იყო, უჩვეულობის გან- წყობილებას ქმნიდა.

წარმოდგენა ლუთერის ტავერსაში მთავრდებოდა, იქ, სა- დაც დაიწყო იგი. ყველა ისევ იმ მდგომარეობაშია, როგორც პირველ მოქმედებაში დაეტოვებ, როდესაც ჰოფმანმა თავისი ამისი ოხრობა დაიწყო. გამოჩნდა მუხა, რომელიც მოუწოდებს ჰოფმანს განშორდეს სინამდვილის პროზას და პოეზიას მიაშუ- რის. მართალია, სცენაზე ყოფთა შორის, ჰოფმანის ხარდა, ვერაერ ხედვას მუხას, მაგრამ მაყურებლისათვის მაინც ხილუ- ლი უნდა ყოფილიყო იგი. გამჭვირვალე ქსილობის იქით გა- მოჩნდებოდა იგი თეთრ ხიტონში, როგორც ზმანება, როგორც ჰოფმანის ფანტასტიკური აგზნების საბუთი.

ყველა ის ხერხი, რომელსაც მიმართავდა ე. ახვლედიანი ამ წარმოდგენაში, დიდი ხანია ცნობილია ყველასათვის, ვინც თე- ატრის ტექნიკური სახიათის „სასწაულებრივი“ დაინტერესბუ- ლა. მიუხედავად ამისა, მაინც ახლად გამოიყურებოდნენ ისინი იმიტომ, რომ ანეკდოტი არ ყოფილა თვითმიზნური, მოქმედების ლოგიკით იყო გამოწვეული, ბუნებრივი იყო იმ მხატვრული ხერხისთვის, რომელიც მთლიანად ნაქმტკალი იყო გადაწყვე- ტილი რეჟისორისა და მხატვრის მიერ. ეს კი იმიტომ ხერხდებო- ბოდა, რომ ე. ახვლედიანი ღრმად შეიგრძნობს ავტორის და კომპოზიტორის ნაწარმოების ბუნებას, იცის, როგორ მიუხანოს

ლიტერატურულ-მუსიკალურ ხედვას კონკრეტული სცენარული და ადრეგატორული ხერხებით. დიდ ყურადღებას აქცევს სპექტაკლის დასაწყისის იმისთვის, რომ იგი წარმოდგენისათვის აუცილებელ განწყობილებას ემსახურებოდეს. ასეთსავე დანიშნულებას ანიჭებს ფინალს. ამის გამო, მისი დეკორაცია კომპო- ზიციურად მუდამ შევარდნა. როდესაც მომავალი სპექ- ტაკლის მხატვრული გადაწყვეტის ძირითად პირობას ადგენს, იმის ღრმა რწმენიდან გამომდინარეობს, რომ ყოველნა- ირი პირობითობა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როდესაც იგი ნაწარმოების დედაპირის ამოსხმას, ემსახურება. ე. ახვლე- დიანის შემოქმედებაში პირობითობა მუდამ რეალისტური გან- ზოგადების საფუძველზეა აგებული. ამის გამო საკმარისია ხოლმე რომელიმე ერთი დასაბერი დეტალი, რომ მაყურებლის წარმოსახვას თვითნა დახიროს მხატვრის მინიშნება და ამგვარად ჩათრეული იქნას მოქმედების მსვლელობაში, მით უფრო, რომ მისი მხატვრული ენა სადაა და გასაგები მაყურებ- ლისათვის, ზუსტი და ამაღლებული. ამის მთავარი საიდუმ- ლო იმაშია, რომ მხატვრის ყურადღება მუდამ ცოცხალ მსახი- ბობზეა მიპყრობილი, გმირთა სცენური ცხოვრების მსვლელობა- ე. ყოველი შემდგომი ნამუშევარი ამის ახალ-ახალ საბუთს იძლეოდა.

1945 წელს ე. ახვლედიანმა მოსკოვიდან მიიღო მიწვევა. ჩაიკოვსკის სახელობის საოპერო სტუდია ჯ. პუჩინის „ბოჰე- მის“ გაფორმებას სთავაზობდა.

მასალა საინტერესო და ახლოებული იყო მხატვრისათვის. ჯ. პუჩინი ვერისტი იყო და თავის ნაწარმოებებში ცხოვრები- სეული სიმართლისკენ მიისწრაფებდა. უფვრად დრამატული, სცენურად ეფემტური სიუჟეტები. „ბოჰემა“ ამგვარადა და- წერილი. მოქმედების ადგილი — XIX საუკუნის 30-იანი წლების პარიზი. მოქმედი პირობები — სტუდენტები, პოეტები, მხატვრები, უბრალო მოქალაქეები. ლიბრეტოს საფუძველია ცნობილი ფრანგი რომანტიკოსი მწერლის ანრი მიურეტის ნა- წარმოები.

გმირთა ცხოვრება მხატვრისთვის კარგად ნაცნობ ქალკ პარიზში იმლებოდა ე. წ. ლათინურ კვარტალში. აქ ერწყმოდა ერთიმორებს სიღარიბე და სიყოცლის სიყვარული. ანაგარეთის სამყაროს მანსარდებში მცხოვრებ ხელოვანების (ბოჰემას რომ უწოდებენ ჩვეულებრივი) კომპარტია მეგობრობა და სიყვარუ- ლი უპირისპირდებოდა. გერმანთა გამოხატვის გულწრფელო- ბა და მომხდარი ამბის ჩვეულებრიობა ხელს უწყობდა საოპე- რო მტკაპმების განათავისუფლებას. რეჟისორი ბ. აფონინის მიერაც ამით იყო ახსნილი სტუდიელებისათვის სწორედ ამ ნა- წარმოების არჩევა საკურსო წარმოდგენად.

საოპერო სტუდიის სცენა მცირეა, დარბაზი 400 კაცზე მეტს ვერ იტევს, დადგებით პირობები არავითარი, არც წრე, არც კიბეები. ომბოშქმედობა ოპერაში კი მოქმედების ად- გილი საშუაო იცვლება (მანსარდი, კაფე, სადარაჯო ორლეა- ნის გზაზე).

ე. ახვლედიანის გაფორმება ძუნწი იყო, მაგრამ სრულ წარ- მოდგენას იძლეოდა საფრანგეთზე. ნაწარმოების შესატყვისად ყველაფერი რბილად, კამერულად იყო გადმოცემული. ყოველ აქტისთვის, მოქმედების განვითარებისათვის აუცილებელი, ყვე-





ლაზე საჭირო კუთხე იყო შეჩვენული, მაგრამ მუდამ იგრძნობოდა, რომ ის რომელიდაც დიდი უბნის ნაწილია. ამიტომ მცირე კუთხე ვრცელ არეში აღიქმებოდა და სტუდიის მასშტაბებს ზრდიდა. რაში იმალებოდა ასეთი მიღწევის საიდუმლო? — დეკორაციის ყოველი მონაკვეთის ზუსტ აზრობრივ დატვირთვაში და ფერთა დიდისკატაბოში. სანიმუშოდ საკმარისია მეორე მოქმედების ესკიზს დახვდეთ: ლათინური კვარტალი, კაფე. მის წინ მოედანი. მცირე მაგიდები. მსუბუქი სკამები. მზის საფარის ჭრელი ტილო, ხეები, ძველებური ფარნები, სიღრმეში კი პარიზის სანაპიროს პერსპექტივა, შენობები, კვამლსადენები და ცა, დაუჯერებელი სიღრმის პარიზის ცა. შეზინდებულა. აქა-იქ ფარნებს თვალი გაუხელიათ, კიდევ ცოტა და ახლა უკვე საღამოს მაჯისცემით გაცოცხლდება ეს კუთხე იმისთვის, რომ პუჩინის გიერთა თავადასავლის რომელიდაც ეპიზოდზე მოვიტოვროს.

თითქმის ოცი წელი გავიდა წარმოდგენის შემდეგ, მაგრამ „ბოქმის“ ბევრი მაყურებელი, მათ შორის ცნობილი მომღერალი, პროფ. ნ. დორლაკი დღესაც აღტაცებით იგონებს მას და გულახდილად აღიარებს: ამის მეურ რომ ნამდვილი პარიზი ვნახე, საბოლოოდ დავრწმუნდი, რაოდენ ჭეშმარიტად იყო გადმოტანილი ე. ახლედანის მიერ საფრანგეთის სურნელზე-ბა სტუდიის ერთობეწო სცენაზე.

მხატვრის მიერ შექმნილი ეს გარემო ზედმიწევნით მოსახერხებელი იყო მსახიობებისათვის, მაყურებელს კი ადგილის, დროის და მომხდარი ამბის განწყობილების სრულ შთაბეჭდილებას უქმნიდა. როგორც ყოველთვის, ე. ახლედანის წარმოდგენაში შესანიშნავად ეცვათ მსახიობებს. ე. ახლედანის ამბობს, რომ ხარისხივან საოპერო ნაწარმოებში გვირის კოსტუმს მუსიკა კარნახობს მხატვარს, მასში ჩაქსოვილი გვირის ხასიათი და მდგომარეობა ნაწარმოების ამ თუ იმ მონაკვეთში. ამიტომ კოსტუმი მისთვის ისეთივე ცოცხალი და განვითარებადი, როგორც მოქმედების ადგილი. სანიმუშოდ მთავარი გვირის მიმის ჩაცმულობის შესახებ მოწოდებულ მის ცნობას მოვიყვანთ: პუჩინის მუსიკა სადა, თბილი და კამერულია. მიმი უბრალო გოგონაა, ავადმყოფი, ამის გამო სევდიანი. მაგრამ ახალგაზრდა და ფრანგი, მამასადამე, უსათოდ კოხტა და კკლუცი. ამიტომ თავიდანვე სადად, მაგრამ კოხტად ეცვა: ღია-ნაცრისფერი ქვედაკაბა, ღია-ლურჯი ზედა, თეთრი არმი-

ის ნაზი საყელო და სამაჯურები. თმის ვარცხნილობაც ნადასმეორე და მესამე მოქმედებაში იმავე სამოსს წამოსასხამი და ეპოქის შესაფერი თავსამაკაული ემატებოდა. მეოთხე მოქმედებაში სულ თეთრად იყო შემოსილი — მიმის უბიწოება ხიმ აქ ირყვევ! ამგვარად, ტანსაცმელის ცვლა გვირის სცენური ცხოვრების განვითარების მაუწყებელი იყო. ამით ესმარებოდა იგი მსახიობს და მთლიანად სპექტაკლს.

მეტად შთაბეჭედავი ყოფილა მესამე მოქმედება: მარცხენი სამიკიტნა, რომელშიც მიუხეცა და მარსელი ცხოვრობენ. ხელმარჯენივ ღობე, მის უკან შენობათა ნაწილები. სივრცე, ჰაერი. ეს მოქმედება თავილი შინარსით დრამატულია, მიმი და რუდოლფი შორდებიან ერთმანეთს. განშორების ტკივილი იგრძნობოდა მუსიკაში, მოქმედებაში. დეკორაცია კი გარს ეხვეოდა მას, როგორც ფაქიზი ჩარჩო, როგორც აუცილებელი, განუყოფელი ნაწილი იმ ამბისა, რომელიც ახლა თავს გადასხდა პუჩინის გვირებს. ყველაფერი ამ განწყობილების გადმოცემის სამსახურად იდგა: ფერი, ხაზი, კოლორიტი, მაგრამ როგორც ყველა ნამდვილად მხატვრულ ნაწარმოებში, ცალკე ვერაფერს ვერ ამჩნევდი. შენ წინაშე მომხდარ ამბავს განიცდიდი მხოლოდ ძალიან ძლიერად, ამბავს, რომლის შენთვის გადმოცემა მოიწადინეს კომპოზიტორმა, რეჟისორმა, მსახიობებმა და მხატვარმა — ყველამ ერთად!

მიუხედავად დაღმით საშუალებათა შეზღუდულობისა, იმავე მესამე მოქმედებაში მაინც იგრძნობოდა მხატვრის ოსტატობა სპექტაკლის განათებაში, სცენაზე იძინებდა ღამე, იძინებდნენ ძველი ფარნები. სადაც სიღრმეში ცა გაიკრიცა და ფერიხიდილი გაირიჭატი რუდოლფისა და მიმის მძიმე განშორების ერთადერთი მოწვე იყო.

ზემოხსენებული ეპიზოდი სპექტაკლის ერთი უძლიერესი ადგილი იყო და მაყურებლის მუდმივი მოწონება ახლდა თან. ყველა განიცდიდა გვირთა განშორების მძიმე წუთებს. ვინ ამჩნევდა მაშინ, როგორ მღელვარედ მონაწილეობდა ამ ეპიზოდში სპექტაკლის მხატვარი, რა ძლიერ დრამატული იყო ისიც. ამას ვერ ამჩნევდა მაყურებელი და სწორედ ეს „შეუმჩნელობა“ თეატრალური მხატვრის უდიდესი ღირსება, ეს იშვიათი თვისება, — იყო აუცილებელი, მაგრამ საჭირო ვაში უსათუოდ შეუმჩნეველი.

ნის ფერწერაში პერსპექტიული აგების ერთგვარი გამომცდელია. ეს შესაძლოა დაენიშნება დამწყებ მხატვრებს ამ დარგში.

როცა მომავალი სურათის ესკიზზე მუშაობას იწყებს, მხატვარმა ნათლად უნდა წარმოიდგინოს მთელი კომპოზიციის სივრცობრივი გადაწყვეტა, რომელიც მის ჩანაფიქრს უნდა უკასურებდეს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მომავალი სურათის ესკიზი, საზობრივი პერსპექტივის თვალსაზრისით, ხშირად შეიცავს შეცდომებს, ეს არ უშლის სივრცობრივი სახის სწორ გამოსახვას. როცა ესკიზიდან სურათზე გადადის, მხატვარი მაინც გრძნობს მისი პერსპექტიული აგების აუცილებლობას.

ნაწარმოებზე მუშაობის დროს, პერსპექტიული აგების ამოცანა — დამხმარე ამოცანაა, რომელიც უხემ შეცდომებს აგვაცედინს და ერთგვარად საფუძველს შეგვიქმნის სურათის ჩანაფიქრის განსახორციელებლად, გააძლიერებს შთაბეჭდილებას, მეტ ექსპრესიას წარმოქმნის. აქ დასაშვებია პერსპექტივის კანონების შეგნებული დარღვევა: შესაძლებელია ხატო „არასწორად“ იმისათვის, რომ მხედველობითი შთაბეჭდილება სწორი გამოვიდეს.

როცა პერსპექტიული აგების „სისწორისთვის“ ირღვევა კომპოზიციის ესკიზი, მისი პირვანდელი ჩანაფიქრი, ნაწარმოები მშრალი გამოდის, თუმცა „სწორი“, მაგრამ დინამიკას, სიხალასესა და უშუალობას მოკლებული. მხატვრის ამოცანაა შექმნას სწორი ილუზია და არა ნახაზი.

ამა თუ იმ ფერწერული ან გრაფიკული ნაწარმოების პერსპექტივის ანალიზის დროს ხშირად ვაწყდებით სიძნელეებს იმასთან დაკავშირებით, რომ კომპოზიციაში გამოხატულ ყველა ელემენტსა და საგანს როდი აქვს სწორი გეომეტრიული ფორმა. ეს იწვევს რთული დამხმარე აგების აუცილებლობას. ამ აგების გარეშე ნათლად ვერ გავერკვევით, რაშია მხატვრის წარმატება ან შეცდომა.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანის თვალი ყოველგვარი წინასწარი ანალიზისა და აგების გარეშე, უშუალოდ გრძნობს შეცდომებს ფორმის ნახატში. თუ ჩვეულებრივი ზომის სურათზე ან ნატურიდან მუშაობის დროს, მხატვარი არ უშვებს თვალმისაცემ უხემ შეცდომებს, მონუმენტური ფერწერული ნაწარმოების შექმნისას პერსპექტიულ აგებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ზოგჯერ საჭირო ხდება კომპოზიციის დეკავშირება არქიტექტურულ ნაგებობასთან, რომელიც მის პერსპექტივას აგრძელებს. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ არქიტექტორ გონზაგოს მიერ აგებული გალერეა ქ. პავლოვსკში.

როცა დიდი დარბაზის ჭერის მოხატავაზე იწყებს მუშაობას, მხატვარმა წინასწარ უნდა გაანალიზოს, თუ რომელი წერტილებიდან იქნება შესაძლებელი მომავალი ნაწარმოების დათვალიერება.

„თუ ყურადღებით დეკავირდებით სივრცის სიდიდის საზღვრებსა და ფორმას, რომელსაც ორივე თვალით ვხედავთ, ვრწმუნდებით, რომ როცა პირდაპირ ვიყურებით, ჩვენი მხედველობა პორიზონტს ზევით უფრო მეტ სივრცეს მოიცავს, ვიდრე პორიზონტს ქვევით. უფრო ზუსტი განზომილება გვიჩვენებს,

## კლავონის

## პერსპექტივის

## აკვზის შესახებ

ალექსი ბალაბუევი





ონუმენტური ფერწერის დარგში მომუშავე ქართველმა მხატვრებმა არაერთი შესანიშნავი კედლის მხატვრობა და პლაფონი შექმნეს ჩვენი თეატრებში, კლუბებსა და სხვა თანამედროვე არქიტექტურულ ნაგებობებში.

ვინ არ იცნობს ნიჭიერი მხატვრის, მომწიფებული ოსტატის-მონუმენტალისტის რობერტ სტურუას ნამუშევრებს, მისი თავისუფლად დაწერილი, დინამიკური სურათები სპეციალურ ანალიზსა და შესწავლას მოითხოვს.

ამ სტატიის ამოცანაა მკითხველებს გაეუზიაროთ პლაფო-





ფოტო 1, 2, 3.

რომ კუთხეები, რომლებიც ქმნიან მხედველობის არეს პორი-  
ზონტალურ ხაზთან, უდრის დაახლოებით  $45^\circ$  ზემოთ და  $65^\circ$   
ქვემოთ. სივრცის აღქმა მხედველობის სხივით მარჯვნივ და  
მარცხნივ განისაზღვრება დაახლოებით  $140^\circ$  კუთხით ( $70^\circ$   
თვითმუდ მხარეს“. ბარიშნიკოვის პერსპექტივა, თავი II,  
გვ. 10).

თუ მრულე სახით ჩაკვეტავთ ხედვის ოთხ განაპირა წერ-  
ტილს, მივიღებთ ხედვის მინდორის ფორმას (ნახ. 1).

მხედველობის დიდი კუთხის დროს ადამიანის თვალს მკა-  
ფი გამოსახულების ძალზე პატარა კუთხე გააჩნია ( $28^\circ$  დან  
 $37^\circ$ -მდე). ობიექტის დათვალერებისას თვალი უნებურად და  
სწრაფად იცვლის მდგომარეობას ისე, რომ მისი ოპტიკური

ღერძის ბოლო თითქოს ცურავს მასზე. ამრიგად, თუმცა ობიექ-  
ტის სურათს თვალი მთლიანად მოიცავს, მაგრამ აღიქმება იგი  
არა მთლიანად, არამედ ნაწილებით, და საერთო შთაბეჭდილე-  
ბაც ცალკეული შეგრძნებებისაგან შედგება.

ამასთან, პლაფონის დათვალერებისას, მაყურებლის თვა-  
ლი მიმართულია არა პორიზონტალურად, არამედ რაღაც კუთ-  
ხით ზევით. ადამიანი იყურება ზევით, რაც მალე იწყებს დაღ-  
ლას.


თუ დარბაზი არ არის მაღალი და მასთან დღიდა (პლა-  
ფონის კომპოზიციას კი მთელი ჭერი უჭირავს), დარბაზის  
ცენტრში ან ერთ-ერთ კუთხეში მდგომი მაყურებელი კომპოზი-  
ციის მხოლოდ ერთ ნაწილს დაინახავს ნორმალურად, დანარ-  
ჩენი ნაწილები კი ერთგვარად დეფორმირებულად გამოჩნდე-  
ბა. ამიტომ აუცილებელია მასთან მიახლოება (ნახ. ფოტო  
1, 2, 3).

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში თვითმუდ ნაწილის  
კომპოზიციისათვის არსებობს თავისი საუკეთესო ხედვითი  
წერტილი. რამდენადაც ხედვითი წერტილები სხვადასხვაა, უნ-  
და ვიფიქროთ პლაფონის შეერთების P წერტილზე. თუ შეერ-  
თების წერტილს ავიღებთ პლაფონის ცენტრში, პერსპექტიული  
აგება თუმცა სწორი იქნება, მაყურებელი A წერტილში (ნახ.  
2) ვერ შეძლებს სწორად აღიქვას კომპოზიციის ელემენტები  
D წერტილის რაიონში მათი ხაზობრივი დეფორმაციის გამო.  
B წერტილში კი იგი ვერ მიიღებს სწორ პერსპექტიულ შთა-  
ბეჭდილებას პლაფონის ამ ნაწილიდან. ეს გვაიძულებს უარი  
ვიქვათ პერსპექტიულ აგებაზე მხოლოდ P წერტილიდან და  
შევიცვალოთ იგი რამდენიმე წერტილით, ე. ი. P<sub>1</sub>, P<sub>2</sub>, P<sub>3</sub> და  
ა. შ. სათავსოსა და პლაფონის კომპოზიციის კონკრეტულ ზო-  
მებთან დამოკიდებულებით.

გავანალიზოთ ხაზობრივი გამრუდების სიდიდე, ავგოთ  
ხედვითი კუთხეების სქემა (ნახ. 3).

ეს სქემა თვალნათლივ უჩვენებს, როგორ იცვლება მინ-  
დრის სიდიდე, როცა მას ერთი და იგივე სხივი აშუქებს (სქე-  
მაზე სხივის სიდიდე  $5^\circ$ ) სიბრტყის დაქანებასთან დამოკიდე-  
ბულებით სხივის მიმართ. ძნელი არ არის გამოვიანგარიშოთ

ნახ. 1.



ამ მონაკვეთთა სიდიდის ცვლა ხედვის სხვადასხვა კუთხიდან.


40—45° საზღვრებში ეს სიდიდე ნელნელა იზრდება, შემდეგ მისი ზრდა მკვეთრად დიდდება. თუ ამ სიდიდეთა მიხედვით გრაფიკს ავაგებთ, მივიღებთ მონაკვეთთა სიდიდის მრუდს, რომელსაც სხვადასხვა კუთხით განვიხილავთ (ნახ. 4). მასზე ადვილად გამოირჩევა ხედვის წერტილის სასარგებლო მონაკვეთი დასაშვები ხაზობრივი სიმრუდით. იგი ძვეს 40—45° საზღვრებში. შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სურათის დათვალიერება 40—45° მეტი კუთხის ქვეშ ნორმალურად არ ხერხდება დიდი ხაზობრივი დეფორმაციის გამო. ცალკეულ შემთხვევებში, როცა შენობის არქიტექტურა ავტორის აიძულებს დაწეროს სურათი იმ ადგილას, სადაც დიდი ხაზობრივი დეფორმაცია ხდება, კომპოზიცია იწერება განზრახ დეფორმირებულად, რათა მაყურებელმა იგი სწორად აღიქვას.

პლაფონის აგება შეერთების რამდენიმე წერტილით აუცილებელია იმ შემთხვევაში, როცა მთელ პლაფონს ვერ მოვიცავთ თვალთ 90° მეტად. კომპოზიციის კარგი აღქმისათვის თვითუფლები წერტილი უნდა იყოს იმ საზღვრებში, როცა კომპოზიცია მხედველობითად სწორად აღიქმება.

P წერტილის მდებარეობა განისაზღვრება OPB სამკუთხედით (ნახ. 5), სადაც BP სილიდე პორიზონტის სიდიდეა.  $PB = h \cdot \operatorname{tg} \angle BAP$  ფორმულის მიხედვით, სადაც h დარბაზის სიმაღლე — დაშორების სიდიდეა. B წერტილი — სურათის საფუძველი. PAB — ხედვის კუთხე (მისი სილიდე არ უნდა აღმატებოდეს 40—50°)- $\operatorname{tg} 40^\circ = 0,84$ ,  $\operatorname{tg} 45^\circ = 1$  ამრიგად PB სილიდე არ უნდა იყოს h ან 0,84 h მეტი.

უნდა ითქვას თანამედროვე პლაფონების რამდენიმე ნიმუხადობლივ მხარეზე. სასაბუცებისა და ტაძრების პლაფონებზე რელიგიური და ალეგორიული თემატიკა ჭარბობდა. სურათის სიუჟეტი კომპოზიციის ცენტრში იყო მოთავსებული. თანამედროვე პლაფონებზე, რომელიც დღევანდლობის თემატიკას რეალისტურად ხსნის, კომპოზიციის ელემენტები სურათის ნაპირებზეა. როცა ასეთ პლაფონს ათვალიერებს მაყურებელი, თითქოს თვალს ავლებს კომპოზიციის ნაპირებს (ნახ. 7).


მსურს მკითხველებს გავუზიარო პერსპექტიული საფუძვლის აგების ერთგვარი გამოცდილება, რომელიც მივიღე ახალ კარგვაში თეატრის პლაფონის მოხატვისას. პლაფონზე მხატვართა ბრიგადა მუშაობდა (უკრაინის, კიევის არქიტექტურის აკადემიის მონუმენტური ფერწერის ინსტიტუტიდან, 1952 წ.). მხატვრის მიერ შესრულებული პლაფონის ესკიზი 0,1




ნახ. 3.

მასშტაბში, ჭერზე იქნა ჩამოკიდებული ინსტიტუტის ერთ-ერთ ოთახში. იგი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. პერსპექტივის რაიმე განსაკუთრებული დარღვევა არ შეიმჩნეოდა. პლაფონზე შეერთების წერტილი P ერთი უნდა ყოფილიყო — კომპოზიციის ცენტრში. OP დაშორების სილიდე (ე. ი. მანძილი მაყურებელთან პლაფონის სიბრტყემდე), რომელიც განსაზღვრავს კომპოზიციის სიღრმეში აგებას, მხედველობაში არ იყო მიღებული. დაშორების მანძილის სიდიდეზე კი დამოკიდებულია პერსპექტივის მხედველობითი შეკუმშვა ან გაზრდა. რაც უფრო მეტადაა დაშორების სილიდე გამოყენებული პერსპექტიული აგებისას, მით უფრო შეკუმშულია გამოსახულება. დაშორების სიდიდის გადაჭარბებით შემცირება გამოსახულებას იძლევა გაწვადებულ პერსპექტივას. ამას გარდა, მხატვრებმა, რომლებმაც ესკიზი გააკეთეს, არ გაითვალისწინეს პლაფონის პერსპექტივის ძირითადი კანონი, რომლის თანახმად „ყველა ჰორიზონტალური ხაზი პარალელურია“ (ბარინიკოვი, პერსპექტივა გვ. 116). ამიტომ ესკიზზე ჰორიზონტალური ხაზები


ნახ. 4.



ნახ. 2.







ფოტო 4.

გამოხატული არქიტექტურული ნაგებობებისა, არ იყო პარალელური, არამედ გაჩანდა შეერთების წერტილი. ასეთი გადაწყვეტა სწორი იქნებოდა დახრილ სიბრტყეზე გამოხატული ცალკეული კომპოზიციისათვის. ეს და სხვა რიგი პატარა შეცდომების გამო, რომელიც ესკიზზე ძნელი შესამჩნევია, გადიდების დროს უკვე აფუჭებს შთაბეჭდილებას კარგი კომპოზიციიდან. დადგა საკითხი პლაფონის საერთო პერსპექტიული დამუშავებისა. ეს სამუშაო მე დამეკისრა. პერსპექტიული აგების საფუძველზე საჭირო იყო ნატურალური ზომის მუყათის დამზადება კომპოზიციის ნაწილებისათვის. ისინი შენობის ერთ-ერთ დარბაზში ჩამოვადეთ (ახალი კასოვკის დარბაზის ზომებთან შეფარდებით) გაანგარიშებოდა სისწორის შესამოწმებლად.

პლაფონის პერსპექტივის საერთო სქემის გადაწყვეტისას გამოვიყენეთ ზემოთ აღნიშნული წესი დიდი პლაფონების პერსპექტივის აგებისა. გადაწყდა გამოგვეყენებინა შეერთების რამდენიმე წერტილი, რომელიც გამოხატული სივრცის სწორი აღქმის საშუალებას მოგვცემდა (ნახ. № 6).

ნახაზზე მოცემულია ცალკეულ არქიტექტურულ ნაგებობათა ( $P_2, P_3, P_6, P_7$ ) შეერთების წერტილები, რომლებიც მიგნებულ იქნა ესკიზის პერსპექტიული ანალიზის დროს. პერსპექტიული საფუძვლის აგებისას მასზე უარის თქმა მოგვიბდა.


გავითვალისწინეთ რა პლაფონის წაგრძელებულობა, მოგნახვი  $P_1$  და  $P_2$  შეერთების წერტილები, AB და CD კომპოზიციების მოკლე მხარეებისათვის. AC და BD კომპოზიციების

დიდმა სიგრძემ, ამასთან ამ ნაწილების პერსპექტივის დამსხვევით აუცილებლობამ AB და CD მხარეების პერსპექტივასთან, განსაზღვრა  $P_3$  და  $P_4$  წერტილების მდგომარეობა, რომლებიც  $CP_2, DP_2, BP_1$  და  $AP_1$  ერთ ხაზზე არიან. ამ წერტილების მოძებნის დროს გათვალისწინებული იყო ყველაზე უკეთესი შესაძლებლობა ხედვის წერტილისა. მხედველობაში იყო მიღებული ისიც, რომ პერსპექტიული აგების დროს ავტორთა თავდაპირველი კომპოზიცია არ დაგვერღვია. დაშორების სიმაღლე აღებული იყო დარბაზის ჭერის სიმაღლესთან შეფარდებით. ზოგიერთი არქიტექტურული ელემენტისა და კომპოზიციის ფიგურებისათვის ვერტიკალური მასშტაბი პორიზონტალურზე უფრო დიდი იქნა აღებული. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ დეტალები შესაძლო იყო გამოსულიყო დეფორმირებული, ვერტიკალური მასშტაბის ამგვარი გადიდება ანალოგიურაა მოწმუნებური სკულპტურის შესრულების ხერხთან. მას მიმართავენ მხატვრები, ითვალისწინებენ რომ მიწმუნებური სკულპტურის დათვალაობა ქვემოთან ხდება. ამ ხერხს იყენებდა ცნობილი იტალიელი მოქანდაკე დონატელი რიგ თავის ნამუშევრებში.

ამ პრინციპებზე აგებული პლაფონის პერსპექტივის საერთო სქემა მივიღეთ. მხატვართა ბრიგადა გადავიდა პლაფონის ნაწილების ნუკაოზე სამუშაოდ. ამ მუშაობის პარალელურად, პირდაპირ ნუკაოზე სრულდებოდა პერსპექტიული აგებანი. ურთიერთთანამშრომლობის ამგვარი მეთოდი ძალზე ნაყოფიერი და სანიშნუ გამოდგა. ნუკაოთა ერთ ნაწილზე იგებოდა პერსპექტივა გაანგარიშების სისწორის შესამოწმებლად, მეორე კი იწერებოდა თავდაპირველი ესკიზის მიხედვით. დამზადებული ნუკაოები ჩამოვიკეთე ჭერთან. მათი ქვემოდან დათვალაობისას გამოირკვა, რომ კომპოზიციების ნაწილის პერსპექტივა კარგად იყო აგებული (ფოტო 4), მეორე ნაწილი, ესკიზის მიხედვით შესრულებული (ფოტო 4), არასაინაოფონო შთაბეჭდილებას ტოვებდა. შენობის ნაწილი თითქოს თავზე ეცემოდა მაყურებელს, იმტვრეოდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ნუკაოების ამ ნაწილზე ვერტიკალურ და პორიზონტალურ ხაზებს შეერთების წერტილი ჰქონდათ. ამგვარი პერსპექტიული გადაწყვეტა მართებული იქნებოდა მხოლოდ დახრილი სიბრტყის მქონე სუათისათვის.

„შეერთების წერტილის არსებობა ვერტიკალურ ხაზებთან

ნახ. 5.



ნაა დახრილი“ (ბარიშნიკოვი. პერსპექტივა, თავი III, გვ. 21).


როცა პორიზონტალურ სიბრტყეზე პლაფონისათვის პერსპექტივას ვაგებთ, უნდა მოვიფიქროთ, რომ პლაფონის პერსპექტივა შემდეგ პრინციპზე იგება. ა) ყველა პორიზონტალური ხაზი პარალელურია სასურათო სიბრტყისადმი, ე. ი. გეომეტრიულად პარალელურია და შეერთების წერტილი არ აქვთ. ბ) ყველა ვერტიკალური ხაზი პერპენდიკულურია სასურათო სიბრტყისადმი და ცენტრალურ P წერტილში იყრის თავს პორიზონტის სიბრტყეზე (ბარიშნიკოვი. პერსპექტივა, გვ. 116).

ამიტომ მთელი კომპოზიცია, რომელსაც ქვემოთაა ზემოთ ვუყურებთ, გამოხატული უნდა იყოს რამდენადმე უფრო დიდ რაკურსში, ვიდრე ეს ესკიზზეა.

პერსპექტიული საფუძვლის მქონე და ამ საფუძველს მოკლებული ნაწილების შედარება პრაქტიკულად თვალნათლივ გვიჩვენებს მიღებული გადაწყვეტის სისწორეს. დანარჩენი სამუშაო ამ პრინციპით გრძელდებოდა.

აუცილებელია აღვნიშნოთ ის შეცდომა, რომელიც დაუშვებს მხატვრებმა ნატურაზე მუშაობისას მუყაოს შესრულების დროს. მოდელები, რომლებსაც ხატავდნენ 2-3 მეტრის სიმაღლეზე, იდგნენ სპეციალურ დგამებზე. მანძილი მოდელსა და მხატვარს შორის გაცილებით მცირე იყო იმ მანძილზე, რომლიდანაც შემდგომში პლაფონი უნდა დაგვეთვალიერებინა. ამან გამოიწვია შეცდომა მოდელის რაკურსსა და ნახატის პერსპექტივაში (ნახ. 8).


ვაკავებთ რა ყოველივე ზემოთქმულს, უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოხატული სივრცის სწორი ილუზიის ამოცანა მიიღწევა მხატვრის შემოქმედებისა და კომპოზიციის სწორი პერსპექტიული აგების გონივრული შერწყმით. პერსპექტივის კანონების მხოლოდ სრულყოფილი ცოდნა დაეხმარება ახალგაზრდა მხატვრებს შექმნან ძლიერი, დასრულებული მონუმენტური ნაწარმიგებები.




ნახ. 6.

ერთ წერტილში იმითაა განპირობებული, რომ დახრილი სურათის დროს ისინი უკვე არ არიან მისი პარალელური, ე. ი. ამ შემთხვევაში ევემდებარება კანონს სწორ პარალელურთა პერსპექტივის შეერთების წერტილებზე, რომლებიც სურათთან

ნახ. 7.



ნახ. 8.





ლილ

## შემოქმედებითს

### გზაზე

თინათინ ფანიაშვილი



საქართველოს სსრ მთავრობის სახლი

ლებელი, რომელთანაც ორი წლის განმავლობაში კერძო გაკვეთილებს იღებდა, იყო პოლინელი მხატვარი დელებსი (1918-1919 წ. წ.).

1920 წელს გიორგი ლევაგა თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში აგრძელებს სწავლას, მაგრამ მხატვრული ნიჭით დაჯილდოებულ ჭაბუკს ვერ ფარგლავს მხოლოდ ტექნიკური განათლება და ტექნიკუმში სწავლას იგი მოსუ თიბისის სტუდიაში მეცადინეობასაც უთავსებს.


1923 წ. იგი შედის სამხატვრო აკადემიაში, არქიტექტურის ფაკულტეტზე. აქ მისი ხელმძღვანელება პროფესორები — ანატოლ კალგინი, ნიკოლოზ სვეეროვი და პ. გრინევსკი. ხატვისადმი მიდრეკილებამ გიორგი ლევაგა პარალელურად გრაფიკის ფაკულტეტზეც შეიყვანა, სადაც მხატვრობას ეუფლებოდა პროფესორების იოსებ შარლენანის და ევგენი ლანსერეს ხელმძღვანელობით. აკადემიის რექტორი პროფ. ჩუბინაშვილი სტუდენტებს აბამდა ეროვნული სუროთმოდერების გაცნობის საქმეში და ჭაბუკი გიორგი ლევაგა აკადემიის კედლებშივე იწყებს ქართული არქიტექტურული ძეგლების სისტემატურ შესწავლას.

1925 წლიდან მოყოლებული, ჯერ კიდევ სტუდენტი ინტენსიურ შრომას ეწევა. მუშაობს არქიტექტორის თანაშემწედ თბილისის საბჭოს აღმასკომის საპროექტო სახელოსნოში. მისი ამ ხანის პროექტებია: მუშათა კლუბი, ვაკის პარკი და სტადიონი, ბაქოს ნავთობის ინსტიტუტი (ავტორები: კალგინი, ტერ-მიქელოვი, ლევაგა), სადამლომო პროექტი — კინოფაბრიკა დილოში (კონსულტანტები რევისორი მ. კალატოზიშვილი, სცენარისტი შკლოვსკი). მხატვარია ერთ-ერთი საუკეთესო ქართული ფილმისა „სვანეთის მარილი“, „600 მეტრანი



არქიტექტორ გიორგი ლევაგას ნაწარმოებთა გამოფენამ დაგვანახა სუროთმოდერის მიერ გაცოლილი დიდი შემოქმედებითი გზა, განათებული ხელოვნებისადმი, სამშობლოსადმი, შრომისადმი უსომო სიყვარულით.

ზესტაფონელ პატარა მოსწავლეს გიორგი ლევაგას იმდენად იტაცებდა ხატვა, რომ სკოლაში ხშირად ისჯებოდა უყურადღებობისათვის. მაგრამ მასწავლებელმა პავლე მეტრეველმა გაუგო მისწრაფება ყმაწვილს და 1917 წელს მიიყვანა ცნობილ რუს აკვარელისტ და გრაფიკოს ვესეევთან (მისი ნამუშევრები დაცულია თბილისის ხელოვნების მუზეუმში), რომელიც იმჟამად ზესტაფონში მუშაობდა. ლევაგას მეორე მასწავ-



საცხოვრებელი სახლები რელიეფზე (პროექტი)


ტალღაზე, რომელსაც იღებენ ხევსურეთში. აქ აკეთებს იგი ხევსურული ტიპის, არქიტექტურის და პეიზაჟის ჩანახატებს. ამავე პერიოდშია შესრულებული ჩანახატები და მათი ლითონ-გრაფიული ანაბეჭდები „სარატოვი“ (1925 წ.), „ზაპისის შვენებლობა“, კომპოზიციები თავისუფალ თემებზე: „ტერორისტები“, „ავტობორტრეტი“, „გასეირნება“, „ძველი თბილისის ქუჩები“, „კომპოზიციები ინდუსტრიულ თემებზე“ და სხვ. მუშაობს წიგნის გრაფიკაზე, ქართულ შრიფტზე.

1926 წელს მოეწყო უცხოეთიდან დაბრუნებული მხატვრის ლადო გულიაშვილის ნამუშევრების გამოფენა. საგულისხმოა, რომ ამ გამოფენაზე, უკვე სახელგანთქულმა მხატვარმა მიერე დაბარაზი თბილისის სახატატრო აკადემიის სტუდენტს გიორგი ლეჟავას ნამუშევრებს დაუთმო. და აი დღესაც ყურადღებას იპყრობს იმ ხანის ნამუშევრები.

1929 წელს გიორგი ლეჟავა ამთავრებს თბილისის სამხატვრო აკადემიას და არქიტექტურული ცხოვრების სრულყოფილი მონაწილე ხდება.

1931 წელს გადადის მოსკოვში და მუშაობას იწყებს აკადემიკოს შრუსევის არქიტექტურულ სახელისნოში. ამავე დროს ეწევა პედაგოგიურ მუშაობას მოსკოვის არქიტექტურულ ინსტიტუტში და ჩამბულია საქართველოს არქიტექტურულ ცხოვ-

ნახატების სერიიდან „მოსინოიკების“ დასახლება



რებაში. სახაფხულო არდადეგებს ქართული არქიტექტურის ძეგლების შესწავლას ანდიომებს. მეუღლესთან, არქ. მარიამ ჯანდიერთან ერთად მონაწილეობს იელბს საბჭოების სასახლის საკონკურსო პროექტში (1932 წ.). არქ. კიკორინთან ერთად მუშაობს მთავრობის სასახლის პირველი წყების პროექტზე (1933 წ.). ამავე წელს არქ. ლეჟავა და ჯანდიერი პრემიას იღებენ მოსკოვის ტექნიკის სასახლის საკონკურსო პროექტში. ლეჟავა მონაწილეობს კონკურსში პერეკოპის პანორამის შენების პროექტზე (1936 წ.). ამ პროექტებზე პრემია დამისახურა. პროექტებს მრეწველობის სახლს თბილისში, მონაწილეობს ხელფანების მუშეზე „მეტეხს“-ს პროექტზე გამოცხადებულ კონკურსში, პროექტებს ამიერკავკასიის პავილიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში (1936 წ.). ამ პროექტისათვის დამასსიათებელია მაღალი, აზიდული ორფერი. ამის შემდეგ მონაწილეობს საქართველოს სსრ პავილიონის დაპროექტებაში სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მოსკოვში (ავტორი ა. ქურდიანი). ამ პერიოდში გ. ლეჟავა მუშაობს თბილისის დაგეგმარებაზე, ამ საკითხს მიეძღვნა: დაკვეთის გარეშე შექმნილი რიყის რეკონსტრუქციის პროექტი (1937 წ.) და იგივე პროექტი დაკვეთით (1939). ამ პროექტების იდეა გულისხმობს არსებული შენობების მოხსნას და რიყის პარკის დაპროექტებით მშენებლის შექმნას ქალაქში. ქალაქის დაგეგმარების თანამედროვე პროექტში რიყის საკითხის გადაწყვეტა ამავე იდეით არის შთაბრძნული.

გიორგი ლეჟავა მეუღლესთან ერთად აწიბის ექსპედიციებს ანელად მისასვლელ მთიან რაიონებში: მთათუშეთში, ხევში, ხევსურეთში, რაჭაში, სვანეთში, ჩრდილო ოსეთში. სწავლობს ძეგლებს, აწარმოებს მათ გაზომვას, ჩანახატებს, ფოტოფიქსაციას. ამ მუშაობის ნაყოფია არქ. ჯანდიერთან ერთად გამოცემული წიგნები: „სვანეთის არქიტექტურა“ (1937) და „მთიანი საქართველოს არქიტექტურა“ (1940). ეს წიგნები მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს იმ მდიდარ მასალას, რომელიც დაგროვილია ექსპედიციების შედეგად. იგი დიდ ინტერესს წარმოადგენს ყოველი მკვლევარისათვის. თვით გ. ლეჟავა დღესაც განავრძობს ამ მასალის დამუშავებას.

1939 წელს გიორგი ლეჟავა შედის სსრკ არქიტექტურის აკადემიის ასპირანტურაში. ბევრს ხატავს. მისი ნახატები მრავალფეროვანია როგორც შინაარსით, ისე შესრულების ტექნიკით. დამახასიათებელია, რომ ყველა კომპოზიციამო განუწყურელია არქიტექტურა, პეიზაჟი და ყოფა. ამ მხრივ საინტერესოა კომპოზიციები: „ხორუმი“, „სამაია“, „ჭიდაობა“, „შევიბრი“, ხუროთმოძღვრების მიზანია ისტორიულ-არქიტექტურული პეიზაჟის აღდგენა. მას არ შეუძლია არქიტექტურის აღქმა განყენებულად.

კომპოზიციების ნაწილი წარმოადგენს არქიტექტონიკულ ვარჯიშს, პეიზაჟის, რელიეფის და არქიტექტურის შერწყმას— მათ ორგანულ კავშირს. ამ შესანიშნავ კომპოზიციებში თვალნათლივ ჩანს დამოუკიდებელი ნიჭიერი შემოქმედის ხელი.

გიორგი ლეჟავა ეუფლება ოფორტის ტექნიკას. მას იტაცებს ინგლისელი ოფორტისტის ბრენჯინის შემოქმედება და ბევრ ნამუშევარში განიცდის მის გავლენას. არქიტექტურის აკადემიამ 1946 წ. დაბეჭდა გ. ლეჟავას მიერ შესრულებული



12 ც. ოფორტის ალბომი (XII საუკუნის რესტავრაცია) ეს ალბომები დაცულია ქ. მოსკოვის მუზეუმებში.

სამამულო ომის დაწყებისას გიორგი ლევაყას აგზავნიან ვოლგოგრადის ოლქში მშენებლობაზე. 1942 წლიდან იგი ომის მონაწილეა. საბედისწერო ბრძოლები... მტრის ზურგში არა-ლევალური პროპაგანდა პლაკატებისა და გაზეთების საშუალებით... ისევ ბრძოლები ბუდაპეშტის, ვენის განთავისუფლებისათვის!...

ომის დამთავრების შემდეგ ხუროთმოძღვარი უბრუნდება თავის პროფესიას. ისევ გამარჯვება! პირველი პრემია მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის პროექტში. გ. ლევაყასთან ერთად ამ შენობის პროექტის ავტორია პროფ. კოკორინი.

მთავარი კორპუსის აგებით დასრულდა ის კომპოზიციური იდეა, რომელიც საფუძვლად ედო ადრე აგებულ კორპუსს. შეიქმნა ერთი ანსამბლი, რომლის ცენტრი პროპილევების ღერძია. გეგმარების ფუნქციური ორგანიზაცია მკაფიოდ გამოკყოფს შემადგენელ ნაწილებს. ფორმათა მონუმენტურობა, თავშეკავებული ორნამენტაცია, ბოლნისის ოქროსფერი ტუფით მოპირკეთებული ფასადები, საზეიმო პროპილევები, წითელი ხაზიდან სიღრმეში დახვევა, ხაზს უსვამს ნაგებობის მნიშვნელობას.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მშენებლობა და გეგმარება 1953 წ. დამთავრდა. ეს შენობა იმ ხანის არქიტექტურული მიმდინარეობის და საერთოდ ქართული საბჭოთა არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია.


1947 წ. ლევაყა აგეგმარებს დიღმის საბჭოთა მეურნეობის დასასვენებელ სახლს. ისევ პირველ პრემიას იმსახურებს კონკურსზე, რომელიც ცხადდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსის დაპროექტებაზე. ამჟამად მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსის იმდროინდელი პროექტი უკვე აღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებებს. ამიტომ

ხეველურის პორტრეტი (ხეველური ჩანახატების სერიიდან)



გიორგი ლევაყა ახლა ამ პროექტის კორექტირება-გაუმჯობესებაზე მუშაობს.

გიორგი ლევაყას ეკუთვნის მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი მელიქიშვილის და ლენინის ქუჩის განშტობაზე (1950 წ.), მტკვრის სანაპიროს განაშენიანების საინტერესო ჩანაფიქრი. გურჯაანის კულტურისა და დასვენების პარკის პროექტი (1955), რომელშიაც შეტანილია ქართული ბაღ-პარკების ტრადიციული ელემენტები და კარგად არის გამოყენებული ადგილობრივების ბუნებრივი რელიეფი. თბილისის საგარეუბნო კურორტის, წოდორეთის დაგეგმარების პროექტში გამოყენებულია საქართველოს მთიანი რა-



გ. ლევაყა  
„ციხეს აშენებენ“

ინების დასახლებების კომპოზიციურ-გვერდებით ხერხები (1958 წ.).

ქალაქის კეთილმოწყობის მის მიერ შექმნილი ყოველი პროექტი შეიცავს საინტერესო აზრებსა და იდეებს. ასეთია „მესხეთი“, „ექსპერიმენტული საცხოვრებელი კვარტალები კახეთის ზღაპზე“ (ლევაჯა, ჯანდიერი), ქალაქის ძველი რაიონის „რეკონსტრუქციის პროექტი“, რომელიც გულისხმობს განაშენიანებას მტკვრის პერპენდიკულარულად, ტრასისებურად მასივებით. მხედველობაშია მიღებული მოსახლეობის თანამედროვე მოთხოვნილებები. საერთოდ, ქალაქის დაგეგმარების დროს იგი დიდ როლს ანიჭებს გამწვანებას, როგორც გამაჯანსაღებელ ფენას.

გიორგი ლევაჯა კვლავ იმარჯვებს კონკურსზე, რომელიც ცხადდება მოსკოვის სახალხო მუშურების მიღწევათა გამოფენისათვის საქართველოს სსრ პავილიონის შენობის პროექტზე. პირველი პრემია არ ყოფილა მინიჭებული, ხოლო მეორე პრემიას ინაწილებენ არქიტექტორები გ. ლევაჯა და ლ. მესხიშვილი. გიორგი ლევაჯას პროექტი შედგაობი დამუშავებისათვისაა მიღებული. ამ შენობისთვის დამახასიათებელია სტილიზებული ნაციონალური, აზიდული ორდერი (1959 წ.).

ქართულ მოღვაწეთა პანთეონის რეკონსტრუქციის პროექტში (1960) თავს იჩენს ავტორის ოსტატობა რელიეფის გამოყენების საკითხში.

გიორგი ლევაჯას პრაქტიკული მოღვაწეობა ხასიათდება მშენებლობისადმი დიდი ინტერესით. სამაგალითოა მისი საავტორო ზედამხედველობა.

პრაქტიკოს-არქიტექტორის ყურადღების გარეშე არ რჩება არცერთი ისტორიულ-არქიტექტურული აღმოჩენა. ესმარება ყოველ სახალსს ამ დარგში, და როგორც ხუროთმოძღვარი თვით მონაწილეობს გათხრებში. აღდგენითი კომპოზიციების დიდებული სერია შესძინა გიორგი ლევაჯამ ქართული არქიტექტურის ისტორიას. ანტიკური ხანის ფრაგმენტების შესწავლას მიეძღვნა ნასოფლარ „დარბაზებში“ (ძეგვი) ამოთხრილი ანტიკური სვეტის აზომვა.

ქსენოფონტე (V საუკ. ჩვენ წელთაღრიცხვამდე), ბერძენი მწერალი, საზოგადო მოღვაწე და სარდალი მიდის მეფე კირის დასახმარებლად. ის მთავარსარდალბოს დაქირავებულ ბერძნულ კარებს და უკან დახევს დროს გამოივლის დასავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილს, სადაც დასახლებულია კოლხების ერთ-ერთი ტომი — მოსინოიკები. შემდგომში ქსენოფონტემ თავისი შთაბეჭდილებები გადმოსცა წიგნში „ანაბასის“ (უკან დახევა). მასში აღწერილია მოსინოიკების დასახლებები და მათი ხის არქიტექტურა. ამ ნაწარმოების შესწავლითა და მეცნიერული კვლევა-ძიების საფუძველზე შექმნილია გიორგი ლევაჯას აღდგენითი კომპოზიციები, საქართველოს ხის არქიტექტურის შესახებ. ეს სამუშაო სრულდება დაახლოებით 7-8 წლის განმავლობაში. გამოყენებული იყო ვიტრუვის, სტრაბონის და სხვათა შრომები.

კომპოზიცია „ღიბა ღუბაში“ (მგურულად სერი, გორაკი), შთაგონებულია არქეოლოგ ხომარაკის გათხრებით, რომელ-

მაც დაადგინა, რომ რამდენიმე გათხრილი სერი წარმოადგენს ძველი კლრული ტომების დასახლებების ადგილს, შემორჩენილს თხრობებით — არხებით. მასში გაშვებული იყო მდინარე ფშანის წყალი. ამ თხრობებით მოსახლეობა თავს იცავდა მტრისაგან და მტაცებელი მცვეებისაგან. ყოველი დასახლება შემოფარგული იყო ხიზნაობებით. გათხრების დროს ნაპოვნო იყო ძველი ნაგებობის მხოლოდ საძირკვლები, ხოლო თვით ნაგებობები აღდგა გიორგი ლევაჯას „მოსინოიკებით“ (ნახატების სერია).

კომპოზიცია „მცხეთა“ ასახავს ლვერდას სვეტიცხოვლის აგების შესახებ. ნამუშევარი „მცხეთა-ბაგინეთი“ აღადგენს პეიზაჟში ჩახატულ წარმართული ხანის ქალაქს. ბაგინეთის გათხრების შესწავლად ხუროთმოძღვრს დაანახვა, რომ ეს ქალაქი მცხეთის იყო მეორე აზის ვიზინტური ქალაქებისა. ამ მასალის კვლევის საფუძველზე შეიქმნა კომპოზიცია „მცხეთა-ბაგინეთი“. „ვანი“ აღადგენს ვანის გათხრების დროს აღმოჩენილ ანტიკური ტაძრის გეგმას. „ციხის ძირი“ წარმოადგენს კოლხური სანაპიროების გამაგრების აღდგენის ცდას.

ზოგჯერ ადგილმდებარეობის რელიეფი ან პეიზაჟი, იმდენად შთაბეჭდავია ხუროთმოძღვრისათვის, რომ შთააგონებს მას არქიტექტურულ კომპოზიციას. ასეა შექმნილი: „ციხე ქალაქი შივარის შუქზე“, „ქალაქის ქუჩა კიბებით რთულ რელიეფზე“, „ბაღ-ბაგრის ვარაკიები“, „ყვენობა“, „ხატის დღი“, „ციხეს აშენებენ“ და მრავალი სხვა...

„ციხეს აშენებენ“ გადმოსცემს მშენებლობის ორგანიზაციას წარსულში. მომხიბლავია ფანტასტიკური კომპოზიცია „იშერულ მიტევებზე“. ციკაბო მთაზე წარმოდგენულ ციხის ნანგრევებზე მერცხლის ბუდეებით მიაშენა ხუროთმოძღვარმა აივნებიანი სახლები.

უსახლეროა ხუროთმოძღვრის კომპოზიციური ფანტაზია.


გიორგი ლევაჯა იმ ქართულ არქიტექტურათაგანია, რომლებმაც პირველმა მიიღეს უმაღლესი სახუროთმოძღვრო განათლება საქართველოში და, წამყვანი როლი შეასრულეს ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში.

გიორგი ლევაჯას ნაწარმოებების გამოფენამ ცხადყო, რომ შემოქმედი მაღალნაყოფიერია როგორც თავის ძირითად სპეციალობაში, ისე მხატვრობასა და მეცნიერულ მოღვაწეობაში. სამივე დარგში ისეთ მწვერვალებს აღწევს, რომ ერთი შეხედვით ძნელი ითქვას, რომელ მაგანში აქვს მას უპირატესობა. მისი შემოქმედების უფრო ღრმა გაცნობა გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა მასალის შესრულებით მისი მრავალფეროვანი ნახატები, კომპოზიციები თავისუფალ თემზე თუ აღდგენითი ნამუშევრები არქიტექტურული კომპოზიციის ძიების საფეხურებია, რომელსაც ხუროთმოძღვარი ძირითადი მიზნისაკენ მიჰყავს. ეს არის შავი სამუშაო — სამხადისი არქიტექტურული გვერდებისათვის.

გიორგი ლევაჯას შემოქმედებით გამოფენა ქართველი არქიტექტორის პირველი პერსონალური გამოფენა იყო ხორც-შესხმული და მომავლის იდეებით აღსავსე.



ბალეტმაისტერი  
ალექსი ჭიჭინაძე



ნახატი ა. ბალაბუევისა

## ბალეტ „დონ-ჟუანის“ გამო

სულხან ცინცაძე



ლექსი ჭიჭინაძის შემოქმედებას გავეცანი ჯერ კიდევ 1953 წელს, როდესაც მან მოსკოვის დიდ თეატრთან არსებულ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში წარმოადგინა თავისი საკურსო ნამუშევარი.

ეს გახლდათ ერთმომქმედებიანი ბალეტი „ფრანჩესკა და რიმინი“, რომელშიც ახალგაზრდა ბალეტმაისტერ-

მა თავისი უჩვეულო ნიჭით, შესანიშნავად აუღო ალლო ჩაიკოვსკის ამავე სახელწოდების ბრწყინვალე სიმფონიურ პოემას და მის მუსიკალურ სახეებსა და დრამატურგიაზე შექმნა დასამახსოვრებელი ქორეოგრაფიული ფანტაზია. ძნელია იმის დაგიწყება, თუ რა აღფრთოვანებით შეხვდა ალ. ჭიჭინაძეს არა მარტო საგამოცდო კომისია, არამედ მთელი იქ დამსწრე

საზოგადოება, რომელმაც ფეხზე ადგომით გაუმართა ოვაცია ნიჭიერ ბალეტმაისტერს.

შემდგომ დროთა ვითარებამ დაამტკიცა, რომ ეს პირველი წარმატება არ ყოფილა შემთხვევითი...

ალექსი ჭიჭინაძე მარტო ბალეტმაისტერი როდია. იგი უკვე ორი ათეული წელია მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მოცეკვავეა. ამ ხნის მანძილზე მან მრავალი შესანიშნავი ქორეოგრაფიული სახე შექმნა. იგი ძალიან ბევრს მუშაობს და რაც მთავარია, მეტად კრიტიკულად უდგება თავის შემოქმედებას. ამიტომაც ყოველ ახალ გამოსვლაში, იქნება ეს დადგმა თუ რომელიმე როლის შესრულება, იგი მუდამ ბოულობს ახალ-ახალ საინტერესო შტრიხებსა და ფორმებს, რომელშიც ყოველთვის ღრმად აზრი და დიდი მხატვრული სიმართლეა ჩაქსოვილი.

ალ. ჭიჭინაძეს საბჭოთა თუ უცხოეთის თეატრებში დადგმული აქვს მრავალი, უაღრესად ორიგინალურად და ლაკონურად გადაწყვეტილი სპექტაკლი. შესაძლოა, ყველა ეს სპექტაკლი არ იდგეს ერთ დონეზე. ყოველგვარ ახლის ძიებას როდი მოსდევს უშეშელი გამარჯვება. მაგრამ ის, რომ ყოველ მათგანში ნათლად ჩანს ალ. ჭიჭინაძის შესანიშნავი ნიჭი და დიდი შემოქმედებითი გაქანება, ეს ფაქტია.

მე არ შეუვლდები ამ ნამუშევრების ჩამოთვლას და დანახაითებას, რადგან მათზე საკმაოდ ითქვა ჩვენს პრესაში. მსურს მხოლოდ შეგერდეთ მის ახალ სპექტაკლზე, ერთმომქმედებიან ქორეოგრაფიულ ფანტაზიაზე „დონ-ჟუანი“, რომელიც შექმნილია გამორჩენილი გერმანელი კომპოზიტორის რიხარდ შტრაუსის ამავე სახელწოდების სიმფონიური პოემის მიხედვით.

მე თვითონ ვიყავი მოწმე იმისა, თუ რა აღფრთოვანებით შეხვდა მოსკოვის თეატრალური საზოგადოება ამ სპექტაკლის პრემიერას, რომელიც სტანისლავსკის და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრში

შეღვა მიმდინარე წლის 21 იანვარს.

„ღონ-ჟუანის“ თემის არაერთი დიდი შემოქმედელი აუღვლევიბია. გავიხსენოთ მოცარტის გენიალური ოპერა „ღონ-ჟუანი“, აგრეთვე კალდერონი, მოლიერი, ჰოფმანი, ლენუე, პუშკინი და ბევრი სხვა, რომლებმაც თავიანთი სიტყვა თქვეს ამ მხრივ, ყველა მათგანს თავისებურად აქვს გადაწყვეტილი ამ დაუოკებელი გრძნობების გმირის ბოზოქარი ბუნება, ჩაუტარებელი სიყვარულით რომ გივგიზეებს.

სწორედ ასეთი ცეცხლოვანი სიყვარულის გმირის მუსიკალური სახე აქვს გადმოკეცილი რ. შტრაუსის თავის სიმფონიურ პოემამ და ა. ჭიჭინაძის ბალეტის წარმატების მიზეზიც სწორედ იმაშია, რომ მან შეიგრძნო გმირის მუსიკალური სახე და ამ ბრწყინვალე პოემის საორკესტრო ხმოვანების არაჩვეულებრივად შეხამებული პარტიტურა გამოიჭრა როგორც „საცეკვაო“. ალ. ჭიჭინაძის დადგმაში არ იგრძნობა „ჩაგარდნილი ადგილები“ და სიუჟეტიც მონოლითურად არის შეკრული. ამიტომაც, როცა უყურებ სპექტაკლს, გგონია, თითქოს რ. შტრაუსმა სპეციალურად დაწერა ეს პოემა ბალეტისათვის.

სპექტაკლი იწყება უმოძრაო, სა-

ოცრად ემოციური სურათით.

სცენაზე გაქვევებულივით დგანან: ღონ-ჟუანი, ღონა-ანა, მისი მეუღლე კომანდორი და ოთხი კავადერი.

რამდენიმე წამით სიჩუმეა და მერე, უცებ ორკესტრში მომავადღებელი ძალითა და ვახუბრი ცეცხლით აღსავსე მუსიკალური პასაჟი გაისმის. ამავე ტემპით ცოცხლება ქუჩა, ღონა-ანას უცერად ხელიდან უყარდება ცხვირ-სახოცი, ღონ-ჟუანი დაშინით აიტაცებს მას და თავდავიწყებით ცეკვავს ღონა-ანასადმი სიყვარულით აღსავსე მონოლოგს.

შეურთვესყოფილი კომანდორი ღონ-ჟუანს შეებრძოლება და სასიკვდილოდ დაიჭრება.

ღონ-ჟუანი გამარჯვებული სტოვებს სცენას.

სპექტაკლის დასაწყისის ეპიზოდშივე პირველივე ტაქტების გაბედულ მოდულაციებში ნათლად იგრძნობა მისი თვებრდამხვევი ტემპი, დრამატული სახე მთავარი გმირისა, რომელიც მუდამ წინ ილტვის, მუდამ წინ ისწრაფვის და აღარაფერს არ უშინდება ამ სახიფათო გზაზე.

ასევე ნათლად და „ქორეოგრაფიულად“ არის გახსნილი ღონა-ანას სახეც.

მომავადღებელია ვიოლინოს კან-

ტილენა და ვალტორნას კონტრაბუქტი — აქ ჩანს ღონა-ანასადმი სიყვარულის გამჟღავნება, ლირიკული, ნაზი პიზობის მელოდიაზე (დამხმარე თემა) აგებული ცეკვა კი ვალტორნაზე ღონა-ანას სახეს, რომელიც უკვე ღონ-ჟუანითაა გატაცებული უსაზღვროდ. ამ ეპიზოდს უცებ სცვლის ღონ-ჟუანის მეორე თემა, რომელიც ენერგიულად იმისი ვალტორნების პარტიტურაში — ღონ-ჟუანი აღწევს თავის მიზანს.

ეს ორი ეპიზოდი იმიტომ აღწერე დეტალურად, რომ ხაზი გამესვა, თუ როგორ ღრმად ჩაწვდა ალ. ჭიჭინაძე რ. შტრაუსის პოეტური ერთიანობა და მუსიკალური ფორმის ერთიანობის ბრწყინვალე პარტიტურას. დასასრულს, სიუჟეტი ვითარდება ისე, როგორც ბევრ პოეტს და მუსიკოსს აქვს დამუშავებული. მაგრამ ამ ბალეტის წარმატება იმიტომ არის გაპირობებული, რომ ა. ჭიჭინაძემ ეს ძველი სიუჟეტი უაღრესად თავისებურად, ახლებურად, თანამედროვე ბალეტის ენით გახსნა.

პირადად მე, როგორც ქართველ კომპოზიტორს, დიდად მახარებს ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ალ. ჭიჭინაძის ახალ-ახალი წარმატებები. ამიტომაც გულისწყრომით მინდა აღვნიშნო ჩვენი ქართული ბალეტის ხელმძღვანელობის უცნაური წყარუებზე ამ შესანიშნავი ხელოვანის შემოქმედებისადმი, რის გამოც თბილისელ მსაყრებელს აქამდე არ ჰქონია შესაძლებლობა საკუთარი ოპერისა და ბალეტის თეატრში ენახა მისი რომელიმე ბალეტი ან დადგმა. მით უმეტეს მაშინ, როცა ალ. ჭიჭინაძეს ყოველწლიურად იწყვეენ პარიზისა თუ ლონდონის, ამსტერდამისა თუ სოფის, პეკინისა და სხვა თეატრები. წელს იგი ისევ მიოვივის საზღვარგარეთ. ამჯერად მონოლოგითში, სადაც ულან-ბატორის საოპერო თეატრში დაღვარისკი-კორსაკოვის „შეხერხადა“ და საკუთარი ბალეტი „ფრანკესკა და რიმინი“.

იქნებ ამ გასტროლის შემდეგ მაინც ვიხილოთ სახელოვანი თანამემამულე ჩვენს სცენაზე.







სურათზე: პირველ რიგში მარცხნიდან მეხუთე ზის ილია ჭავჭავაძე

# ერთი სუკათი ძველი თბილისის ყოფიდან

თეიმურაზ ბერიძე



ბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია მრავალი საინტერესო უნიკალური ექსპონატი. დარბაზში, რომელიც ასახავს ძველი თბილისის ყოფას, ექსპონირებულია ფოტოსურათი „ისპანახობა“ ანუ „ყვენობის კული“. მასზე აღბეჭდილია სადღესასწაულოდ გამოწყობილი ჩაჩებ დახურუ-

ლი საზოგადოება, რომელთა შორისაც ზის დიდი ილია. ძველ თბილისელს აქ გამართული სახალხო სანახაობებიდან ყველაზე ძლიერ უყვარდა მუშტი-კრიგი, ჭიდაობა, ყვენობა. ამ სანახაობებმა არ იცოდა სოციალური და სარწმუნოებრივი „დისკრიმინაცია“. მასში მონაწილეობას იღებდნენ როგორც მალაქა, ასევე დაბალი ფენიდან გამოსულ-

ნი, როგორც ქრისტიანები, ასევე მამა-მადიანები.

ყველა სანახაობას თავისი წარმოშობის ისტორია აქვს.

ყვენობის წარმოშობის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ყველას აზრი თითქმის ერთმანეთს ემთხვევა, ეს უნდა იყოს ძველი ქართული წარმართული რელიგიიდან შემორჩენილი სანახაობა, რომელსაც ფორმა მეტნაკლებად შერჩა, ხოლო შინაარსი კი მთლიანად შეცვალა.

ჩვენ გვინდა პარალელის სახით გავიხსენოთ იტალიური კარნავალის წარმოშობის ისტორია, რომელიც წარმოადგენს კომპოზიტს რელიგიური და საერო სანახაობებისა. იტალიური კარნავალი (Carno — ხორცი, Vale გამარჯვება, სალაშა. ეს სიტყვა რომ გადმოვქართულეთ იქნება „სხნილი“) იმართებოდა ყველიერთან დაკავშირებით და ასახავდა ზამთრის — ბოროტის და გაზაფხულის — კეთილის ბრძოლას. იგი იყო ძველი

იტალიური წარმართული რიტუალიდან შემორჩენილი სანახაობა.

თბილისური ყვენობა XIX საუკუნეში უკვე ჩამოყალიბებულ თეატრალურ სანახაობად იქცა, რომელიც წარმოქმნა ხალხური შემოქმედების მდიდარ ბაზაზე ყვენობაში მონაწილეობა საშუალებად ჰქონდათ შემოქმედებითად გამოეყენებინათ თავიანთი სამსახიობო ნიჭი. შემთხვევით არ არის ის, რომ ყვენის როლის შესრულება სპეციალურად შერჩეულ პირს ევალებოდა, რომელიც თავის კომიკური-იუმორისტული ნიჭით გამოირჩეოდა.

თეთიელ უბანს თავისი ყვენი ყავდა. ყვენი არ შეეძლო თავისი უბნის საზღვარს გადასცილებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ატყდებოდა ხელკეტებით ჩხუბი, ამიტომ ამ ინციდენტს ყველა ერიდებოდა.

პირამუფრულს, ვირზე პირუცუ შესულ ყვენს შემოპატარებდნენ მთელ უბანს, შემდეგ კი მტკვარში გადავლდებდნენ, ისეთ ადგილას, რომ არ დაპირჩხავლიყო, ხოლო შემდეგ შეგარვილი (ყვენის საღარპოში შემოსული) ფულით ქეიფობდნენ და ყვენისაგან დახსნასა და იმის სიკვილის უქმობდნენ.

ყვენობა XIX საუკ. მანძილზე მრავალჯერ იცვალა სახე. XIX საუკ. 80-ან წლებში ყვენი ტყავადარბრუნებული ხელისამოსის ნაცვლად კიტელს იცვამდა, რომლითაც ასახიერებდა სამსახურთან გადამდგარ რუს ოფიცერებს და მოხელეებს.

დროთა განმავლობაში ყვენობის წესები იცვლებოდა და ირღვეოდა. მიუხედავად დაუწერელი დრამატული ნაწარმოებისა, ყვენობა არ კარგავდა რეალისტურ და პროგრესულ სახეს, ეს იყო პატრიოტული სულისკვთებით აღსავსე წარმოდგენა, რომელსაც ასახიერებდა ხალხი და ყვენი პანტომიმის საშუალებით. ყვენობა პოლიტიკურ სახეს იღებდა და ამიტომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ იგი აკრძალა.

ყვენობის მაგივრად გაჩნდა ყვენობის ტულა, რომელშიც ქართული კულტურის მდღერაშენი ილიასაც მიუღია მონაწილეობა.

საინტერესოა რას წარმოადგენდა ეს განუხანობა და როგორ მოხდა იქ ილია ჭავჭავაძე. აი რას წერს „კვალი“ (1894 წ. № 20):

„ესი არ უნახავს და თუ არ უნახავს, არ გაუანახო მანაც „ყვენობა“? დღემარხვის პირველ ორშაბათს ტფილის-ქალაქი მხოლოდ იმით იყო ხილმე გატაცებული, მით უფრო, რომ „კრივიც“ თან მოსდევდა. ეს კრივი მშვენიერად აქვს აწერილი თავადს დავით ბებუთაშვილს. დღემდის, თითქმის არ არის გამოკრეფული, თუ რას ნიშნავს ეს ჩვეულება და ან როდის შემოუღიოთ? ზოგი ხოჯახანობას აწერს, ზოგი შახ-აბაჯს და ზოგი თამაზ-ხანს. გიორგი წერეთელი კი აბტიკცებს, რომ მურვან ყრუს შემოსევიდან არის შემოღებული, როდესაც უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ყვენს დასცინიან. როგორც ვიცით, მთელი ქალაქი ორ უბნად, ანუ ორ მხარედ იყოფოდა და ერთი მეორეზე მიდიოდა. დამარცხებულ ყვენს მისი მასხარებით, ანუ ბამბულებით, ლაფში ავლებდნენ და შერიგებულ მოკრივენი კი საურთხედ ღვინსა ჰმართავდნენ. ლაფში ამოწუმული, დამარცხებული ყვენი კი, მისი ამალით ქალაქს გარეთ უნდა გასულიყო. იქ გაემართა ცალკე ღვინი. ეს ჩვეულება „ყვენობა და კრივი“ რამდენიმე ხანი აკრძალულია და ტფილისი ჩვეულებრივად მყუდროებას ვეღარ არღვევს!.. ყვენობა გადავარდნილია, მაგრამ ჯერ კიდევ „ყვენობის კული“ — არ მოშლილია. რას წარმოადგენდა ეს „ყვენობის-კულიობა“ შესანიშნავს არაფერს! მხოლოდ ქალაქელი ვაჭრები, მიდიან ორთაჭაღამე და იქ მართავენ ღვინს, — სუფრა მხოლოდ სამარხო საქმელებით არის ხილმე აჭრელებული, ჩვეულებრივის ხაშისა, ფლავისა და მწვადების ნაცვლად მოაქვთ ზეთისხილი, ჯონჯოლი, დანძლი და სხვანი. — მაგრამ ეს სამარხო საქმელები ღვინს არ უშლიან ხელს, რადგანაც ღვინის უფრო კარგადაც ასმევენ. ამასთან აუცილებელი საჭიროება იყო, რომ აქ მყოფ

მოქეიფეს ბამბულა ტანისამოსი ჩაცვას და ჩაიღებურა. ეს დაუწესებია ამ ათ-თხუთმეტი წლის წინათ ერთ ქალაქელ ვაჭარს „ქეჩა-ოჰანედ“ წოდებულს და თავდაპირველად, სხვა-თამარის ერთი კარგი მნიშვნელობა ჰქონდა, — ღვინის დროს შეზარხოშებული მოქეიფენი ჩამოდიდნენ ფულს, ავროებდნენ და მერე იმ ფულით მზითვას უკეთებდნენ ვინმე ღარიბ გასათხოვარ ქალს და კიდევ გააბიოვებდნენ ხოლმე. დღეს ეს თავდაპირველი იმზანი აღარ შეჩვენია და იღვინენ... ადრე სოფლაკრებიც იღვინებდნენ მონაწილეობას და გამოჩინულ პირებსაც... იწვევდნენ ხოლმე, დაღამებამდე ქეიფობდნენ და მერე კი ჩირადდებით ხელში, ზურნითა და კინტორითი შემობრუნდებოდნენ ხოლმე ქალაქში. წესს ამ „ყვენობის კულზე“ ჩვეულებრივად დიდი ვაჭრები და სოფლაკრები აღარ დასწრებიან... მათ ნაცვლად სხვაგვარად შესანიშნავ-პირებმა მიიღეს მონაწილეობა და უფრო ბანკეტის წარმომადგენლებმა... ფოტოგრაფს გადაუღია იმითა სურათი და საუცხოო სანახავიც არიან მოქეიფენი ქალაქის გვირგვინებით თავზე, ანუ ჩაჩებით!.. რომ წესსაერება დაცული ყოფიდა, ამას ის ამტკიცებს, რომ იქვე თავზე ადგათ მათ პოლიციის ბოქაული, რასაკვირველია უგვირგვინით. ფოტოგრაფია საუცხოოდ არის გამოსული ასე, რომ ერთი შეხედვისთანავე იცნობ თითველს მათთან, თუმცა ქალაქის გვირგვინი კი ადგათ თავზე. ფოტოგრაფული სურათი იყიდება ბაბალოვის ფოტოგრაფიაში და არც ძვირად ჰყიდეს, სულ სამ მანეთად“.

არ არის გასაკვირი, რომ ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ასალგაზრდობიდანვე იდელ მოტრფილად იყო ქართული ხალხური შეპირსიტყვიერებისა, მონაწილეობა მიიღო ქართული ხალხის ამ ზეიმში, ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ ამავე დროს იგი ხელმძღვანელობდა ქართულ ბანაკს, რომელიც დაარსდა 1875 წ. და რომლის მეთაურიც ილია იყო ოცდაათი წლის განმავლობაში.





ვიგო ვაბაშვილი

მცხეთის ბაზარი

ჯერ კიდევ 1922 წელს, როდესაც ვ. ი. ლენინი ეხებოდა საბჭოთა კინოს საკითხებს, აღნიშნავდა, რომ ჩვენ გვესაბირება: «широко осведомительная хроника, которая подбиралась бы соответствующим образом, то есть была бы образной публицистикой, в духе той линии, которую, скажем, ведут ваши лучшие советские газеты»<sup>1</sup>.

(ხვლია, ვ. ი. ლენინის ეს სპაროგამო მითითება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გავიგოთ ცალმხრივად, ვერც იგი ვრცელდება მთლიანად დოკუმენტურ კინოხელოვნებაზე და ვაძლევს მისი სპეციფიკის ერთგვარ დახასიათებასაც. ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია დოკუმენტური კინოს განსაზღვრა, როგორც სახეობა კინო პუბლიცისტიკისა. მასში მოცემულია არა მარტო იდეურ-პოლიტიკური მნიშვნელობა, ამ ხელოვნებისა, არამედ გამგავნებელია მისი ღრმა ესთეტიკური აზრაც.

სამუშაოდ, კინოს ტიპური და ევროპობრივი განსხვავების საკითხი ჯერაც არ არის სტაბილურად აღიქმული, რომელსაც ადვილად აქვს ამ საკითხის გამო კინოს თეორიას და ისტორიას, მოწოდებს მისდგამი არასასამართლო ურადლებას კინოძვირდებებისა, რომლებიც, როგორც ჩანს, თვლიან, რომ კინონაწარმოების ტიპურ და ევროპობრივ კლასიფიკაციას წინადადებენ ფორმალური მნიშვნელობა აქვს. ეს დიდი შეცდომაა. ამ საკითხს აქვს პრინციპული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა<sup>2</sup>, ეს ახლა, რადგან ნაწარმოების ევროპის განსაზღვრავს ხოლმე მასალის შერჩევას და თემის გადაწყვეტილებას მივლივს, ზოგჯერ თვით ფილმის კონცეფციასაც კი. მაგრამ არც თუ იხე იხეაითა შემთხვევები, როდესაც ჩვენს ქრისტიანულ მოქვეყნებულ სტადიებს და სეკიულარ კინოლიტერატურაშიც არავითარი ევროპობრივი განსხვავება არ არის დასაშულო ქრისტიანულსა და დოკუმენტურ ფილმებს შორის (ალაჟაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მათში ხშირად ურევინ სამეცნიერო-სოციალურულ სურათებსაც).

დღეისათვის დამკვიდრებული წარმოდგენით, «ქრონიკა» — გაზეთში, ტელევიზიაში, კინოში — ეს არის მოკლე ცნობის საზოგადოებრივ თუ კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი ამბის, მოვლენის შესახებ. ეს გახლავთ ფაქტის ფიქსაცია, მოვლენის კონსტატაცია, რომელიც მეტოხეობა ან მკურნალებს უნდა შეიტკოს, თუ სახელობს რა ემსხდებოდა. ამიტომაც იგი, პირველ კვილას, უნდა იყოს მართალი, ობიექტული, პოლიტიკურად ნაშთი, ცხელი, ეს იხე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჩვენ ქრონიკის რაღაც «მედიუმის» უნდად მივიჩნევოთ, ანდა ვაყივრებდეთ მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას. არავინ ეკამათობს, მაგალითად, იმის გამო, რომ ინფორმაცია, რომელიც ვაუწყებთ კოსმოსში ადამიანის სასწაულებრივი შედეგის ამხავს, თითქოს უფრო ნაწილი მნიშვნელობის იყოს, ვიდრე რეპორტაჟი იმავე დღის კოსმოდრომიდან, ან ამავე თემაზე შექმნილი ნარკვევი. მაგრამ თუ ჩვენ ქრონიკის ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების გარდა სხვა პრეტენზიას ფაქტს ვაუწყებთ, სამაგიეროდ ნარკვევი ვაღებებელია ახდენდეს უფრო ანალიზს, რამაც წვდებოდად მოვლენის არსს, აზოგადებდეს და მატერიალურ ფორმით ვაწყვედის მათ, მისთვის არ ემართა თქმა მარტო იმისა, თუ რა მოხდა. იგი უნდა ხსნიდეს როგორ და რატომ მოხდა ის, რაზედაც მოვითხოვბო...

როგორც ვხედავთ, კინოქრონიკა — გაზეთთან, რადიოსთან და ტელევიზიასთან ერთად მნიშვნელოვან საშუალებად იგი პრეტენზიას არ ახდენს ცხოვრების საზოგადოებრივი სურათის შექმნას, თუმცა თავისი სპეციფიკის გამო, სინამდვილის გადმოცემისას შეიძლება გულსხვების რაღაც ახალ ესთეტიკურ თვისებასაც სტერეოტიპული უნივერსიტეტის პროფესორი ვ. ნიკოლაძის აღნიშნავდა ვერძალ «Sight and Sound»-ში, რომ დოკუმენტობის კინოაქტისას, მიუღო ჩვენი სურათის მიუხედავად, არ მალავს მოგვარდის რეალური მოვლენის მექანიკური განმეორება. იგი ადამიანის ხელში ავიღებოდად უნდა ახდენდეს იმის კომენტარებსა და ინტერპრეტაციებს, რასაც ვაღებთ. გაულისხმობს ჩაჩრის უფრო არსებობის თუ უკვე თავისთავად გაულისხმობს კომენტარებს<sup>3</sup>. სინამდვილის ობიექტის ინტერპრეტაციის საშუალებით კამერა ცხოვრებულს სინამდვილეს ადგომს რაღაც უფრო, ვიდრე მისი რეგისტრირება... აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კინოქრონიკის წარმატების უზარაქრესად განსაზღვრავს თვით ფორმ აღებულებით ფაქტისა თუ მოვლენის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, გადახდების — ობიექტის ობიექტისა და ობიექტის კომენტარების ხარისხი. ყველა ეს თვისება კინოქრონიკის შედეგად განსხვავებს ინფორმაციის სხვა საშუალებებისაგან...

მაგრამ არსებობს «ქრონიკის» სხვა — პირვანდელ გაგებაც. ბერძნული სიტყვა «chronica» (დროს განყუთუნება) უმთავრესად გაულისხმობს ობიექტულ ჩანაწერებს, ენაობაწერებს, რომლებიც შეიცავს დროის, ეპოქის წინშებს. ასეთია, მაგალითად, ჩვენი «ქრონიკის»

<sup>1</sup> А. В. Луначарский. «Кино на Западе и у нас», 1928, стр. 163.

<sup>2</sup> А. Буров. «Научно-популярное кино и искусство». Сб. «вопросы киноискусства». М. Изд. «Искусство», 1955, стр. 428.

# აკტორის კომენტარები

## კუპლიცისტურ

### ფილმში

ოთარ სეფიაშვილი

«სიტყვა, — თავისთავად უძლიერი — მსლავრი და მოუგერიებელია მოხიზნულია, გულგრილად და დროულად ნათქვამია».

А. Кони «На жизненном пути»



მათივე დებედა კინოხელოვნებას: — მისი იდეურ შინაარსზე, დრამატულობის განვითარებაზე, მის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებათა გამოყენებაზე მუდამ ფართო და კეთილნაყოფიერ მიხედვითაა. მხატვრული მიხედვითაა, ასეთივე როლი უნდა ითქვას, პუბლიცისტიკამ დოკუმენტური ფილმის ფორმირებაში, მის ზრდასა და განვითარებაში. კინოპუბლიცისტიკა ბევრ რასზე დაესცხა თავის ლიტერატურულ თანამშემს, მისგან გადმოიღო ტიპიკაციის ზერცხე, ისწავლა ადამიანის ცოცხალი პორტრეტის ხატვა, ცხოვრებისეული მოვლენის სირბინე ჩაწვდომა, დოკუმენტური მასალის განსწავლვა. ცოცხალი მოვლენებით თუ თავის არსებაში დასველიდრა მებრძოლი და ზატოვანი პუბლიცისტური სიტყვაც. გახანაწილდა, ენდრელი სიტყვა თავისი პოეტური მრავალბოვნებით, ელფერიით, თავისი ფართო არსებობით და მატერიალურ შესაძლებლობებით უკვე რასანია თქვა დოკუმენტური კინომხატვრების განმსახველობის საშუალებათა ორგანულ ნაწილად, პუბლიცისტური ფილმის აქტიური კომპონენტი...





ცხოვრებას. აღმა ამ ტერმინის სწორედ ამგვარი გახარება ინი-  
დვდა მწერლებს, როდესაც თავიანთ სრულად განსჯადეული  
უნარის მატარულ ნაწარმოებს — პროზასულ თუ დრამატურ  
გაულის — ქრონიკებს უწოდებდნენ, ლიტერატურის ისტორია იცის  
გაულის ასეთი შემთხვევა. ვაჟისენით თანვედრე შესწავლის ზოგადი  
ტრავალი, სტენდალის ნოველები — „იბოლეთი ქრონიკები“,  
მერიმის ნაწარმოებები. კონსტანტინე გამსახურდიაც თავის ისტორი-  
ულ რომანებს „ქართულ ქრონიკებს“ უწოდებს ერთგვარად.

დოკუმენტური ფილმი, რომელიც კინოპუბლიცისტი შემოქმედ-  
თი ჩანათვის რეალურიდან წარმოადგენს და თავის არსით გუ-  
დავ პუბლიცისტურია, მიიღებს დროის სწორედ ამ ფაქტორ გუ-  
ბასაცენ — ვამთავრებრბინისკენ, რომელიც ვამთავრებრბინის  
ეპიკის ნაწილები. მაგრამ ისტორიული, მემორიალური მნიშვნელობის  
გარდა, მას იზიდავს „დროის“ მწერლობით გაგებაც, რაც უგულის-  
ხარბის ცხოვრების მატარულად განსჯადეული სურათის შემქნა-  
ს. პუბლიცისტური ფილმი, კინოქრონიკისავე, კინოროსტრაციისავე  
განსჯადეული, სინამდვილეს ასახავს მოვლენათა უროტირაციებში, ა-  
რკვევს ცხოვრების დროს პროცესებს, იძლევა უფულოდ ვაჟისენი,  
დვალდაც ახლებული ფაქტების იდურ-პოლიტიკურსა და ემიციურ  
ტრამატურს, მხატვრულად განაჯადეებს მათ ცნობილი ინტელისკო  
კინოლოკუტეობისა და თეატრალისკო გუნჯ გარისინი აღნიშვნა-  
დაც, რომ დოკუმენტური ფილმი თანამედროვე სინამდვილეს შემო-  
ვლენებით, ინტერპრეტაციითაა. კინოპუბლიცისტიკის ეს განსჯადეული  
ჩვენებებიც მისდევს.

ზედარის ვაგლითა კინოქრონიკისა და დოკუმენტური პუბლიცის-  
ტურ ფილმს გვიძინს ამ შემთხვევაზე აუცილებელი იყო იმიტომაც,  
რომ თანათა არცაა პალიტურბინის დღეს ასევეს ლიტერატურის ტიპი-  
ზაცია. დოკუმენტური ფილმი ექ, ქრონიკისავე შედარებით, მთა-  
თხოვს არა მარტო მონტაჟისა და გამოსახულების სულ სხვა პრინ-  
ციპით გამოყენებას, არამედ სრულად განსჯადეული კონტენტარე-  
საც. ზედ სწორედ ამ მხრივ — პუბლიცისტური ფილმის ხელოვნ-  
დავ აღიარების პრინციპით მივუდვებით ლიტერატურის ტიპების სა-  
კიობს.

არავისთვის უცხო არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ლიტერატურის ტიპ-  
ების პრობლემა იყო და არის ზედინ კინოლოკუტეობისკენის ერთ-  
ერთი ყველაზე მტკიცეული მხარე. საწერბარად, იგი ადინდავედ  
დაბუთავებელი საუბოთა კინოციტეობისთვის ლიტერატურისთვის.

ჩვეულებრივ პუბლიცისტური ფილმის ლიტერატურის ტიპებს ავ-  
ტორის დოკუმენტურს უწოდებენ, ეს განსჯადეულია, ხელოვნების  
არცერთ სხვა სახეობაში ავტორი ისე უფულოდ ვერ განსჯადეებს  
თავის გამოცხადებულებას სახეული მასალისგან, როგორც დოკუ-  
მენტური ფილმში. მის საუბოებშიც მას აძლევს ლიტერატურის ტიპ-  
იკა, რომელიც კინოლოკუტეობისკენის ტრადიციულ ვეგვარება-  
განსჯადეული სიტუაია არა მარტო თანამდევს და განსჯადეული პუბ-  
ლიცისტური ფილმის გამოსახულებას, არამედ ერთმანეთთან აკავში-  
რებს სურათის ყველა გამომსახველობით ელემენტს და, რაც მთა-  
ვანია, აუბლებებს მთლიანად თბრანას. ცნობილია, რომ დოკუმენ-  
ტური კინოლოკუტეობა მზირად ბევრი შემთხვევაში თვით კარგად დეწე-  
რული ტიპების ექ დათურს სამახსურს სწევს. სამაგალიდოდ ავიღოთ  
ნაწევრი რეისონის ოთარ ჰოატირის ფილმიდან „სვეტიცხოველი“,  
რომლის ლიტერატურის ტიპის მწერალ ლევან კოთხეცა ეკუთ-  
ვნის.

ეგრანზე იშლება მტკიცისა და არავის შესაძრავის თვალწარმატ-  
აკი სანახი. დამა. მთავრის სუბტ უმუქურ ეკუთვნის დაბნეული კონ-  
ტურების მცხოვრის ვერვისა და სვეტიცხოველის... გამოსახულება კინ-  
ოლოკუტეობა და იგივე ნაწილთა გამაღვანებელი მონტაჟიც. მაუბრბილ-  
დაც ერთგვარი პოეტური და უფორის ნაწილთაგანა ეუბნება, მით  
უბნებს რომ მას სწორედ ექვით უმნიშვნელად ფილმის ექსპოლიტორ  
უნარით ლიტერატურის მწერს უფულოდ ხალხური ტექსტი „ხეობრი-  
კულს წყაღვ მისცა...“ ამ განსჯადეული განსჯადეული და  
დასჯადეულიდად თითქმის სანაირ იყო ვარაუდებლიან და  
განათიდავს მოლოდინში თვადიარაგულად შედეგებლიან. განმარტ-  
ებანი: „ქართველი, დამა — მტკიცარი, ჩაქვირბინული აბჯანბინ-  
— სმეობის ვჯარი, დედა-ტამარი — სვეტიცხოველი, კავში და ჩუქურ-  
თაშია ჩაქვირბინი „ქართლის ცხოვრება“, რომელიც მუყავრად აშენა  
და აშენა, მტკიცარი ანჯარი და აქვია. მონაც 1600 წელს მტკიცარი  
სამართალის მატარებს განსჯადეული თანამჯარი...“ როგორც ვხე-  
დავთ, ეს ტიპები კარგი ლიტერატურული ენითა დაწერილი და არც  
გარკონებასა მოუძღვლებს. მარტამ სკვე ისარი, რომ ადრბირ ვერ-  
საბრბინს გამოსახულებას, რომელსაც სულ სხვა ნაწილს ეკუთვნის. ამ-  
თან ტიპები დატვირთული და მშობა. წარმოშობა გამოსახუ-  
ლებობა და ტიპების შეუხატულობა. ისინი კლავენ ერთმან-  
ეთს...

უფროსი არაუასწარედ დევნივთ, რომელიც პოეტურ-პუბლი-  
ცისტური ლიტერატურის ტიპების ბარწინავალ ოსტობი იყო, წყნდა:  
ჩვენ მზირად ვიყურებთ ფილმის სიჩუმეს და აღნიშნავდ, რომ  
არსებობს სკვეის სიჩუმე სწორედ პოეტური და ლირიკული  
სიჩუმე მუდგარბობისა, შესაძლოა სივრცის სიჩუმეც. „და  
არის ჰერბიტის სიჩუმეც და აველაზე კეილმობილბირი სიჩუ-  
მე“

მე არკონებისა, სიჩუმე შემოქმედებისა და რეჟისორების სიჩუმეც.

მეტრად ლიტერატურის ტიპებში მრავალსიტუაობა გამოწვეულია  
ფილმის გამოსახულების მდგრად ხარისხით, მონტაჟის უხარბეობით.  
ზოგს ექ რადიკულ მინარია, რომ უმე მატერებლს არ განსჯადეულ  
ყველი კარბის მინარია, იგი მას ვერ გაიგებოს. ასეთ ადრბინ-  
ბინზე აქვიათა — „ზოგადევი თქმა სჯრის არამესა“ და ავიწე-  
ბინთ ამ ავტორისთვის მწერალ ნაწილ — „ზოგადევი თქმობაც დაზღვე-  
ბინთ“, რომ გამოსახულების სიტუაით ლებობრება არკვევს, სანბს  
და რეჟისორური ფილმის მატარულ სტრუქტურას, აცლის პოეტურ  
სახეობებს, უყარებენ ზემოქმედობით მაკას.

არადევი კარბისკენ ლიტერატურის ტიპებისა და გამოსახუ-  
ლების რეჟისორ კავშირზე, პუბლიცისტურ ფილმის ცხოვრების უფ-  
ტის ფარული მინარიაან განსჯადეულზე, არ უფდა ვავარაუდებთ  
დღეს, რომ ეს ყველაფერი მზირად ბევრად არის დამკრავებელი  
რეისონისგან მონტაჟზე.

არსებობს შესანიშნავი წიგნი — „იუსენი ცხოვრებაში“, რომ-  
ელიც ვერცხვებს ეკუთვნის. ვამბობთ „ეკუტინის“, მაგრამ შესაძლოა  
ვიწინ შევადგინო კიდევ, რადგან სინამდვილეს ეს გასჯადეულ  
დოკუმენტისგან შედგენილი წიგნი და მასში ვერცხვებისა ერთი  
სიტუააც არ არის. ვერცხვებს არცერთი შეუცვლია უმეობის  
მეგობრებისა და არც მტერების ეწილბინში, არ გადუკულებობა პო-  
ეტის დღეობის არც ერთი ფრანსა, არ გაუკლებლობა არც ერთი კან-  
ციკლარული დოკუმენტი, სამედიცინო უმეი, საუბოთარი ერთი სტრი-  
ქონიც კი არ მთერეჩარი რომელიმეზე, არ დართობა კომენტარი.  
ვერცხვებს მხოლოდ შეჩარია და დამონტაჟად დოკუმენტობა ისე,  
რომ მათ იმიტეობრბინის მთავრებლად უბრბოლდაც კი არ შეიქვს  
ეჭვი. მაგრამ ამ წიგნის სუბტიტულობა გამოკლებდა იმით, რომ ვერ-  
ცხვებს ეს დოკუმენტობა ტენდენციურად შეჩარია და მდგრად  
თავისებურად, ვარაუდებლად განსჯადე, დამონტაჟად, რითაც დახდა  
დაღდა რუსი პოეტის ტრავიკული ცხოვრება.

დავბა ერთობლივობისკენ რეისონის შეუძლია მონტაჟით  
ყველა ვაგებს — მათი ხან მანსჯადეების პრინციპული შევადგინო, ხან  
კიდევ დამონტაჟობით და მძღერ კონტრასტული შევადგინო, —  
მინარბის ახლო ანთა, მინარბის ისე, რომ ამით არის დარბინობის  
ცალკეული ფაქტის სინამდვილე. არ დავტარბის მათ დოკუმენტური  
იმიტეობრბინისა. მონტაჟი, პირველ ყოვლისა, საუბოებებს აძლევს  
კინოლოკუტეობისკენის ფილმისთვის გადუკლებელი მასალად და ნა-  
წარმოებლად დატოვს მხოლოდ მართიად და მთავარი, ჩანამაკლებს  
მას ყველაფერი უმეობლივ, მეორხარისგან, რაც არ მასუბრბინ  
მის მონტაჟულ თუ იდურ ნაწარმებს. სამონტაჟო ფრანსა, წყნდა  
სტრეგი იუნტეობისკენ, გამოსახვას „მ კ ვ ღ ე მ ს ს ა ს ბ ს  
კ ე ე ე ე ე ე ე ე ე“. ვარბინ მონტაჟი აძლევს საუბოებებს კინო-  
პუბლიცისტის მტკიცარი გამოკლებობის და სცენარე მუს მოვლენ-  
ება ვანეობრბინის ტენდენციებზე, გახსნას ამ მოვლენათა კეშმარ-  
ბინი არსი, გამოსახვას მათი ფილოსოფია. ამასთან ცხოვრებისეუ-  
ლი ფაქტები დატვირთის ემციურად და პოლიტიკურად, აბლებენ  
არ აუბრბინს და აუბრბინს ხელოვნების ტენდენციებზე. კიდრთა მო-  
ნაცვლობის დინამიკა განსჯადევას ხოლმე სურათის დაწყობობლი-  
დას და ფილმის არქიტექტონიკა საბოლოოდ მონტაჟით დღდაც  
ფრანსა. მაგრამ „ფილმის მონტაჟი იმერეება კინემატოგრაფიული  
ფრანსა, კინოლოკუტეობა მატარულ გამობტეულებას იმერე დინამი-  
კურად, კინოლოკუტეობა, აქტობის შემრბინება, ლიტერატურის ტიპები“  
— ავჯარბინ ზემე სწორედ ეს უკანასკნელი ვაგინტეობებს.

საწერბარად, ბევრ თანამედროვე დოკუმენტურ ფილმში ლიტ-  
ერატურის ტიპების მდგრად ვარბინის ისეთი მნიშვნელად გამოსახველობით  
საუბოებებს, როგორცაა მონტაჟი. ამ მნიშვნელად რომ ლიტერატურის  
ტიპებით თითქმის ყველაფერი დავაგებინა შეიძლება, ფილმის  
ავტორებს მზირად იშლი ვეით სჯლას არჩევნად. ადარ მინარბის  
ერთი მონტაჟიც ვაგწეობრბინის. სწორედ ამიტომ არის, რომ უფ-  
ნასკეული მას დოკუმენტურ სურბინობა შეიწინავს ერთგვარი სტენ-  
დარტიზაცი და ადარ ლიტერატურის ტიპების გამორბინება ნაწილი  
ინდივიდუალური. შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ დოკუ-  
მენტური ფილმის მონტაჟის საუბოებ მართიად დამუშავებულ  
ქანა მუნჯი კარბის პერიოდში, როდესაც რეისონისგან დაქუც-  
ებულ კარბის ენითა სურბინად შეტვირთ ვერ მოიშველებ-  
დნენ განმნიშვნელ სიტუაას, ტიტრებს ექ უფორ ინფორმაციული,  
